 мосферного давления – кровь свободно вытекала в мензурку через катетер  
 стандартного диаметра, введенного в общую сонную артерию. Разработанный нами  
 алгоритм регистрации и обработки экспериментальных данных по показателям  
 функционального состояния животных подробно описан нами ранее.

## РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Согласно описываемым ниже экспериментальным данным, выявляются два ос-  
 новных качественно различных типа изменений коэффициента “ауторегуляции” –  
 $dP\% / dQ\%$ . Этот коэффициент по определению представляет собой отношение величины  
 падения давления (в процентах к исходному) и объема теряемой животным крови (в  
 процентах к исходному, до начала кровопускания, объему циркулирующей в организме  
 крови). Рис 1А демонстрирует экспериментальные данные динамики процесса потери  
 крови различными животными в ходе эксперимента. Показано, что в стандартных  
 экспериментальных условиях динамика этого процесса заметно различается у отдельных  
 особей. То же относится и к динамике падения давления – Рис. 1В. Важно отметить, что  
 при этом процессы потери крови –  $dQ\% = f(t)$  и падения давления –  $dP\% = f(t)$  не  
 являются строго согласованными. В некоторых экспериментах понижение общего арте-  
 риального давления при продолжающейся нарастающей потере крови, не наблюдалось, а

в отдельных случаях. происходило даже его повышение. Величина  $-dP\% / dQ\% = f(t)$  интегрирует эти различия и позволяет в формализованном виде анализировать адаптируемость организма каждого отдельного организма к условиям нарастающей острой кровопотери (Рис. 1С).



A B

C

Рис. 1. Динамика процесса кровопотери в течение времени кровопотери – t (на оси абсцисс). А – Динамика потери крови – dQ%; В – Динамика падения общего артериального давления – dP%; С – Динамика изменения величины коэффициента “ауторегуляции” – dQ% / dP%.

Анализ динамики величины  $dP\% / dQ\%$  показывает, что потеря крови до 25-30% не выявляет способности организма к переносимости критически острой кровопотери. Как правило, при таких объемах кровопотери (до 25-30%) компенсаторный механизм животного, как правило, обеспечивает поддержание общего артериального давления на уровне, не угрожающем жизненным функциям организма (Рис. 2А). Однако, степень эффективности поддержания общего артериального давления на стабильном уровне в указанных пределах потери крови (25-30%) отнюдь не свидетельствует о выживаемости данного организма в случаях даже незначительной последующей кровопотери. Превышение указанного объема потери крови незамедлительно выявляет специфичность эффективности адаптационных механизмов отдельных особей к условиям нарастающей

кровопотери (Рис. 2В). В приведенных на Рис. 2А и 3А экспериментах, после эффективной компенсации кровопотери, выражающейся в практически постоянном уровне общего артериального давления в пределах 25-30% кровопотери, продолжающаяся потеря крови приводила к срыву “ауторегуляции”, наступлению и быстрому прогрессированию критического состояния организма, вплоть до наступлению агонии. Согласно полученным нами экспериментальным данным, степень стабильности уровня общего артериального давления может служить определенным показателем функционального состояния организма лишь в период, когда объем кровопотери превышает величину 25-30% (Рис. 2В и 3В).




Рис. 2. Динамика изменения величины коэффициента “ауторегуляции” –  $dQ\%/dP\%$  в экспериментах на лабораторных крысах в течение времени кровопотери –  $t$  (на оси абсцисс): А – в интервале потери крови до 30%; В – в интервале потери крови свыше 30%.




Рис. 3. Динамика изменения величины коэффициента “ауторегуляции” –  $dQ\%/dP\%$  с “жесткой” – А, и “мягкой” ауторегуляцией – В.

Необходимо подчеркнуть, что и в этом случае информативной является именно динамика процесса –  $dP\% / dQ\% = f(t)$ , а не абсолютное значение  $dP\% / dQ\%$ . Таким образом, специфичность адаптационных компенсаторных механизмов организма отдельных особей в условиях нарастающей острой кровопотери определяет необходимость использования показателей динамики процесса кровопотери. Вышеизложенные результаты исследований позволяют, по нашему мнению, сформулировать следующие выводы.

В условиях нарастающей острой кровопотери показателем функционального состояния организма – его устойчивости к кровопотере – может служить характеристика динамики процесса кровопотери  $dP\% / dQ\% = f(t)$ , а не абсолютные значения указанных величин.

Можно выделить два качественно различных типа изменений коэффициента “ауторегуляции” –  $dP\% / dQ\%$  в зависимости от времени кровопотери:

Первый тип – “жесткая” компенсация кровопотери – высокая степень эффективности компенсации в пределах 25-30% кровопотери, одновременно означающая вероятность “срыва” “ауторегуляции” в случае продолжения кровопотери.

Второй тип – “мягкая” компенсация кровопотери, которая обеспечивает более высокую степень переносимости организмом критических объемов потери крови – более 30 – 40%, сохраняя его жизненные функции.

Высокая степень эффективности компенсаторных механизмов в пределах 25-30% кровопотери не свидетельствует о вероятности выживаемости данного организма в случае продолжения кровопотери. “Мягкая” компенсация кровопотери является качественно более эффективной с точки зрения сохранения организмом жизненных функций в условиях критических (свыше 30-40%) объемов кровопотери.

## ЛИТЕРАТУРА

1. Соловьев Г.М., Радзивилл Г.Г. Кровопотеря и регуляция кровообращения в хирургии. Москва, Медицина. 1973.
2. Cooke W.H., Ryan K.L., Convertino V.A. J. Appl. Physiol., 2004, 96, 1249-1261.
3. Glass T.F., Knapp J., Amburn P., Clay B.A., Kabrisky M., Rogers S.K., Garcia V.F. Crit. Care Med., 2004, 32, 450-456.
4. Kameneva M.V., Wu Z.J., Uraysh A., Repko B., Litwak K.N., Billiar T.R., Fink M.P., Simmons R.L., Griffith B.P., Borovetz H.S. Biorheology, 2004, 41, 53-64.
5. Sheffer N., Hirshberg A., Barnea O. Journal of Trauma, 1997, 44, 345-352.
6. Solomonov E., Hirsh M., Yahiya A., Krausz M.M. Crit. Care Med., 2000, 28, 749-754.
7. Xiao N., Wang X.C., Diao Y.F., Liu R., Tian K.L. Shock, 2004, 21, 276-280.

## ორგანიზმის ადაპტაციური მექანიზმების დინამიკის ანალიზი სისხლის მზარდი მწვავე დაკარგვის პირობებში

ვ. მამისაშვილი, ე. ჩაჩანიძე, კ. უროტაძე, ნ. მჭედლიშვილი, რ. ანთია\*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; \* თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ექსპერიმენტებში ლაბორატორიულ ვირთაგვებზე ვანალიზებდით ადაპტიური მექანიზმების დინამიკის სისხლის მზარდი მწვავე დაკარგვის პირობებში - ხდებოდა დაკარგული სისხლის მოცულობის, სისხლის დაკარგვის სიჩქარისა და ამ უკანასკნელის თანმხლები პროცესის - საერთო არტერიული წნევის ცვლილებების შედარება. ნაჩვენებია, რომ საერთო არტერიული წნევის დაწვეის დინამიკა -  $dP\%$  შეთანხმებული არ არის ცხოველის მიერ დაკარგული სისხლის მოცულობის -  $dQ\%$  ზრდის დინამიკასთან. დადგენილია, რომ სიდიდე  $dP\%/dQ\%$  - "აუტორეგულაციის" კოეფიციენტი - ასახავს ორგანიზმის საკომპენსაციო მექანიზმების ეფექტურობას იმ შემთხვევაში, როცა სისხლის დანაკარგი არ აღემატება ცირკულირებადი სისხლის მოცულობის 25-30%-ს. სისხლის კრიტიკული მწვავე დაკარგვის დროს (ცირკულირებადი სისხლის მოცულობის დაკარგვა 25-30%-ზე მეტად) ეს კოეფიციენტი არ წარმოადგენს ცხოველის ფუნქციური მდგომარეობის და გადარჩენის პროგნოზირების კრიტერიუმს. ასეთ პირობებში ცხოველის ფუნქციური მდგომარეობის მანევრებად გვევლინება  $dP\%/dQ\% = f(t)$  პროცესის დინამიკის ხასიათი. სისხლის დაკარგვის დროს მიხედვით გამოვლენილია "აუტორეგულაციის" -  $dP\%/dQ\%$  - კოეფიციენტის ცვლილებების ორი ხარისხობრივად განსხვავებული ტიპი - "ხისტი" და "რბილი". სისხლის დაკარგვის "ხისტი" კომპენსაცია უზრუნველყოფს ეფექტურობის მაღალ ხარისხს სისხლის დაკარგვის 25-30%-ს ფარგლებში. იგი, ამავდროულად, უზრუნველყოფს აუტორეგულაციის "მოშლის" ალბათობას სისხლის დაკარგვის გაგრძელების შემთხვევაში. აუტორეგულაციის "რბილი" ტიპი, დიდი ალბათობით, უზრუნველყოფს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებას სისხლის დაკარგვის მოცულობის კრიტიკული მნიშვნელობის დროსაც (30%-ის ზემოთ).

### ANALYSIS OF THE DYNAMICS IN ADAPTING MECHANISMS OF THE ORGANISM DURING INCREASING ACUTE LOSS OF THE BLOOD

V. Mamisashvili, E. Chachanidze, K. Urotadze, N. Mchedlishvili, R. Antia\*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi;

\* Tbilisi State Medical University

### SUMMARY

The dynamics of adapting mechanisms during progressively increasing acute loss of the blood has been analyzed in the rats; the volume of the blood lost, velocity of the hemorrhage, and

accompanying changes of the general arterial pressure were compared throughout. It was shown that dynamics of the general arterial pressure drop –  $dP\%$  – does not fit into dynamics of increasing volume of the blood loss by the animal –  $dQ\%$ . It was established that the value  $dP\% / dQ\%$  – an ‘auto-regulation’ coefficient – reflects efficiency of the organism’s compensatory mechanisms in a case when the blood loss does not exceed 25-30% of the overall volume of the circulating blood. In the critical loss of the blood – over 25-30% of the overall circulating blood – this coefficient cannot serve as a prognostic criterion for functional state of an animal, e.g. its survival. In such conditions, the characteristics of the dynamics of the process –  $dP\% / dQ\% = f(t)$  – is an index of the functional state of an animal. The two qualitatively distinct types of the ‘auto-regulation’ coefficient –  $dP\% / dQ\%$ , have been revealed, which depend on a time of the blood loss – ‘hard’ and ‘soft’ auto-regulations. The first type – ‘hard’ auto-regulation of the blood loss compensation – ensures high efficiency of compensation within the range of 25-30% of the blood loss; however it means also a possibility of the ‘breakdown’ of auto-regulation in a case of further continuing hemorrhage. Second type – the ‘soft’ one – provides, with a high probability, maintenance of the organism’s vital functions during critical volumes of the blood loss – over 30%, and more.

# თავის ტვინის და ენის სისხლძარღვთა ტონუსის მარეგულირებელი სისტემის მეტაბოლური რგოლის ფუნქციონირების თავისებურებათა ანალიზი. მიმოხილვა

*ნ. მითაგვარია, მ. ჯიქია\*, თ. ჭავჭავანიძე\**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; \* საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 24.08.2004

აზოტის ოქსიდის როლის გარკვევამ სისხლძარღვთა ტონუსის რეგულირებაში გამოიწვია ამ რეგულაციის განმახორციელებელი სისტემის მეტაბოლური და ნეიროგენური რგოლების თეორიების ნაწილობრივი გაერთიანება.

ასეთივე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რიგი ორგანოების გლუვკუნთოვანი უჯრედების კონტრაქტილურ აქტივობაში კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის როლის დადგენამ.

სტატიაში, თავის ტვინისა და ენის არტერიების ტონუსის რეგულირების მაგალითზე განხილულია ლიტერატურის მონაცემები, მიძღვნილი ორგანოებში სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი სისტემის მეტაბოლური რგოლის ფუნქციონირებაში.

საკვანძო სიტყვები: აზოტის ოქსიდი, კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი, ვაზოდილატაცია

ორგანიზმში სხვადასხვა ორგანოების და უბნების სისხლით ადეკვატური მომარაგება საკმაოდ რთული მარეგულირებელი სისტემის მეშვეობით ხორციელდება. ზოგადად ეს სისტემა იყოფა სამ შემადგენელ ქვესისტემად, რომელთა ფუნქცია შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად [25]:

1. სისხლის ნაკადის ადგილობრივი (ლოკალური) რეგულირება ყოველ ინდივიდუალურ ქსოვილში მისი მეტაბოლური მოთხოვნის ადეკვატურად; ამ ქვესისტემას ხშირად მარეგულირებელი სისტემის მეტაბოლურ რგოლს უწოდებენ [85].

2. სისხლის ნაკადის ნერვული რეგულირება (ანუ მარეგულირებელი სისტემის ნეიროგენური რგოლი), რომელიც გავლენას ახდენს სისტემური და ორგანული ცირკულაციის შედარებით დიდ სეგმენტებზე, მაგალითად კანის სისხლით მომარაგების ცვლილება ორგანიზმის ტემპერატურული ჰომეოსტაზის შენარჩუნების მიზნით.

3. სისხლის ნაკადის პუმორული რეგულირება, ანუ სისხლში გახსნილი სხვადასხვა ნაერთებით (ჰორმონები, იონები და სხვა ქიმიური ნივთიერებები) სისხლის ნაკადის ლოკალური, ან გენერალიზირებული ცვლილება.

მე-20 საუკუნის დასასრულს აზოტის ოქსიდის როლის დადგენამ სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში ზემოთ მოყვანილი კონცეფციის ნაწილობრივი ტრანსფორმაცია მოახდინა.

ფართოდაა აღიარებული, რომ სისხლძარღვოვანი ტონუსი განპირობებულია ტონური, ეფერენტული იმპულსაციით სიმპათიკური ვაზოკონსტრიქტორული ინერვაციის მხრიდან. მაგრამ დადგინდა ისიც, რომ არსებობს, აგრეთვე, ვაზოდილატატორული ინერვაცია, რომლის მოქმედება ვაზოკონსტრიქტორული ინერვაციის საწინააღმდეგოა [53]. მიიჩნევენ, რომ სისხლძარღვთა ასეთი რეციპროკული ინერვაცია მნიშვნელოვან მარეგულირებელ როლს ასრულებს [67]. გაირკვა, რომ სისხლძარღვოვანი სისტემის მრავალ უბანზე ნეიროგენური ვაზოდილატაცია სწორედ აზოტის ოქსიდის (NO) მეშვეობით ხორციელდება. ის, რომ NO მოქმედებს, როგორც ნეიროტრანსმიტერი, ნათელია იქიდან, რომ NO-სინთაზას ინჰიბირება თრგუნავს ნეიროგენურ ვაზოდილატაციას, ხოლო L-არგინინის შეყვანა კვლავ აღადგენს ამ რეაქციას. ვაზოდილატატორულ ნერვს უწოდებენ “აზოტოქსიდერგულს” [67]. ამგვარად, აზოტის ოქსიდის გამოჩენამ სისხლძარღვთა ტონუსის მარეგულირებელ სისტემაში, პრაქტიკულად ნაწილობრივ გააერთიანა ამ სისტემის მეტაბოლური და ნეიროგენური რგოლები. ასეთივე პრინციპული როლი შეასრულა კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის როლის გარკვევამ ზოგიერთი ორგანოს გლუვკუნთოვანი უჯრედების კონსტრიქტორულ აქტივობაში [63].

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავაანალიზოთ სისხლძარღვოვანი ტონუსის მარეგულირებელი მეტაბოლური მექანიზმის კონცეფცია და განვიხილოთ იგი უახლესი მონაცემების გათვალისწინებით, ცერებროვასკულური და პირის ღრუს ორგანოების სისხლძარღვთა ტონუსის რეგულაციის მაგალითზე.

იდეა მეტაბოლიტების შესაძლო გავლენის შესახებ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ინტენსივობაზე პირველად გამოითქვა ჯერ კიდევ 1890 წელს [57]. კერძოდ, გამოითქვა მოსაზრება, რომ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დონე განისაზღვრება ორი ფაქტორით: სისტემური არტერიული წნევით და შიდა მექანიზმებით, რომლებიც ეფუძნება მეტაბოლიზმის პროდუქტების მოქმედებას და მათ უნარს შეცვალონ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევა ფუნქციური აქტივობის შესატყვისად. უფრო ადრე, ბაჟაყის დენერვირებულ კიღურში, გამოვლენილი იყო მეტაბოლიტების მონაწილეობა რეაქტიული პიპერემიის განვითარებაში [56]. შემდგომ, მეტაბოლური რეგულაციის თეორიამ ექსპერიმენტული დადასტურება გასკეისის შრომებში პპოვა [21]. ამ ავტორმა თეორიული საფუძველი ჩაუყარა მეტაბოლური თეორიის კონცეფციას, რომლის თანახმად მეტაბოლური მექანიზმი ერთ-ერთი წამყვანია თავის ტვინის კემოდინამიკის რეგულაციაში და უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას ფუნქციურ-მეტაბოლური აქტივობისადმი.

მეოცე საუკუნის 90-ან წლებამდე ძირითადი ვაზოაქტიური მეტაბო-  
ლიტების სია ასე გამოიყურებოდა: ნახშირორჟანგი, ადენოზინი, კალიუმის  
და წყალბადის იონები, პისტამინი, სეროტონინი, ბრადიკინინი და ა.შ. [27,  
41, 72, 81, 83, 88, 92]. აზოტის ოქსიდის აღმოჩენამ საუკუნის დასასრულს  
პრინციპულად შეცვალა ექსპერიმენტული კვლევის მიმართულება მთელი  
მსოფლიოს მასშტაბით და ყურადღება მთლიანად გადართო ამ ახალი  
ფაქტორის როლისა და ფუნქციის დადგენისადმი თავის ტვინის სისხლის  
მიმოქცევის რეგულაციაში [9, 10, 13, 18, 32, 78]. დადგინდა, რომ აზოტის  
ოქსიდი ძლიერი ვაზოდილატატორია, რომელიც თავდაპირველად იდენტი-  
ფიცირებული იყო, როგორც ენდოთელიუმ-დამოკიდებული რელაქსაციის  
ფაქტორი [20]. ახლა უკვე ცნობილია, რომ იგი აგრეთვე გამომწვევდება  
თავის ტვინშიც პერივასკულური ნერვების, გლიის, აქტიური ნეირონების  
მიერ და, ამდენად, შეუძლია ფართოდ აკონტროლოს სისხლის მიმოქცევის  
ინტენსივობა თავის ტვინში [10]. ზოგიერთ კვლევაში ნაჩვენებია იქნა, რომ  
აზოტის ოქსიდს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცერებროვასკულურ  
ბაზალურ ტონუსში და ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახში-  
რორჟანგით გამოწვეულ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მატებაში [33].  
ასევე მნიშვნელოვანი როლი მიანიჭეს აზოტის ოქსიდს სისტემური ჰიპოქ-  
სიის [32, 54] და ჰიპოტენზიის პირობებში [68]. ითვლება, აგრეთვე, რომ NO  
მნიშვნელოვანი მედიატორია ნეირონული აქტივობის, მეტაბოლიზმისა და  
ადგილობრივი სისხლის ნაკადის დონის შეუღლების საქმეში. გაირკვა,  
რომ აზოტის ოქსიდის სინთაზას ინიბიციია ამცირებს ცერებრულ  
ვაზოდილატაციას, ინდუცირებულს სენსორული სტიმულაციით [14].

ვაზოაქტიურ ფაქტორთა ცალკე ჯგუფს შეადგენენ მეტაბოლიზმის  
პროცესში წარმოქმნილი ადენინური ნუკლეოტიდები, ATP-ს დაშლის პრო-  
დუქტები: ADP, AMP, ადენოზინი, ინოზინი, ჰიპოქსანტინი, ქსანტინი, შარდ-  
მჟავა [90]. დადგენილია ამ ფაქტორების არსებობა ინტერსტიციალურ სი-  
თხეში, ლიქვორსა და სისხლში [5, 59].

ადენოზინის მატება თავის ტვინში შეიმჩნევა ჰიპოქსიის, ჰიპერკაპნიის,  
ჰიპოტენზიის და ნერვული ქსოვილის ფუნქციური გააქტივების დროს [60].  
ადენოზინის კონცენტრაცია სისტემური არტერიული წნევის დაცემიდან  
უკვე 10 წამის შემდეგ აღწევს მაქსიმუმს, რომელიც 5-ჯერ აჭარბებს  
კონტროლს, ხოლო მე-60 წამზე ადენოზინის შემცველობა ემთხვევა  
დონებს, რომლებიც საჭიროა სისხლძარღვების დიამეტრის გამოსატული  
ცვლილებისათვის, მისი ადგილობრივი აპლიკაციის პირობებში. ეს  
მონაცემები მიუთითებს, რომ ადენოზინს შეუძლია მნიშვნელოვანი გავ-  
ლენა მოახდინოს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევაზე. ამასთან, პ. გრე-  
გორის პუბლიკაციაში [24], გამოთქმულია ეჭვი ადენოზინის რაიმე როლის  
შესახებ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში იშემიის დროს.  
გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადენოზინის ვაზოაქტიური მოქმედება ხორ-  
ციელდება ცერებრული სისხლძარღვების გლუვი კუნთების სპეციფიკური  
ციტორეცეპტორების აქტივაციით [3, 84]. ასეთი სპეციფიკური რეცეპ-  
ტორების არსებობა ნაჩვენებია ცერებრული სისხლძარღვების ორგანი-

ზაციის ყველა დონეზე [16]. გამოვლენილია სხვადასხვა ცხოველების თავის ტვინის იზოლირებული სისხლძარღვების ვარიანტული რეაქტიულობა ადენოზინზე, რასაც უკავშირებენ ცხოველთა სახეობით განპირობებულ ადენოზინური რეცეპტორების განსხვავებულ განაწილებას თავის ტვინის სისხლძარღვებში [80].

ადენოზინის ინტრარტერიული შეყვანა, პერივასკულური აპლიკაციისგან განსხვავებით, არ იძლეოდა თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რაიმე ცვლილებას [8]. ამ ფაქტის ახსნას ეძებენ, როგორც წესი, პემატონ-ცეფალურ ბარიერში, თუმცა არის იმის საფუძველი, რომ არსებობს ნუკლეოტიდების ტრანსპორტის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია თავის ტვინის კაპილარების ენდოთელიუმთან [3]. შესწავლილია აგრეთვე ადენოზინის და აზოტის ოქსიდის როლი და ურთიერთობა ცერებრული სისხლის მიმოქცევისა და ნეირონული აქტივობის შეუღლებაში. ადენოზინის რეცეპტორების ანტაგონისტის, თეოფილინის აპლიკაციამ ტვინის ზედაპირზე 30 წუთით გამოიწვია სენსორულ გაღიზიანებაზე ცერებრული სისხლის ნაკადის რეჟაციის შემცირება. აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბიტორის, N-ომეგა-ნიტრო-არგინინის (L-NNA) თანაპლიკაციამ კიდევ უფრო გააძლიერა ცერებრული სისხლის ნაკადის შემცირების ეფექტი [14]. ავტორები ასკენიან, რომ ადენოზინი ჩართულია აღნიშნული შეუღლების რეალიზაციაში, რომ აზოტის ოქსიდიც მონაწილეობს ამ პროცესში და რომ არის ადენოზინსა და NO-ს შორის გარკვეული ურთიერთქმედება.

სისხლძარღვთა გლუვ კუნთებზე ადენოზინის მოქმედების მექანიზმისადმი მიძღვნილ საკმარისად დიდი რაოდენობით გამოქვეყნებულ ნაშრომთა მიუხედავად, ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველია. ასე მაგალითად, გაურკვეველია ადენოზინის როლი სისხლძარღვთა ვაზოკონსტრიქტორულ რეაქციაში, რომელიც ნანახი იყო ბოცერის თირკმლებში, სიმპატიკური ნერვის გაღიზიანების და ნორადრენალინის შეყვანის საპასუხოდ [30]. თვით ავტორები ამ რეაქციას ხსნიან არა ადენოზინის უშუალო ზემოქმედებით სისხლძარღვის კედელზე, არამედ განიხილავენ, როგორც ნერვული ბოლოებიდან ნორადრენალინის გამოთავისუბლების დათრგუნვით გაშუალდებულ რეაქციას.

არაერთგვაროვანია, ასევე, კალციუმის როლის განსაზღვრა ადენოზინით გამოწვეულ ვაზოდილატაციაში. კოვანისა და მისი ჯგუფის მონაცემებით, კალციუმი არ უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში [15, 37]. მაგრამ მ. შუბას ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევის თანახმად, ადენოზინის პირდაპირი მოქმედება ხორციელდება გლუვკუნთოვანი უჯრედის ზედაპირულ მემბრანაში უჯრედგარეთა კალციუმის უჯრედში შესვლის დათრგუნვით [82] და უჯრედშიდა კალციუმის კონცენტრაციის დაქვეითებით.

მეტაბოლური ფაქტორების რიცხვს, რომელთაც შეუძლიათ თავის ტვინის სისხლძარღვების გლუვი კუნთების ტონუსის მნიშვნელოვანი ცვლილება, პირველ რიგში მიეკუთვნება ნახშირორჟანგი [28]. ლიტერატურაში ბევრი მონაცემია არტერიულ სისხლში ნახშირორჟანგის პარციალური წნევისა ( $pCO_2$ ) და თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის კორელაციის შე-

სახეზე [35, 81]. ყველაზე დიდი მგრძობელობა არტერიული ნახშირორჟანგის პარციალური წნევისადმი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევას გააჩნია 20-60 mmHg-ს დიაპაზონში [55].

ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, ადენინური ნუკლეოტიდებისა და ნახშირორჟანგის გარდა თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არაორგანული იონები და, პირველ რიგში,  $K^+$ . ბეტცისა და მოსკალენკოს შრომებში ნაჩვენებია, რომ კატის თავის ტვინის ზედაპირზე კალიუმის 12 მკეკ/ლ კონცენტრაციის შემცველი ხელოვნური ლიქვორის აპლიკაცია იწვევს არტერიების გაფართოებას და  $pCO_2$ -ს მატებას ნერვულ ქსოვილში [7, 86]. ამ იონების მარეგულირებელი როლი, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს მათი მუდმივი არსებობით თავის ტვინის როგორც უჯრედებში, ისე უჯრედგარე სივრცეში. თავის ტვინის იშემიასას (ისევე, როგორც ნეირონების გააქტივებისას) კალიუმის იონების რაოდენობა უჯრედგარეთა სივრცეში მატულობს [2, 43]; იგივე ხდება ჰიპოქსიისას [43]. გასათვალისწინებელია, რომ ჰიპოქსიის დროს კალიუმის იონების მატება უჯრედგარეთა სივრცეში შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს და მაღალ სიდიდეებსაც მიაღწიოს (13 მმოლ-მდე) [34]. გამომდინარე ამ ფაქტიდან, ავტორები ვარაუდობენ, რომ კალიუმი რეგულაციის ნეიროგენურ კონტურთან ერთად ახორციელებს სისხლის მიმოქცევის რეგულაციის სწრაფი რგოლის ფუნქციობას [86]. არის აგრეთვე პუბლიკაციები, რომელთა შედეგები მოწმობს, რომ კალიუმს გააჩნია თავის ტვინის მსხვილი სისხლძარღვის კედელზე უშუალო მოქმედების უნარი და რომ ეს მოქმედება არ არის დამოკიდებული გარემოს pH-ზე [83], მაგრამ კალიუმის რეაქციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კალციუმის გარკვეული კონცენტრაციის შემთხვევაში პერივასკულურ სითხეში [6].

კალიუმის უშუალო მოქმედება ცერებრული არტერიების გლუვკუნთოვან უჯრედებზე შესწავლილია მხოლოდ მსხვილი სისხლძარღვების იზოლირებულ პრეპარატებზე [79].

ამგვარად, არსებული მონაცემები და მათი თეორიული გააზრება საშუალებას გვაძლევს კალიუმი განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი შესაძლო ფაქტორი, რომელიც უნდა მონაწილეობდეს ჰიპერემიის განვითარებაში და უზრუნველყოფდეს თანადობას ნერვული ქსოვილის ფუნქციურ აქტივობასა და მის სისხლით მომარაგებას შორის.

სისხლძარღვოვან გლუვ კუნთებზე ნერვული სისტემის მედიატორებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედება განპირობებულია სისხლძარღვთა კედელში სპეციფიკური რეცეპტორების არსებობით და მათი საკმაოდ კარგი ინერვაციით. მისტოქიმიური და ფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია ადრენერგული, პურიერგული, პეპტიდერგული და სხვა ტიპის რეცეპტორები [49, 69, 87, 91]. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პეპტიდერგულ ინერვაციას და რეცეპტორებს.

1962 წელს კოპმა და კოლეგებმა განაცხადეს პეპტიდ კალციტონინის არსებობის შესახებ [12]. პეპტიდის სტრუქტურის განსაზღვრამ აჩვენა, რომ

კალციტონინი ერთჯაჭვიანი პეპტიდური ჰორმონია, რომელიც 32 ამინომჟავას შეიცავს [47].

კალციტონინის გენის მოლეკულური კლონირებისას 1983 წელს აღმოჩენილი იყო კალციტონინის გენტან დაკავშირებული 37-მონომინიანი პეპტიდი – CGRP [58]. როგორც CGRP, ისე მისი რეცეპტორები ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ ნერვულ [38, 40, 62, 65, 71] და კარდიოვასკულურ სისტემებში [44, 64, 74, 77]. CGRP გვხვდება პერიფერიულ ნერვულ სისტემაშიც (სენსორულ განგლიებში), სადაც ხშირად თანაარსებობს სუბსტანცია P-თან [22].

არტერიულ სისტემაში CGRP-რეცეპტორები, განაწილების სხვადასხვა სიხშირით, ნააოვნია სისხლის მიმოქცევის როგორც პერიფერიულ, ისე ცენტრალურ სისტემებში; მსხვილ არტერიებში იგი იშვიათადაა წარმოდგენილი [42, 46]. როგორც წესი, CGRP-რეცეპტორების განაწილება შეესატყვისება თვით პეპტიდის განაწილებას [23, 31, 71]. თუმცა, არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ნათხეში, რომელიც გამოირჩევა რეცეპტორების სიჭარბით. უკანასკნელი მონაცემებით CGRP-რეცეპტორები ნათხეში, ძირითადად, გლიურ უჯრედებშია და არა პურკინეს უჯრედებში, როგორც ადრე იყო მიღებული.

CGRP პეპტიდს გააჩნია მაღალი ვაზოდილატატორული აქტივობა [17, 19, 70]; ამ პეპტიდის ფართო გავრცელება გულსისხლძარღვოვან სისტემაში და პერივასკულურ ნერვებში აგრეთვე მეტყველებს იმაზე, რომ იგი დიდ როლს უნდა თამაშობდეს პერიფერიული სისხლძარღვოვანი ტონუსის და ორგანოებში სისხლის ნაკადის რეგულაციაში [76].

უკანასკნელ წლებში მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მოწმობს, რომ CGRP იწვევს ენის არტერიის მნიშვნელოვან რელაქსაციას, რაც განპირობებული უნდა იყოს CGRP რეცეპტორების აქტივაციით [1]. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა აღიარებულია, რომ აზოტის ოქსიდი და მასთან დაკავშირებული კომპონენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინფორმაციის გადაცემაში ნერვული სისტემიდან სისხლძარღვოვან გლუვ კუნთებზე, როგორც პირველადი მესენჯერები [66], ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ბოცვრის ენის არტერიის შემთხვევაში ამ მოსაზრებას არ ადასტურებენ და, როგორც უკვე ითქვა, რელაქსაციის მთავარ მექანიზმად, აღნიშნული სისხლძარღვის შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ CGRP-რეცეპტორების აქტივაცია ამ სისხლძარღვის გლუვ კუნთებში. გარდა ამისა, საკვებით დასაშვებია, რომ CGRP-თ ინდუცირებული ენის არტერიის რელაქსაციის მექანიზმის ფუნქციონა ნაწილობრივ მაინც უნდა იყოს განპირობებული ATP-მგრძობიარე  $K^+$  არხების აქტივაციით. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა შემდეგი [36]:

1. ნორეპინეფრინით ინდუცირებული ტონუსის პირობებში, ელექტრული სტიმულაცია (გუანეთიდინის ფონზე, რომელიც თრგუნავს გლუვი კუნთის კონტრაქტურას) იწვევს დენდროთელიზებული პრეპარატის რელაქსაციას.

- ეს რელაქსაცია ენდოთელიუმ-დამოუკიდებელია და არ იცვლება არც პროპრანოლოლის (β-ადრენობლოკატორი) და არც ატროპინის (მუსკარინული ქოლინერგული ანტაგონისტი) მოქმედებით იმ კონცენტრაციებში, რომელიც თრგუნავდა აცეტილქოლინის რელაქსაციურ მოქმედებას, მაგრამ არ აფერხებდა ენდოთელიუმ-ინტაქტური პრეპარატის რელაქსაციურ რეაქციას ელექტრულ გაღიზიანებაზე.
- L-NAME, აზოტის ოქსიდის სინთეზის არასელექციური ინჰიბიტორი, იმ კონცენტრაციებში, რომელიც თრგუნავს დენდოთელიუმზეული პრეპარატის რელაქსაციურ რეაქციას აცეტილქოლინზე, ვერ ახდენს რაიმე გავლენას იგივე პრეპარატების ელექტროსტიმულაციით გამოწვეულ რელაქსაციაზე.
- CGRP-რეცეპტორების ანტაგონისტი CGRP(8-37) იმ კონცენტრაციით, რომელიც თითქმის სრულად სპობს ეგზოგენურად შეყვანილი CGRP-ს მოქმედებას, აინჰიბირებს ენის არტერიის ენდოთელიუმ-ჩამოცილებული პრეპარატების ელექტროსტიმულაციით გამოწვეულ რელაქსაციას.
- კაპსაიცინით პერივასკულური ნერვებიდან ენდოგენური CGRP-ს გამოფიტვამ შერჩევითად დათრგუნა ნეიროგენური რელაქსაცია.  
CGRP-(8-37) თავდაპირველად წარდგენილი იყო, როგორც CGRP-რეცეპტორების შესაძლო ანტაგონისტი [11]. ზღვის გოჭებში იგი თრგუნავდა CGRP-თ ინდუცირებულ წინაგულის კონტრაქტილურ რეაქციებს და ჯორჯლის არტერიის რელაქსაციას [26]. ამ უკანასკნელ ნაშრომში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ შესაძლოა არსებობდეს ორი ტიპის CGRP-რეცეპტორი: CGRP<sub>1</sub> და CGRP<sub>2</sub>. აქედან CGRP<sub>1</sub> სენსიტიურია CGRP(8-37) მიმართ, ხოლო CGRP<sub>2</sub> – არა.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ცდებში CGRP(8-37) თითქმის სრულად თრგუნავდა ენის არტერიის რელაქსაციას, როგორც მისი ელექტრული სტიმულაციისას, ისე ეგზოგენური CGRP-ს დამატების შემთხვევაში. ამდენად, ბოცერის ენის არტერიის პასუხები, მისი ნერვული ელემენტების ელექტრული სტიმულაციისას, განპირობებული უნდა იყოს CGRP<sub>1</sub>-რეცეპტორებით. რაც შეეხება ნარჩენ რეაქციას, რომელიც მიიღება CGRP(8-37)-თ ინჰიბიციის შედეგად, იგი ალბათ გამოწვეული უნდა იყოს ან ინჰიბიტორის შედარებით დაბალი კონცენტრაციით ( $2 \times 10^{-8}$  M), რაც არ იძლევა 100%-იანი ინჰიბირების გარანტიას, ან შესაძლოა ასახავდეს CGRP<sub>2</sub>-რეცეპტორების მცირე რაოდენობის აქტივობას [53].

არსებობს საკმაოდ ბევრი მტკიცებულება, რომ ATP-სენსიტიური K<sup>+</sup> არხები ვაზორელაქსაციაში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ [4, 48]. მრავალი მკვლევარი ამტკიცებს, რომ K<sup>+</sup> არხების გამხსნელების (მაგალითად, კრომაკალინის და პინაციდილის) რელაქსაციური ეფექტი გაწონასწორებულია კალიუმის უჯრედგარეთა კონცენტრაციის ზრდით [11]. ნაჩვენებია, რომ CGRP ააქტივებს ადენილატ-ციკლაზას და ზრდის ციკლური AMP-ს შემცველობას ვირთავის აორტის გლუვ კუნთებში [39]. ციკლური AMP-დამოკიდებული მექანიზმის შესაძლო ჩართვა გლუვ კუნ-

თებში ATP-სენსიტიური  $K^+$  არხების აქტივაციის პროცესში მტკიცდება იმითაც, რომ მიოციტებში გამოვლენილ იქნა ATP-სენსიტიური  $K^+$  არხების აქტივაცია ციკლური AMP-თი [51]. ამდენად, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ CGRP-თ ინდუცირებული ბოცვრის ენის არტერიის რელაქსაციაში ჩართული იყოს ATP-სენსიტიური  $K^+$  არხების აქტივაცია.

Wei et al. [73] აჩვენებს, რომ კატისებრთა ცერებრული არტერიოლების CGRP-ინდუცირებულ დილატაციაში მონაწილეობს ციკლური GMP-ზე დამოკიდებული მექანიზმი. ჩვენი მონაცემებით, ბოცვრის ენის არტერიის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული რელაქსაცია ატარებს ენდოთელიუმ-დამოუკიდებელ ხასიათს და, ამასთან ერთად, L-NAME-მ არ იქონია რაიმე გავლენა ენის არტერიის ნეიროგენურ რელაქსაციაზე. ამდენად, ნეიროგენური ვაზოდილატაცია, ჩვენს შემთხვევაში, არ არის დამოკიდებული აზოტის ოქსიდის გენერაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება cGMP-ს გენერაციას.

არ არის გამორიცხული, რომ აზრთა სხვადასხვაობა CGRP-ის ეფექტის მისაღწევად ენდოთელიუმის არსებობის აუცილებლობის შესახებ, გამოწვეულია მხოლოდ მეთოდური ასპექტებით. სავსებით შესაძლებელია, რომ ენდოთელიუმის არასრული ამოღებისას სისხლძარღვებში, ან ენდოთელიური ფენის დაზიანების შედეგად იმ სისხლძარღვებში, რომლებშიც ის ინტაქტურად ითვლება, მივიღოთ პრინციპული სხვაობა იმ კვლევის შედეგებში, რომლებშიც შეისწავლება ენდოთელიუმ-დამოკიდებული NO-სა და cGMP-ს აკუმულაციის როლი CGRP-ს საპასუხოდ მიღებულ ვაზო-რელაქსაციაში.

ამგვარად, CGRP-ს ძირითადი ბიოლოგიური ეფექტი არის გლუვი კუნთების რელაქსაცია [52, 61]. მისი ინტრავენური ინფუზია იწვევს სისტემური არტერიული წნევის დოზადამოკიდებულ დაქვეითებას, ხოლო მისი რეცეპტორების ანტაგონისტის გამოყენებისას ვიღებთ ამ ეფექტის რვეერსს.

ვინაიდან ელექტრული სტიმულაციით გამოწვეული ენის არტერიის რელაქსაცია მნიშვნელოვნად ითრგუნება კაპსაიცინით, სენსორული ნეიტროქსინით, რომელიც ფიტავს CGRP-ს შემცველობას ნერვებში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ CGRP არის ენის არტერიის სენსორულ ნერვებში და რომ ელექტრული სტიმულაციის შედეგად სწორედ CGRP-ს გამოთავისუფლება იწვევს ვაზოდილატაციას. ცნობილია, რომ სენსორული ნერვის პერიფერიული ტერმინალის აქტივაცია იწვევს ანტიდრომულ ვაზოდილატაციას ლოკალური აქსონ-რეფლექსის მექანიზმის გზით [45]. ვინაიდან ენის სისხლით მომარაგება ხდება ენის არტერიის მეშვეობით, მისი ვასკულური რეაქტიულობა აქტიური ნაერთებისადმი, ალბათ, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ენის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის თვალთახედვით.

## ლიტერატურა

1. დიასამიძე გ., დიასამიძე ი., გრიგორაშვილი ე., ვომელაური ღ., ბუჭაია გ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიულ. სერ. A, 2003, 29, 315-321.

2. *Astrup J., Norberg K.* Brain Res., 1976, 103, 418-423.
3. *Beck D., Vinters H., Pasquale A.* Brain Res., 1983, 271, 180-183.
4. *Berggreen E., Heyeraas K.* J. Dent. Res., 2003, 82, 33-37.
5. *Berne R., Rubio R., Curnish F.* Circul. Res., 1974, 35, 262-271.
6. *Betz E., Enzenross H., Virhov V.* Cerebral Circul. and Metabolism. Berlin, 1975, 49-51.
7. *Betz E.* Ionic interaction in Pial Vascular Smooth Muscle. J. Act. Vasc. Smooth Mus. Spec. Regard. Brain Vessels. Berlin, 1976, 75, 90-91.
8. *Boarini D., Kassel N., Sprowell J., Olin Yu.* Stroke, 1984, 15, 1057-1060.
9. *Brett D.S., Hwang P.M., Snyder S.H.* Nature, 347 (6295), 768-770, 1990.
10. *Brian J., Faraci F., Heistad D.* Clin. Exp. Pharmacol. Physiol., 1996, 23, 449-457.
11. *Chiba T., Yamagaguchi A., Yamatani T., Nakamura A., Morishita T., Inui T., Fukase M., Noda T., Fujita T.* Am. J. Physiol., 1989, 256, E331-E335.
12. *Copp D.H., Cameron E.C., Cheney B.A., Davidson A.G.F., Henze K.G.* Endocrinology, 1962, 70, 638-649.
13. *Dirnagl U., Lindauer U., Villinger A.* Neurosci. Lett., 1993, 149, 43-46.
14. *Dirnagl U., Niwa K., Lindauer U., Villinger A.* Am. J. Physiol., Heart Circ. Physiol, 1994, 267, H296-H301.
15. *Dutta F., Jones A., Mustafa S.* Basic Res. Cardiol., 1984, 79, 5, 519-530.
16. *Edvinsson L., Jensen J.* In: Proc. Int. Workshop: Adenosine and Xanthine. Oxford-Washibgton, 1986, 409-414.
17. *Ezra D., Laurind F., Goldstein D.S.* Eur. J. Pharmacol., 1987, 137, 101-105.
18. *Faraci F., Brian J.* Stroke, 1994, 25, 692-703.
19. *Franco-Cereceda A.* Br. J. Pharmacol., 1991, 102, 506-510.
20. *Furchgott R., Zawadsky J.* Nature, 1980, 228, 373-376.
21. *Gaskell W. J.* Physiol., 1880-1882, 3, 48-75.
22. *Goodman E.C., Iverson L.L.* Life Sci., 38:2169-2178, 1986.
23. *Goltzman D., Mitchell J.* Science, 1985, 227, 1343-1345.
24. *Gregory P., Boisvert D., Harper M., Murrey A.* Pflügers Arch., 1980, 386, 2, 187-192.
25. *Guyton A.C.* Textbook of Medical Physiology. Saunders Company, 1976.
26. *Han S-P., Naes Land Westfall T.C.* Biochem Biophys Res. Commun., 1990, 168, 786-791.
27. *Hansen N., Bgubaak A., Brattid D., Oh W., Stonestreet B.* Pediatr. Res., 1984, 18, 1132-1136.
28. *Harder D., Madden J.* Neural. Regul. Brain Circ., Amsterdam, 1986, 81-91.
29. *Harder D., Madden J.* Pflügers Arch., 1985, 403, 4, 402-404.
30. *Hedqvist P., Fredholm B.* Nainyn-Schmiedeberg Arch. Pharmacol., 1976, 293, 217-223.
31. *Holzer P.* Neuroscience, 1988, 24, 739-768.
32. *Hudetz A., Shen H., Kampine J.* Arc. Dis. Child. Fetal Neonatal. Ed. 1996, 75, F82-F86.
33. *Iadecola C.* Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1992, 89, 3913-3916.
34. *Kirshner H.S., Blank W.R., Meyer R.R.* Arch. Neurol., 1976, 33, 84-90.
35. *Kobari M., Gotoh F., Fuknuchi Y., Tanaka K., Suzuki N., Ulmatsu D.* Stroke, 1987, 18, 457-463.
36. *Kobayashi D., Todoki K., Ozono S., Okabe E.* Jpn. J. Pharmacol., 1995, 67, 329-339.
37. *Kovach A., Dora E.* In: Oxygen Transport to Tissue, New York, 1984, 315-325.
38. *Kruger L., Mantyh W., Sternini C., Brecha C., Mantyh C.* Brain Res., 1988, 463, 223-244.
39. *Kubota M., Moseley J., Butera L., Dusting G., MacDonald P., Martin T.* Biochem. Biophys. Res. Commun., 1985, 132, 88-94.
40. *Lee Y, Takami K., Kawai Y., Girgis S., Hillyard C., MacIntre I., Emson P., Tohyama M.* Neuroscience, 1985, 15, 1227-1237.
41. *Martins A., Doley T., Wright S., Boss B.* Stroke, 1980, 11, 469-476.
42. *McCormack D.C., Mak J., Coupe M.O., Barnes P. J.* Appl. Physiol., 1989, 67, 1265-1270.
43. *Morris M.* Can. J. Physiol. Pharmacol., 1974, 52, 4, 872-882.

44. Mulderry P.K., Ghatey M., Rodrigo J., Allen J.M., Rosenfeld M.G., Polak J.M., Bloom S.R. *Neuroscience*, 1985, 14, 947-954.
45. Muramatsu I., Fujiwara M., Miura A., Shibata S. *Pharmacology*, 1980, 21, 198-205.
46. Nakamura H., Fukuda Y., Koida M., Fujii N., Otaka A., Funakoshi S., Yajima H., Mitsuyasu N., Orlowski R. *Jpn. J. Pharmacol.*, 1986, 42, 175-180.
47. Neher R., Riniker B., Maier R., Byfield P., Gudmundsson T.V., MacIntre I. *Nature*, 1968, 220, 984-986.
48. Nelson M.T., Hung Y., Beyden J., Hescheler J., Standen N.B. *Nature*, 1990, 344, 770-773.
49. Nielsen K., Edvinsson L., Owman C. *Cerebral Circ. and Metabolism*. Berlin, 1975, 473-475.
50. Nillson L., Edvinsson I., Jansen I. *Ann NY Acad. Sci.*, 1992, 657, 510-512.
51. Notsu T., Tanaka I., Mizota M., Yanagibashi K., Fukutake K.A. *Life Sci.*, 1992, 51, 1851-1856.
52. Nuki C., Kawasaki H., Kitamura K., Takegana M., Kangawa K., Eto T., Wada A. *Biochem. Biophys. Res. Commun.*, 1993, 196, 245-251.
53. Okamura T., Ayajiki K., Uchiyama M., Uehara M., Toda N. *JPET*, 1999, 288, 1031-1036.
54. Pelligrino D., Koenig H., Albrecht R. *J. Cereb. Blood Flow. Metab.*, 1993, 13, 80-87.
55. Reivich M. *Amer. J. Physiol.*, 1964, 206, 25-35.
56. Roy C., Brown J. *J. Physiol.*, 1879, 2, 323-359.
57. Roy C., Sherrington C. *J. Physiol.*, 1890, 11, 85-108.
58. Rosenfeld M.G., Mermod J.J., Amara S.G., Swanson L.W., Sawchenko P., Rivier J., Vale W., Evans R. *Nature*, 1983, 304, 129-135.
59. Rubio H., Berne R. *Amer. J. Physiol.*, 1969, 216, 56-62.
60. Rubio H., Berne R., Winn H. In: *Cerebral vascular smooth muscle and its control*. Amsterdam:Elsevier, North Holland, 1978, 335-379.
61. Sakata J., Shimokubo T., Kitamura K., Nakamura S., Kangawa K., Matsuo H., Eto T. *Biochem. Biophys. Res. Commun.*, 1993, 195, 921-927.
62. Sexton P.M., McKenzie J.S., Mason R.T., Moseley J., Martin T.J., Mendelsohn F. *Neuroscience*, 1986, 19, 1235-1245.
63. Shen Y., Pittman T., Buie P., Bolduc D., Kene S., Koblan K., Gould R., Lynch J. *JPET*, 2001, 298, 551-558.
64. Sigrist S., Franco-Cereceda A., Muff R., Henke H., Lundberg J.M., Fisher J.A. *Endocrinology*, 1986, 119, 381-384.
65. Skofitsch G., Jacobowitz D.M. *Peptide*, 1985, 6, 721-745.
66. Toda N., Okamura T. *Am. J. Physiol.*, 1990, 259, H1511-H1517.
67. Toda N., Okamura T. *News Physiol. Sci.*, 1992, 7, 148-152.
68. Toyoda K., Fujii K., Ibayashi S., Nagao T., Kitazono T., Fujishima M. *J. Cereb. Blood Flow Metab.*, 1997, 17, 1089-1096.
69. Tsukahara T., Tanigushi T., Shimahata S., Fujiwara M., Haveda H. *Stroke*, 1986, 17, 202-207.
70. Uddman R., Edvinsson I. *Cerebrovasc. Brain Metab. Rev.*, 1989, 1, 230-252.
71. Ursell P.C., Ren C., Albala A., Danilo P. *Circ. Res.*, 1991, 68, 131-140.
72. Wahl M., Unterberg A., Whalley N., Bachtmann A., Young A., Edvinsson L., Wagner F. In: *Neural. Regul. Brain Circ.*, Amsterdam, 1988, 119-430.
73. Wei E.P., Moskowitz M.A., Boccalini P., Kontos H.A. *Circ. Res.*, 1992, 70, 1313-1319.
74. Wimalawansa S.J., MacIntre I. *Int. J. Cardiol.*, 1988, 20, 29-37.
75. Wimalawansa S.J. *Can. J. Physiol. Pharmacol.*, 1994, 72, Suppl. 2, 29
76. Wimalawansa S. *Endocrine reviews*, 1996, 17, 533-585.
77. Yoshizaki H., Takamiya M., Okada T. *Biochem. Biophys. Res. Commun.*, 1987, 146, 443-451.
78. Zoccoli G., Grant D., Wild J., Walker A. *Am. J. Physiol.*, Heart and Circulatory Physiology, 2001, 280, H2598-H2606.
79. Азиш А.Л., Плеханов И.П., Орлов Р.С., Вишневецкий Г.А. *Физиол. ж. СССР*, 1977, 63, 1567-1572.

80. *Азин А.Л., Климин В.Г., Митагвария Н.П., Бараташвили И.К.* Регуляторные механизмы кровоснабжения коры головного мозга. Екатеринбург, Наука, 1995.
81. *Вайнштейн Г.Б., Парфенов В.Е., Гайдар Б.В.* Физиол. ж. СССР., 1988, 74, 820-826.
82. *Гокина Н.И., Гурковская А.В.* Бюлл. эксперимен. биол. и медицины, 1981, 92, 261-264.
83. *Демченко И.Т., Буров С.В., Дерий А.И.* Физиол. ж. СССР, 1975, 61, 577-584.
84. *Кулинский В.И., Ольховский И.А., Ковальский А.А.* Вопросы медицинской химии, 1987, 3, 107-112.
85. *Митагвария Н.П.* Устойчивость циркуляторного обеспечения функций головного мозга. Тбилиси, Мецниереба, 1983.
86. *Москаленко Ю.Е.* Физиол. ж. СССР, 1984, 70, 1484-1497.
87. *Москаленко Ю.Е.* Физиол. ж. СССР, 1986, 72, 1027-1038.
88. *Орлов Р.С., Айвар Ю.Н.* Физиол. ж. СССР, 1979, 65, 1040-1045.
89. *Фетисова Т.В., Соколова Г.Г.* Кардиология, 1979, 1, 98-102.
90. *Халфен Э.Ш., Денисова С.Г.* Кардиология, 1975, 7, 51-56.
91. *Черток В.М., Ломакин А.В., Пиголкин Ю.И.* Бюлл. эксперим. биологии и медицины, 1987, 103, 215-218.
92. *Шамсутдинова А.Г.* Физиол. ж. СССР, 1980, 26, 63-67.

## АНАЛИЗ ОСОБЕННОСТЕЙ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ МЕТАБОЛИЧЕСКОГО ЗВЕНА СИСТЕМЫ РЕГУЛЯЦИИ ТОНУСА СОСУДОВ ГОЛОВНОГО МОЗГА И ЯЗЫКА. ОБЗОР

*Н. Митагвария, М. Дзюкия\*, Т. Чавчанидзе\**

Институт физиологии им. И.С. Бериташвили АН Грузии; \* Грузинская государственная медицинская академия

### РЕЗЮМЕ

Раскрытие роли оксида азота в регулировании сосудистого тонуса, вызвало, практически, частичное объединение теорий метаболического и нейрогенного механизмов этой регуляции. Такую же принципиально важную роль в контрактильной активности гладкомышечных клеток ряда органов сыграло выяснение роли пептида, связанного с геном кальцитонина (CGRP).

Вместе с тем, следует отметить, что хотя общепризнано, что оксид азота и связанные с ним компоненты играют значительную роль в передаче информации от нервной системы к сосудистым гладким мышцам (как первичные мессенджеры), результаты полученные при исследовании сократительной активности артерии языка не подтверждают данное соображение. Главным механизмом релаксации указанной артерии необходимо рассматривать активацию CGRP-рецепторов в ее гладкомышечных волокнах.

Помимо этого, вполне допустимо, что функционирование CGRP-обусловленного механизма релаксации артерии языка, хотя бы частично, должно быть опосредовано активацией АТФ-чувствительных  $K^+$  каналов.

Исходя из сказанного, в статье дается обзор данных литературы, анализирующих функционирование метаболического звена регуляции органного кровоснабжения на примерах регуляции тонуса сосудов головного мозга и языковой артерии.

## ANALYSIS OF FUNCTIONING PECULIARITIES IN METABOLIC LINK WITHIN THE SYSTEM OF VESSEL TONE REGULATION IN THE BRAIN AND IN THE TONGUE. A REVIEW

*N. Mitagvaria, M. Jikia\*, T. Chavchanidze\**

I. Beriatskhvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; \* Georgian State Medical Academy, Tbilisi

### SUMMARY

Discovery of nitric oxide role in regulation of the vessel tone practically result in partial unification of the metabolic and neurogenic theories of this regulation. Similarly important role has played revealing of the role of calcitonin gene-related peptide (CGRP) in contractile activity of the smooth muscles in a number of organs.

Meanwhile, it should be noted that although it is widely accepted that nitric oxide and related components play an important role in transmission of information from the nervous system to the smooth muscular vessels (as the primary messengers), the results obtained in the studies of contractile activity of the lingual artery did not confirm above idea. The major mechanism for relaxation of the mentioned artery implies activation of CGRP-receptors in its smooth muscular fibers.

In addition, it is possible that functioning of the CGRP-dependent mechanisms of the lingual artery relaxation, at least partly should be determined by activation of the ATP-sensitive  $K^+$  channels.

Considering all the above-mentioned, the reference data were reviewed, which analyse the metabolic link in regulation of the organ blood supply, exemplified by the tone regulation in the brain vessels and in the lingual artery.

## თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის სისტემის ასაკდამოკიდებული ცვლილებები

*ნ. ნიკურაძე, დ. შენგელია, თ. ღურწყაია\*, ნ. მითაგარია\**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; \* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 24.08.2004

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დაქვეითებულ ინტენსივობას, გლუკოზისა და ჟანგბადის მოხმარების სიჩქარის კლებას და ცერებროვასკულურ სისტემაში, განსაკუთრებით კი მიკროსისხლძარღვებში, სტრუქტურული ერთიანობის დარღვევას, განიხილავენ, როგორც ასაკოვანი ტვინის სისხლძარღვოვანი სისტემის დეგენერაციის დამახასიათებელ კომპონენტებს. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ჩატარებულ გამოკვლევებში შესწავლილია თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ასაკდამოკიდებული ცვლილება, როგორც ჯანმრთელ პირებში (კლინიკური დაკვირვებები), ისე საცდელ ცხოველებზე (ექსპერიმენტული კვლევები).

დაადგენილია, რომ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა ინდივიდის ასაკთან უარყოფით კორელაციაშია.

სტატიაში გაანალიზებულია ლიტერატურაში არსებული მონაცემები თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ასაკდამოკიდებული ცვლილებების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი სისხლის ნაკადი, თავის ტვინი, ასაკი

ცენტრალური ნერვული სისტემისათვის დამახასიათებელია კოგნიტიური ფუნქციის ასაკთან დაკავშირებული გრადუალური დაქვეითება და თანმდევი მორფოლოგიური დეზინტეგრაცია. ნეირონულ დონეზე ფიზიოლოგიურ ცვლილებებს თან სდევს ცერებროვასკულური პარამეტრების კარგად გამოხატული დაკნინება. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დაქვეითებულ ინტენსივობას, გლუკოზისა და ჟანგბადის მოხმარების სიჩქარის შემცირებას და ცერებროვასკულურ სისტემაში, განსაკუთრებით კი მიკროსისხლძარღვებში, სტრუქტურული ერთიანობის დარღვევას, განიხილავენ, როგორც ასაკოვანი ტვინის სისხლძარღვოვანი სისტემის დეგენერაციის დამახასიათებელ კომპონენტებს [6].

არაინვაზიური სკანირების გამოყენებით ჩატარებულ გამოკვლევებში შესწავლილია თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ასაკდამოკიდებული ცვლი-

ლება ჯანმრთელ პირებში [12, 22, 25]. კლინიკურ გამოკვლევებში, მსხვილ არტერიებში სისხლის ნაკადის გასაზომად, როგორც წესი, გამოიყენება დოპლერის ეფექტზე აგებული მარეგისტრირებელი მეთოდები, ხოლო ტვინის სხვადასხვა უბნებსა და სტრუქტურებში ადგილობრივი სისხლის მიმოქცევის აღრიცხვა წარმოებს როგორც პოზიტრონული ელექტრონული-ისე კონტრასტირებული კომპიუტერული ტომოგრაფიის მეთოდებით. ექსპერიმენტულ კვლევებში დოპლეროგრაფიის პარალელურად კვლავ იხმარება სისხლის მიმოქცევის სისტემაში რადიაქტიული იზოტოპების შეყვანის და წყალბადის ჩასუნთქვაზე აგებული და უკვე კლასიკურად აღიარებული მეთოდები.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დამახასიათებელი ცვლილებები სხვადასხვა ასაკის პირებში (დაწყებული 14 წლიდან და დამთავრებული 100 წლით) ორი განსხვავებული მიდგომით შეისწავლება. ზოგიერთ კვლევაში, მაგალითად, შესასწავლი პირები დაყოფილი იყო ორ პირობით ჯგუფად - ახალგაზრდები (60 წლამდე) და ასაკოვნები (60 წლის ზევით). ორივე ჯგუფში იზომებოდა თავის ტვინის სისხლის ნაკადი. დადგინდა, რომ ასაკოვანთა ჯგუფში სისხლის ნაკადი თავის ტვინში, ახალგაზრდებთან შედარებით, საგრძნობლად დაბალია [12, 13]. ამასთან ერთად, გამოყენებულია ასაკისა და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ინტენსივობის კორელაციის უწყვეტი შესწავლის მეთოდი [22], რომელიც გულისხმობს ცალკეული ინდივიდის ასაკისა და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ინტენსივობის გათვალისწინებას და კანონზომიერების გამოვლენას სიცოცხლის ხანგრძლივობასთან კავშირში. ამ ტიპის კვლევით დადგინდა, რომ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა უარყოფით კორელაციაშია ინდივიდის ასაკთან [10, 25].

სისხლის მიმოქცევის ინტენსივობა შესწავლილი იყო თავის ტვინის სხვადასხვა ქერქულ ზონებში (პრეფრონტალური, შუბლის, საფეთქლის, კეფის და თხემის), ბაზალურ განგლიებსა და ქერქვეშა თეთრ ნივთიერებაში. გაირკვა, რომ ასაკთან ერთად სისხლის ადგილობრივი ნაკადი ქერქისა და ბაზალური წინა ტვინის უბნებში პროგრესულად ქვეითდება, მაშინ როდესაც ქერქვეშა თეთრ ნივთიერებაში იგი შეიძლება უცვლელიც იყოს [20]. თეთრი ნივთიერების დაზიანებათა შემთხვევების დეტალურმა კვლევამ აჩვენა, რომ მათი სიმძიმე კორელირებს სისხლის ნაკადის დაქვეითების დონესთან, რაც საფუძველს იძლევა ამ ორ ფენომენს შორის დავამყაროთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი [12].

დოპლერის მეთოდით ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა აღწერილი შედეგები და უფრო მეტიც, ასაკოვან პირებში სისხლის ნაკადის ინტენსივობის დაქვეითება გამოავლინა თავის ტვინის ბაზალური არტერიის აუზშიც [13, 28].

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელ ასაკოვან პირებში დაქვეითებულია როგორც ლოკალური ცერებრული პერფუზიის დონე, ისე ნაკადის სიჩქარე რეზისტენტულ სისხლძარღვებში.

ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა, რომ ასაკოვან პირებში გაძლიერებული ვაზოკონსტრიქციის, ან დარღვეული ვაზოდილატაციის შედეგად, თავის ტვინში ხდება სისხლის ადგილობრივი ნაკადის შემცირება. ორივე შესაძლო მექანიზმი შემოწმებულ იქნა ახალგაზრდა და დაბერებულ ცხოველებში [7, 11]. ცერებროსპინალურ სითხეში აღენოზინის შეყვანამ გამოიწვია ცერებროვასკულური დილატაცია ცხოველთა ორივე ასაკობრივ ჯგუფში, მაგრამ თვით დილატაციის მასშტაბი ბევრად ნაკლები იყო დაბერებულ ცხოველებში [11]. სეროტონინის მაღალი დოზის სისხლძარღვშიდა შეყვანა დაბერებულ ცხოველებში იწვევს ვაზოკონსტრიქციის ზრდას, რაც თავის ტვინში ემთხვევა სისხლის ადგილობრივი ნაკადის დამატებით ვარდნას [7]. ეს მონაცემები მოწმობს, რომ ასაკოვნების თავის ტვინის სისხლით შემცირებული მომარაგება, ალბათ, ასახავს ცერებროვასკულური სისტემის მარეგულირებელი უნარის ცვლილებას კონსტრიქციისკენ წანაცვლებით, შესაძლოა, მაკომპენსირებელი ტონური ვაზოდილატატორული მექანიზმის დათრგუნვის შედეგად. ამის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ექსპერიმენტული მონაცემები, როდესაც nucleus basalis-ის ელექტრული სტიმულაცია იწვევდა სისხლის ადგილობრივი ნაკადის მატებას ქერქის თხემისა და შუბლის წილებში, აგრეთვე კუდიან ბირთვსა და თალამუსში (ახალგაზრდა ვირთაგვებში), მაგრამ იგივე სახის სტიმულაცია ასაკოვან ცხოველებში მხოლოდ შუბლის წილის ქერქსა და თალამუსში იწვევდა სისხლის ნაკადის მატებას [15]. ავტორები ვარაუდობენ, რომ აქ ადგილი აქვს nucleus basalis-გან გამოვალდი პერივასკულური ინერვაციის ასაკდამოკიდებულ დაზიანებას. იგულისხმება, რომ ეს ინერვაცია ცერებროვასკულური ტონუსის მარეგულირებელი სისტემის ერთ-ერთ რგოლს შეადგენს.

თავის ტვინის ქსოვილში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების ინტენსივობის მაჩვენებლად, როგორც წესი, გამოიყენება ჟანგბადის მეტაბოლიზმის და/ან გლუკოზის მოხმარების სიჩქარე.

ადამიანებზე ჩატარებული კლინიკური დაკვირვებები მოწმობს, რომ ასაკთან ერთად თავის ტვინში ჟანგბადის მეტაბოლიზმის სიჩქარე კლებულობს [26]. იგივე შედეგი იყო მიღებული გლუკოზის მოხმარების სიჩქარესთან დაკავშირებით; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული დაქვეითება განსაკუთრებით გამოხატულია ბაზალურ განგლიებში, ახალ ქერქსა და თალამუსში [14, 19]. გლუკოზის მოხმარების ანალოგიური დაქვეითება გამოვლენილია ასაკოვან ცხოველებშიც. 27 თვის ვირთაგვებში, 3-4 თვის ასაკის ვირთაგვებთან შედარებით, გლუკოზის მოხმარების დაქვეითება აღირიცხა თავის ტვინის მრავალ სტრუქტურაში, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰიპოკამპი [27, 29]. ამასთანავე დადგენილ იქნა ATP-სა და ფოსფოკრეატინინის ასაკდამოკიდებული დაქვეითებაც [9, 18].

ითვლება, რომ ჟანგბადის მეტაბოლიზმის და გლუკოზის მოხმარების სიჩქარისა და უჯრედული ენერგეტიკული სუბსტრატების პარალელური, სინქრონული დაქვეითება ნორმალურ ასაკოვანებში ზოგადად უნდა ასა-

ხავედეს დაბალი მეტაბოლური აქტივობისკენ გრადუალურ წანაცვლებას, რაც შესაძლოა ერთნაირი ალბათობით იყოს დაქვეითებული სისხლის მომარაგების როგორც მიზეზი, ისე შედეგი.

ასაკოვნების თავის ტვინში დაქვეითებული მეტაბოლური აქტივობის ერთ-ერთ მიზეზად განიხილავენ მიკროვასკულური კედლის შესაძლო დეფორმაციას, რაც, შესაბამისად, იწვევს ნივთიერებათა ტრანსპორტის შეფერხებას თავის ტვინში. აღნიშნავენ, აგრეთვე, მიკროსისხლძარღვების ანატომიის ასაკდამოკიდებულ დარღვევებსაც, რაც ურთიერთქმედებაში მოდის ცერებრულ მეტაბოლიზმსა და სისხლის მიმოქცევასთან და თავისი წვლილი შეაქვს კოგნიტიური ფუნქციის სუბოპტიმალური დონის წარმოქმნაში [4].

ალბათ ბუნებრივია, რომ ასაკოვან პირებში თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითებულ დონეს გააჩნია შესაბამისი მორფოლოგიური კორელატები. ცნობილია, რომ მიკროსისხლძარღვების დონეზე ტვინის მოცემულ უბანში, როგორც კაპილარების განაწილების სიმკვრივე, ისე კაპილარის კედლის ულტრასტრუქტურა განიცდის ასაკდამოკიდებულ ცვლილებებს [6]. თავის დროზე ითვლებოდა, რომ ასაკთან ერთად იზრდება კაპილარების განაწილების სიმკვრივე და ამის მიზეზად განიხილებოდა ქსოვილის შეჭმუხვნა და მოცულობის შემცირება [16], მაგრამ გაირკვა, რომ რეალურად ადგილი აქვს სიმკვრივის დაქვეითებას, როგორც ადამიანებში [1], ისე ექსპერიმენტულ ცხოველებში [23]. 30-85 წლის ასაკის პოპულაციის გამოკვლევამ აჩვენა რომ ასაკთან ერთად დაქვეითებულია მიკროსისხლძარღვების სიმკვრივე ჰიპოთალამუსის პარავენტრიკულურ ბირთვში [1]. ამავე დროს ნაჩვენებია, რომ ასაკოვანი ვირთაგვების თავის ტვინის ქერქსა და ჰიპოკამპში შემცირებულია კაპილარების სიმკვრივე [23]. ითვლება, რომ მიკროსისხლძარღვების განაწილების სიმკვრივის ასეთი ასაკდამოკიდებული შემცირება უნდა კორელირებდეს ინსულინის-მაგვარი ზრდის ფაქტორის დონესთან პლაზმაში, რაც, თავის მხრივ, უნდა აჩვენებდეს კალციუმის ჰომეოსტაზის, ან ცირკულირებადი ჰორმონული ფაქტორების შესაძლო ჩართვას კაპილარების სიმკვრივის უზრუნველყოფის პროცესში [23].

ასაკოვანი ვირთაგვების (32 თვის ცხოველები) ჰისტოლოგიური გამოკვლევით გამოვლენილია ცერებრული სისხლძარღვების ბაზალური მემბრანის სტრუქტურული დარღვევები ფრონტოპარიეტალურ და ენტორინალურ ქერქსა და ჰიპოკამპის CA1 ველში [3]. დარღვევები იწყებდა ჩამოყალიბებას მე-20 თვიდან და გამოიხატებოდა მიკროვასკულური ფიბროზით, ბაზალური მემბრანის გასქელებით. 30-ე თვეს აღნიშნული ცვლილებები უკვე მკვეთრად იყო გამოხატული. ნაჩვენებია ისიც, რომ დამატებითი რისკ-ფაქტორები, მაგალითად ჰიპერტენზია, როგორც წესი, აჩქარებს აღნიშნულ ცვლილებებს. ამ დროს ბაზალური მემბრანის სისქე შესაძლოა ნორმასთან შედარებით გაორმაგდეს [6]. ამასთან ერთად, სპეციალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნიმოდიპინით (კალციუმის არხის ბლოკატორი) 6-14 თვიანი მკურნალობის შემთხვევაში წარმატებით

ხდება ბაზალური მემბრანის გასქელების პრევენცია [2]. ამ და ანალოგიური კვლევების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კალციუმის პომეოსტაზის გაუმჯობესებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ცერებრული სისხლძარღვების ბაზალური მემბრანის მთლიანობის შენარჩუნებაში.

ასაკდამოკიდებული პათოლოგიური ცვლილებები აისახება არა მარტო ბაზალურ მემბრანის გასქელებაში. ვირთავებზე ნაჩვენებია, რომ ასაკთან ერთად გრადუალურად იზრდება დევენერირებადი პერიციტების გამოვლენის სიხშირე [5]. ასაკოვანი ტვინის პერიციტები, თავის მხრივ, ხასითდება მიტოქონდრიების ჰიპერტროფიით [8], მაშინ, როდესაც მიტოქონდრიული პოპულაცია (მათი საერთო რაოდენობა) უცვლელი რჩება [24]. გათვალისწინებელია ისიც, რომ ციტოპლაზმური ჩანართების რაოდენობის ზრდა და მიტოქონდრიების ჰიპერტროფია შეიძლება ასახავდეს სულ სხვა პროცესს – უჯრედის აქტივირებულ ფაგოციტურ სტატუსს. სხვა უჯრედი, რომელმაც შეიძლება განიცადოს ასაკობრივი ცვლილება, არის ენდოთელიოციტი. ზოგადი, ასაკდამოკიდებული ჰისტოლოგიური ცვლილებები ამ უჯრედებში გამოიხატება მათი დაგრძელებით და მიტოქონდრიების რაოდენობის შემცირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით აქტუალური ხდება პემატონცეფალური ბარიერის ფუნქციის კვლევა ასაკთან დაკავშირებით. ჯერ-ჯერობით, მიღებული შედეგები საკმაოდ წინააღმდეგობრივია. თუ საერთოდ შესაძლოა რაიმე ითქვას ბარიერის ფუნქციის ასაკდამოკიდებულ დარღვევაზე, იგი უნდა განისაზღვროს, როგორც მინიმალური, მნიშვნელოვანი ნევროლოგიური შედეგების გარეშე [17, 21].

**ლიტერატურა**

1. Abernethy W.B., Bell M.A., Morris M., Moody D.M. *Exp. Neurol.*, 1993, 121, 270-274.
2. De Jong G.I., Jansen A., Horvath E., Gispen W., Luiten P. *Neurobiol. Aging*, 1991, 13, 73-81.
3. De Jong G.I., Traber J., Luiten P. *Mech. Aging Dev.*, 1992, 64, 255-272.
4. de la Torre J.C. *Acta Neuropathol. (Berl.)*, 1999, 98, 1-8.
5. Farkas E., De Jong G.I., Apro E., Keuker J., Luiten P. *Neurobiol. Aging*, 2000, 100, 395-402.
6. Farkas E., Luiten P. *Progress in Neurobiol.*, 2001, 64, 575-611.
7. Hajdu M.A., McElmurry, Heistad D.D., Baumbach G. *Am. J. Physiol.*, 1993, 264, H2136-H2140.
8. Hicks P., Rolsten C., Brizzee D., Samorajski T. *Neurobiol. Aging*, 1983, 4, 69-75.
9. Hoyer S. *Arch. Gerontol. Geriatr.*, 1985, 4, 193-203.
10. Iwata K., Harano H. *Acta radiol.*, 1986, Suppl., 369, 440-443.
11. Jiang H.X., Chen P.C., Sobin S.S., Giannotta S.L. *Mech. Ageing Dev.*, 1992, 65, 257-276.
12. Kawamura J., Terayama Y., Talashima S., Obara K., Pavol M.A., Meyer J.S., Mortel K.F., Weathers S. *Exp. Aging Res.*, 1993, 19, 225-240.
13. Krejza J., Mariak Z., Walecki J., Szydlik P., Lewko J. *Ustymowicz A. Am. J. Roentgenol.*, 1999, 172, 213-218.
14. Kuhl D.L., Metter E., Roewe W., Hawkins R.A. *Ann. Neurol.*, 1984, 15, (Suppl.), S133-S137.
15. Linville D.G., Arneric S.P. *Neurobiol. Aging*, 1991, 12, 503-510.
16. Meier-Rouge W.J., Ulrich J., Abdel-Al S. In: Werthemimer J., Marios M. (Eds.). *Senile Dementia: Outlook for the future.* Alan R. Liss, New York, 1984, 125-135.
17. Mooradian A.D. *Neurobiol. Aging*, 1988, 9, 31-39.

18. Nakayama T., Takahashi H., Miyamoto M., Goto G., Nagai Y. *Neurobiol. Aging*, 1996, 17, 849-857.
19. Petit-Taboue M.C., Landeau B., Desson J.F., Desgranges B. *Neuroimage*, 1998, 7, 176-184.
20. Reich T., Rusinek H. *Stroke*, 1989, 20, 453-457.
21. Shah G.N., Mooradian A.D. *Exp. Gerontol.*, 1997, 2, 501-519.
22. Schultz S.K., O'Leary D.S., Boles Ponto L.L., Watkins G.I., Hichwa R.D., Andreasen N.C. *Neuroreport*, 1999, 10, 2493-2496.
23. Sonntag W.E., Lynch C.D., Cooney P.T., Hutchins P.M. *Endocrinology*, 1997, 138, 3515-3520.
24. Stewart P.A., Magliocco M., Hayakawa K., Farrell C., Del Maestro R., Girvin J., Kaufmann J.C., Vinters H.V., Gilbert J. *Microvasc. Res.*, 1987, 33, 270-282.
25. Tachibana H., Meyer J.S., Okayasu H., Kandula P. *Am. J. Roentgenol.*, 1984, 142, 1027-1034.
26. Takada H., Nagata K., Hirata Y., Satoh Y., Watahiki Y., Sugawara J., Yokoyama E., Kondoh Y., Shishido F., Inugami A. *Neurol. Res.*, 1992, 14, 2, Suppl., 128-131.
27. Tack W., Wree A., Schleicher A. *Histochemistry*, 1989, 92, 413-419.
28. Vriens E.M., Kraaier V., Musbach M., Wieneke G., van Huffelen A. *Ultrasound Med.*, 1989, 15, 1-8.
29. Wree A., Kaever C., Birgel B., Schleicher A., Horvath E., Zilles K. *Histochemistry*, 1991, 95, 591-603.

## ВОЗРАСТНЫЕ ИЗМЕНЕНИЯ В СИСТЕМЕ КРОВΟΣНАБЖЕНИЯ ГОЛОВНОГО МОЗГА

*Н. Никурадзе, Д. Шенгелия, Т. Гурцкая\*, Н. Митагвария\**

Тбилисский государственный медицинский университет; \* Институт физиологии им. И.С. Бериташвили АН Грузии

### РЕЗЮМЕ

В центральной нервной системе, наряду с возрастными морфологическими (дезинтегративными) изменениями, характерным является и градуальное снижение когнитивной функции. Развивающиеся при этом физиологические сдвиги на нейрональном уровне, как правило, протекают на фоне отклоненных от нормы цереброваскулярных параметров. Уменьшение интенсивности кровообращения, скорости потребления кислорода и глюкозы и нарушение структурного единства в системе микроциркуляции, рассматриваются в качестве компонентов, характеризующих развитие возрастных дегенеративных процессов в цереброваскулярной системе.

В исследованиях, проведенных неинвазивными сканирующими методами изучены возрастные изменения кровоснабжения головного мозга. В клинических исследованиях для измерения потока крови в крупных артериях, как правило, используется доплерографические методы, а интенсивность тканевого кровотока в различных структурах головного мозга регистрируется как позитронно-электронной-, так и контрастированной компьютерной томографией. В экспериментальных исследованиях, наряду с доплерографией, широко используются уже ставшие классическими методы клиренса радиактивных изотопов или молекулярного водорода.

Изучение корреляции между возрастом и интенсивностью кровоснабжения головного мозга выявило закономерность – интенсивность кровоснабжения головного мозга находится в обратной корреляции с возрастом индивида.

В статье дается обзор литературных данных, посвященных анализу указанной проблемы.

## AGE-RELATED ALTERATIONS IN THE SYSTEM OF THE BRAIN BLOOD SUPPLY

*N. Nikuradze, D. Shengelia, T. Gurtskaya\*, N. Mitagvaria\**

Tbilisi State Medical University; \* I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

### SUMMARY

Along with age-related morphological (desintegrating) alterations in the central nervous system, gradual decline of cognitive functions does occur. Physiological shifts developing in the process, at the neuronal level, as a rule occur on the background of deviant cerebrovascular parameters. Decreased intensity of circulation, attenuated velocity of oxygen and glucose consumption, and deterioration of structural integrity within the microcirculation system, are viewed as the components characteristic of developing age-related degenerative processes in the cerebrovascular system.

In the studies made with the non-invasive scanning methods, the age-related alterations of the brain blood supply were investigated. In clinical studies, measurement of blood flow in large arteries, as a rule, the Dopplerographic methods are implemented, while intensity of tissue blood flow is studied with an aid of positron emission- or contrast computer tomography. In experimental studies, along with Dopplerography, methods of radioactive isotopes- or molecular hydrogen clearance, which became the classical tools, are widely used.

Investigation of correlation between age and intensity of the brain blood supply has revealed that intensity of the blood supply is inversely proportional to an individual's age.

The paper is reviewing the literature data concerned with the above problem.

## **Mg<sup>2+</sup>-ATPაზური აქტივობის დამოკიდებულება სუბსტრატისა და მოდიფიკატორების კონცენტრაციაზე**

*ე. ნოზაძე, გ. ჭკადუა*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 28.06.2004

ცნობები Mg<sup>2+</sup>-ATPაზას არსებობის შესახებ დიდი ხანია არსებობს. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი და მისი ფუნქცია და მოქმედების მოლეკულური მექანიზმი უცნობია. Mg<sup>2+</sup>-ATPაზას შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი მრავალუნიანი ფერმენტული სისტემაა, რომლის სუბსტრატია Mg<sup>2+</sup>-ATP-ს კომპლექსი.

ფერმენტს Mg<sup>2+</sup>-ის დაკავშირების რამდენიმე (მინიმუმ, ორი) უბანი გააჩნია, რომელთაგან ერთი ინიზიტორულია, ხოლო მეორე – აქტივატორული.

საკვანძო სიტყვები: Mg<sup>2+</sup>-ATPაზა, სუბსტრატი, მოდიფიკატორი, აქტივაცია, ინიზიცია

ცოცხალ ორგანიზმებში მთელი რიგი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემბრანაში ლოკალიზებულ ATPაზებს, რომლებიც, ATP-ის ენერჯის ხარჯზე, აწარმოებენ იონთა ტრანსპორტს მემბრანაში. ესენია: Na<sup>+</sup>, K<sup>+</sup>-ATPაზა, Ca, Mg<sup>2+</sup>-ATPაზა, Ca<sup>2+</sup>-ATPაზა, აგრეთვე ბოლო დროს აღმოჩენილი და ჯერ კიდევ შეუსწავლელი Cu<sup>2+</sup>-ATPაზა, Zn<sup>2+</sup>-ATPაზა, Mn<sup>2+</sup>-ATPაზა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ATPაზები აქტივირდებიან Na<sup>+</sup>, K<sup>+</sup>, Ca<sup>2+</sup>, Cu<sup>2+</sup>, Zn<sup>2+</sup>, Mn<sup>2+</sup>, მათ აქტივატორს ხშირად წარმოადგენს Mg<sup>2+</sup>. ფიქრობენ, რომ ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ამ ATPაზების სუბსტრატს წარმოადგენს Mg<sup>2+</sup>-ATP-ის კომპლექსი. აღსანიშნავია, რომ ამ ATPაზების აქტივობის გაზომვას თან ახლავს, აგრეთვე, Mg<sup>2+</sup>-ATPაზური აქტივობაც, რომელიც ოუბაინ-არა-მგრძნობიარეა. Mg<sup>2+</sup>-ATPაზა ნაკლებად შესწავლილი ფერმენტია და მისი ფუნქცია უცნობია – წარმოადგენს ის სხვა ATPაზების ფუძეს, თუ არის დამოუკიდებელი ATPაზა, რომელიც აწარმოებს Mg<sup>2+</sup>-ის ტრანსპორტს.

ნაშრომში განხილულია Mg<sup>2+</sup>-ATPაზას მოლეკულური მექანიზმის ზოგიერთი საკითხი.

## მასალა და მეთოდები

პრეპარატად გამოიყენებოდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინის სინაფსური მემბრანების ფრაქცია, რომელიც მიიღება 1,2-0,9 M საქაროზას ფენებს შორის. ცილის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ლოურის მეთოდით [4], ხოლო არაორგანული ფოსფორი – მოდიფიცირებული ფისკე-სუბაროუს მეთოდით [3].  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობა ისაზღვრებოდა იმ სხვაობით, რომელიც მიიღებოდა სარეაქციო არეში  $Mg^{2+}$ -ის არსებობის და არარსებობის პირობებში, სხვა დანარჩენი პირობების მუდმივობისას ( $Tris-HCl - 50 \text{ mM}; \text{pH } 7,7$ ),  $Mg^{2+}$  და ATP კონცენტრაციის სხვადასხვა შემადგენლობის პირობებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის განსაზღვრისას ადგილი ჰქონდა, აგრეთვე O-ATP-ს არსებობაც, რომელიც ოუბაინ-მგრძობიარეა [2, 6]. ამიტომაც, შესწავლილი იქნა ოუბაინის კონცენტრაციაზე  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება, რის საფუძველზეც შერჩეული იქნა ოუბაინის კონცენტრაცია და  $Mg^{2+}$ -იან სარეაქციო არეში შეტანილი იქნა 0,2 mM ოუბაინი.

ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემები მკაცრად მუშავდებოდა სტატისტიკურად.

$Mg^{2+}$ -ATP-ს შესწავლისას გამოყენებული იქნა მრავალუნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის მეთოდები [1]. კერძოდ, რთული კინეტიკური მრუდების გეომეტრიული ფორმის ანალიზის მეთოდი, რაც “მინიმალური მოდელის პრინციპთან” ერთად, იძლევა რთული გეომეტრიული ფორმის მრუდის მქონე ფერმენტული სისტემების მოლეკულური მექანიზმის გაშიფრვის საშუალებას.

## შედეგები და მათი განხილვა

$Mg^{2+}$ -ATP-ს მოქმედების მოლეკულური მექანიზმის დადგენა საკმაოდ რთულია და, შესაძლოა, ამ სირთულითაა განპირობებული, რომ  $Mg^{2+}$ -ATP-ს (მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში დიდი ხანია არის მონაცემები მისი არსებობის შესახებ [7]) არ არის ბოლომდე შესწავლილი და მისი ფუნქცია და მოქმედების მოლეკულური მექანიზმი უცნობია.  $Mg^{2+}$ -ATP-ს ფერმენტული რეაქციის სიჩქარე წარმოადგენს მინიმუმ სამ ცვლადი ლიგანდის ფუნქციას:  $v = f(Mg^{2+}-ATP, ATP, Mg^{2+})$ . ამ სამ ლიგანდს შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულება:

$$[ATP] \cdot [Mg^{2+}] = K_T [Mg^{2+}-ATP] \quad (1)$$


სადაც,  $K_T$  არის წონასწორობის კონსტანტა და ტოლია 0,085 [5] (სიმარტივისათვის შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნა  $[ATP] - A$ ;  $[Mg^{2+}] - M$  და  $[Mg^{2+}-ATP] - S$ ).

$Mg^{2+}$ -ATP-ს მოლეკულური მექანიზმის გაშიფრვისათვის აუცილებელია კერძო ფუნქციების გამოკვლევა, რომლებიც მიიღება სამი ლიგანდიდან ერთ-ერთის ფიქსირებისას.


თუ აღებული იქნება ჯამური  $Mg^{2+}$  და ჯამური ATP, თანაბარი კონცენტრაციებით, მაშინ  $ATP_f$  და  $Mg_f^{2+}$  ერთდროულად იქნება მინიმალური.

(1) ტოლობიდან გამომდინარე,  $A = M = \sqrt{K_T S}$  და ფერმენტული რეაქციის სიჩქარის ტოლობა იქნება ირაციონალური ფუნქცია, სადაც ცვლადები იქნებიან S და  $\sqrt{K_T S}$  (ანუ A და M).

სურ. 1-ზე წარმოდგენილია  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე, შებრუნებულ კოორდინატებში, როდესაც  $A = M$ .  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაცია იცვლებოდა 0,106-4,380 mM ფარგალში. როგორც სურათიდან ჩანს,  $1/v = f(1/s)$  ფუნქციას გააჩნია ასიმპტოტა არგუმენტის უსასრულოდ დიდი მნიშვნელობისას, აქვს 2 მოტრიალებისა და გადაღუნვის წერტილი, ხოლო არგუმენტის მცირე მნიშვნელობისას ადგილი აქვს ფერმენტული სისტემის ინჰიბაციას. არგუმენტის დიდი მნიშვნელობისას (ექსტრემალურად მცირე s-ის დროს)  $1/v = f(1/Mg^{2+}-ATP)$  ფუნქციის სწორხაზოვნება აუცილებელი და საკმარისი პირობაა, რომ ითქვას, რომ  $Mg^{2+}$ -ATP წარმოადგენს სუბსტრატს ფერმენტული სისტემისათვის და მისი, როგორც აუცილებელი აქტივატორისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი არის ერთი. მრუდზე ორი მოტრიალების წერტილის არსებობა მიუთითებს, რომ  $Mg^{2+}$ -ATP-ს მრავალუბნიანი სისტემაა, რადგანაც ამ შემთხვევაში, მინიმალური p (ნაწილობრივი ეფექტის მქონე მოდიფიკატორებისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი) არის 2 და შეიძლება ითქვას, რომ ფერმენტული რეაქციის სიჩქარის ზოგადი ტოლობის პრიცხველში იქნება ან A, ან M და შესაძლოა S-ც.




სურ. 1.  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე, შებრუნებულ კოორდინატებში, როდესაც  $[Mg^{2+}] = [ATP_f]$ . წვეტილი ხაზი - ასიმპტოტა.




სურ. 2.  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე,  $Mg^{2+}$ -ATP-ის მუდმივი კონცენტრაციისას. 1 -  $[MgATP] = 0,15$  mM, 2 -  $[Mg^{2+}-ATP] = 1,2$  mM.

სურ. 2-ზე წარმოდგენილია სუბსტრატის მუდმივი კონცენტრაციის პირობებში  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ის კონცენ-

ტრაციაზე (ან, (1) ტოლობიდან გამომდინარე,  $v = f(1/A)$  დამოკიდებულება). 1 მრუდის შემთხვევაში  $S = 0,15 \text{ mM}$ , ხოლო 2 მრუდის შემთხვევაში –  $S = 1,2 \text{ mM}$ . აღსანიშნავია, რომ  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის როგორც მაღალი, ისე დაბალი ფიქსირებული კონცენტრაციისას, მიიღება რთული ფორმის მრუდები, რაც თვალნათლივ აჩვენებს, რომ  $\text{Mg}^{2+}$ -თვის  $p \neq 0$  და რომ M იქნება ფერმენტული რეაქციის სინქარის ზოგადი ტოლობის მრიცხველში.



სურ. 3.  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის აქტივობის (შებრუნებულ სიდიდეში) დამოკიდებულება  $\text{Mg}^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე.  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის მუდმივი კონცენტრაციისას ( $[\text{Mg}^{2+}\text{-ATP}] = 1,2 \text{ mM}$ ).




სურ. 4.  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე, შებრუნებულ კოორდინატებში,  $\text{Mg}^{2+}$ -ის სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციის დროს. 1 –  $[\text{Mg}^{2+}] = 0,25 \text{ mM}$ , 2 –  $[\text{Mg}^{2+}] = 0,5 \text{ mM}$ , 3 –  $[\text{Mg}^{2+}] = 4 \text{ mM}$ .

სურ. 3-ზე წარმოდგენილია  $\text{Mg}^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება (შებრუნებულ სიდიდეში)  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის მუდმივი კონცენტრაციისას ( $S = 1,2 \text{ mM}$ ). აღებული იყო  $\text{Mg}^{2+}$ -ის მაღალი კონცენტრაციები (2-12 mM). აღსანიშნავია, რომ მაღალი M-ის დროს, როდესაც თითქმის არ არის და ფიქსირებულია S, მიიღება სწორხაზოვანი მრუდი.  $1/v = f(\text{Mg}^{2+})$  ფუნქციის სწორხაზოვნება კი აუცილებელი და საკმარისი პირობაა, რომ ითქვას, რომ  $\text{Mg}^{2+}$  არის ინჰიბიტორი და მისთვის, როგორც სრული ინჰიბიტორისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი უტოლდება ერთს ( $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის მოლეკულური მექანიზმის ამსახველ სქემაში იქნება “ჩიხური“ განშტოება).


სურ. 4-ზე წარმოდგენილია  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე, შებრუნებულ კოორდინატებში,  $\text{Mg}^{2+}$ -ის სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციის დროს.  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაცია ისე იყო შერჩეული (0,10-0,25 mM), რომ ადგილი ჰქონდა სწორხაზოვან დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ  $\text{Mg}^{2+}$ -ის ფიქსირებული კონცენტრაციის ზრდასთან ერთად, იზრდება დახრაც. ამასთან ერთად, მცირდება ორდინატთა და აბსცისათა ღერძზე მოჭრილი მონაკვეთები და

წრფეები იკვეთება კოორდინატთა სისტემის I მეოთხედში. ყოველივე ეს იმის მანვენებელია, რომ  $Mg^{2+}$  წარმოადგენს  $Mg^{2+}$ -ATP-ის სისტემის ინჰიბიტორს და, იმავე დროს, აქტივატორსაც. ეს აქტივაცია შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ არსებობს უშუალოდ აქტივაციის უბანი, ან იმით, რომ ფერმენტზე შეიძლება მოხდეს სუბსტრატის აწყობა და მას ჯერ ATP დაუკავშირდეს და შემდეგ  $Mg^{2+}$  (ე.ი. ეს აქტივაცია სუბსტრატულია). იმის გასარკვევად,  $Mg^{2+}$ -ით აქტივაცია გამოწვეულია თუ არა ცალკე უბნის არსებობით, შესწავლილი იქნა  $Mg^{2+}$ -ის სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციის დროს

$Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ATP-ის მაღალი კონცენტრაციებზე - 0,5-3,0 mM (სურ. 5).



სურ. 5.  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე, შებრუნებულ კოორდინატებში,  $Mg^{2+}$ -ის სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციისას. 1 -  $[Mg^{2+}] = 4$  mM, 2 -  $[Mg^{2+}] = 0,25$  mM.



სურ. 6.  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის დამოკიდებულება  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე, შებრუნებულ კოორდინატებში, ATP-ის სხვადასხვა ფიქსირებული კონცენტრაციისას. 1 -  $[ATP] = 1$  mM, 2 -  $[ATP] = 0,085$  mM.

როგორც სურ. 5-დან ჩანს, შებრუნებულ კოორდინატებში,  $Mg^{2+}$ -ის ფიქსირებული დაბალი კონცენტრაციისას მიიღება რთული ფორმის მრუდი (ისევე, როგორც სურ.1-ის შემთხვევაში) და ნათლად არის გამოხატული ინჰიბიცია, ხოლო  $Mg^{2+}$ -ის ფიქსირებული მაღალი კონცენტრაციისას (ამ დროს, ATP-ის კონცენტრაცია იმდენად დაბალია (0,005-0,050 mM)  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციასთან შედარებით, რომ გამოირიცხებია სუბსტრატულ უბანზე მისი დაკავშირება და  $Mg^{2+}$ -ATP-ის კომპლექსის აწყობა) - არა და მრუდს აქვს ამოზნექილი ფორმა. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ფერმენტს გააჩნია  $Mg^{2+}$ -ის აქტივაციური უბანი. ამის კიდევ ერთხელ დადასტურებისათვის დავინტერესდით, რა სახის იქნებოდა ATP-ის ფიქსირებული სხვადასხვა კონცენტრაციისას  $Mg^{2+}$ -ATP-ის აქტივობის  $Mg^{2+}$ -ATP-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების ამსახველი მრუდები შებრუნებულ კოორდინატებში, რაც წარმოდგენილია სურ. 6-ზე.

აქაც ანალოგიური შედეგები მივიღეთ. კერძოდ, ATP-ის ფიქსირებული დაბალი კონცენტრაციის დროს მრუდს რთული ფორმა აქვს და არგუმენტის მცირე მნიშვნელობისას ხდება ფერმენტული სისტემის ინჰიბიცია, ხოლო ATP-ის ფიქსირებული მაღალი კონცენტრაციისას – არა.

ამრიგად,  $Mg^{2+}$ -ATP-ის მრავალუნიანი ფერმენტული სისტემაა, რომლის სუბსტრატს წარმოადგენს  $Mg^{2+}$ -ATP კომპლექსი და არა თავისუფალი ATP (რადგანაც ATP-ის კონცენტრაციის გაზრდისას ყოველთვის შეინიშნება ინჰიბიცია, ხოლო  $Mg^{2+}$ -ATP-ის შემთხვევაში ადგილი აქვს აქტივაციას და  $Mg^{2+}$ -ATP-ისათვის  $n = 1$ ). ფერმენტს  $Mg^{2+}$ -ის დაკავშირების რამდენიმე (მინიმუმ 2) უბანი გააჩნია, რომელთაგან ერთი არის ინჰიბიტორული, ხოლო მეორე – აქტივატორული.

$Mg^{2+}$ -ATP-ისას მოლეკულური მექანიზმის ზუსტი გაშიფრვისა და კინეტიკური სქემის შექმნისათვის საჭიროა უფრო დაწვრილებით იყოს შესწავლილი აღნიშნული ფუნქციები და ფიქსირებული ლიგანდის კონცენტრაციის ზრდისას ასიმპტომების ორდინატთა და აბსცისათა დერძთან გადაკვეთისა და დახრის ურთიერთდამოკიდებულება.

## ლიტერატურა

1. *Кометиани З.П.* Сообщения АН ГССР, 1982, 105, 401-404.
2. *Кометиани З.П., Цакадзе Л. Г., Зурабишвили Г. А.* Известия АН ГССР, сер. биол., 1975, 1, 46-50.
3. *Fiske G.H. Subbarow Y.J.* Biol. Chem., 1925, 66, 375-400.
4. *Lowry O.H. Rosenbrogh N.I.* J. Biol. Chem., 1951, 193, 265-275.
5. *Plesner L. Plesner I.* Biochem. Biophys. Acta, 1981, 643, 449-462.
6. *Plesner L. Plesner J. W. Norby I. Klodos I.* Biochem. Biophys. Acta, 1981, 643, 483-494.
7. *Skow J. Ch. Physiol. Rev.*, 1965, 45, 596-617.

## ЗАВИСИМОСТЬ $Mg^{2+}$ -АТФ-АЗНОЙ АКТИВНОСТИ ОТ КОНЦЕНТРАЦИИ СУБСТРАТА И МОДИФИКАТОРОВ

*Э. Нозадзе, Г. Чкадуа*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

О существовании  $Mg^{2+}$ -АТФазы известно давно. Но несмотря на это, она является ещё не до конца изученной ферментной системой и её функция и молекулярный механизм действия не известны. При попытке изучения нами  $Mg^{2+}$ -АТФазы, стало известно, что она является сложной ферментной системой, для которой субстратом является комплекс  $Mg^{2+}$ -АТФ. Ферментная система располагает несколькими центрами связывания  $Mg^{2+}$  (минимум два центра), из них один центр является ингибиторным, а другой возможно является активаторным.

# DEPENDENCE OF $Mg^{2+}$ -ATP-ASE ACTIVITY ON SUBSTRATE CONCENTRATION AND ON A MODIFIER

*E. Nozadze, G. Chkadua*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

INDUCED BY MYELIN BASIC PROTEIN IN THE JURKAT CELLS

## SUMMARY

Existence of  $Mg^{2+}$ -ATPase is a long-known fact. However, it is fully investigated enzyme system and its functions and molecular mechanisms of action are unknown. At an attempt to study  $Mg^{2+}$ -ATPase, we have found that it is a complex enzyme system and  $Mg^{2+}$ -ATP is its substrate. The enzyme system has several binding centers for  $Mg^{2+}$  (at least two centers) and one of these centers is an inhibitory and the other – an activating one.

Accepted 11.07.2004

Activation, proliferation or programmed cell death of T lymphocytes is regulated by the mitochondrial transmembrane potential through control of ATP synthesis. Creatine (Cr) is involved in energy production and its phosphorylated derivative acts as an energy (ATP) buffer system between the inner mitochondria and the cytosol. In Jurkat cells we have found that myelin basic protein (MBP) enhances mitochondrial succinate dehydrogenase activity, which apparently reflect early hyperpolarization of mitochondrial membrane and decrease the production of nitric oxide (NO) by Jurkat cells. The CREB pathway also increases under action of MBP, whereas the activity of another transcription factor – NF- $\kappa$ B does not change. Creatine decreases the activity of succinate dehydrogenase and increases the synthesis of NO in the constitutional levels. Our study suggests that Cr received major influence of Jurkat cells is induced by MBP.

**Key words:** human Jurkat cells, creatine, succinate, myelin basic protein, energy

Multiple sclerosis (MS) is a chronic inflammatory disease of the central nervous system white matter. The CD4<sup>+</sup> T-cells discovered in inflammatory plaques with respect to recognize a number of myelin and non-myelin antigens associated with the pathogenesis of MS [1]. These cells stimulate production of proinflammatory cytokines and cause inflammatory response with an expansion of secret mass of the blood within the nervous system, and recruitment of macrophages and antibody infiltration through opening of the blood-brain barrier. Suppression of T-cell apoptosis by anti-inflammatory treatment is used effective current therapies of MS [2]. Myelin basic protein is one of the most important components of the central nervous system (CNS). The MBP binds to negatively charged lipid on the cytosolic surface of oligodendrocytes and it believed to be responsible for the adhesion of these surfaces to the neighboring myelin sheath. The MBP is thought to be involved in the pathogenesis of MS and other neurological disorders.

Activation, proliferation or programmed cell death of T lymphocytes is regulated by the mitochondrial transmembrane potential through the control of ATP synthesis production of reactive oxygen species (ROS) and release of anti cell-killing factors. T-cell mitochondrial-induced mitochondrial hyperpolarization is mediated by ROS- and Ca<sup>2+</sup>-dependent PKC

## CREATINE NORMALIZES REDOX DISBALANCE INDUCED BY MYELIN BASIC PROTEIN IN THE *JURKAT* CELLS

B. Picthkhadze, D. Mikeladze

I. Beritashvili Institute of Physiology Georgian Academy of Sciences, Tbilisi

Accepted 21.07.2004

Activation, proliferation or programmed cell death of T lymphocytes is regulated by the mitochondrial transmembrane potential through control of ATP synthesis. Creatine (Cr) is involved in energy production and its phosphorylated derivative acts as an energy (ATP) shuttle system between the inner mitochondria and the cytosol. Using MTT test, we have found that myelin basic protein (MBP) enhance mitochondrial succinate dehydrogenase activity, which apparently reflect early hyperpolarization of mitochondrial membranes and decrease the production of nitric oxide (NO) by *Jurkat* cells. The CREB activity also increases under action of MBP, whereas the activity of another transcription factor – ATF-2 does not change. Creatine decreases the activity of succinate dehydrogenase and increases the synthesis of NO to the constitutional levels. Our study suggests that Cr restored redox imbalance of *Jurkat* cells induced by MBP.

**Key words:** human *Jurkat* cells, creatine, redox, myelin basic protein, energy

Multiple sclerosis (MS) is a chronic inflammatory disease of the central nervous system white matter. The CD4<sup>+</sup> T-cells discovered in inflammatory plaques are known to recognize a number of myelin and non-myelin antigens associated with the pathogenesis of MS [4]. These cells stimulate production of proinflammatory cytokines and cause inflammatory response with an expansion of second wave of the T-cell within the nervous system, and recruitment of macrophages and antibody infiltration through opening of the blood-brain barrier. Stimulation of T-cell apoptosis by anti-inflammatory steroids is most effective current therapies of MS [1]. Myelin basic protein is one of the most important components of the central nervous system (CNS). The MBP binds to negatively charged lipids on the cytosolic surface of oligodendrocytes and is believed to be responsible for adhesion of these surfaces in the multilayered myelin sheath. The MBP is thought to be involved in the pathogenesis of MS and other neurological disorders.

Activation, proliferation or programmed cell death of T lymphocytes is regulated by the mitochondrial transmembrane potential through the control of ATP synthesis, production of reactive oxygen species (ROS), and release of cell death-inducing factors. T-cell activation-induced mitochondrial hyperpolarization is mediated by ROS- and Ca<sup>2+</sup>-dependent NO

production, which finally results in apoptosis [5]. High-energy phosphate metabolism plays a critical role in the progression of many diseases, and compounds that increase the cell energy reserve are suggested to be protective. Creatine (Cr) is involved in energy production and its phosphorylated derivative (PCr) acts as an energy (ATP) shuttle system between the inner mitochondria and the cytosol, connecting the sites of energy production with the sites of energy consumption in the cell [6]. It has been shown that Cr increases the respiratory rate of mitochondria and has protective effects against damage in various cells.

## MATERIAL AND METHODS

**Jurkat cell culture.** The human *Jurkat* T cell line (clone E6-1) were obtained from the American Type Culture Collection (Manassas, VA). Cells were maintained in RPMI 1640 medium (Sigma) supplemented with 10% FBS (Sigma), 2 mM L-glutamine (Life Technologies), and 10  $\mu$ g/ml gentamicin (Life Technologies). Cells were grown at 37°C in a humidified atmosphere containing 5% CO<sub>2</sub>. Cells were passaged three times weekly and maintained at a density between 0.2 and 1 x 10<sup>6</sup> cells/ml. Cells used for all experiments were in logarithmic growth phase, and the medium used for experiments had the same constituents as that used for cell passage, unless otherwise indicated.


**MTT reduction cell viability assay.** Experiments were performed using glia/neurons and *Jurkat* cells cultured in 96-well plates. The effects of MBP (0.1 mg/ml) or creatine (1 mM) on cell viability was assessed by a colorimetric assay based on the cleavage of 3-(4,5-dimethylthiazol-2-yl)-2,5-diphenyltetrazolium bromide (MTT) into a blue-colored formazan product by mitochondrial succinate dehydrogenase. Additions were made directly to the culture medium for 3 hr. Cells then were washed twice with HEPES-buffered incubation medium (HBM) (140 mM NaCl, 5 mM KCl, 5 mM NaHCO<sub>3</sub>, 1.1 mM MgCl<sub>2</sub>, 1.2 CaCl<sub>2</sub>, 5.5 mM glucose and 20 mM HEPES, pH 7.4) and incubated for 45 min at 37°C in HBM containing MTT (0.5 mg/ml). After this period, the HBM was carefully removed, and the blue formazan product was solubilized in 300  $\mu$ l of 100% dimethyl sulfoxide. The absorbance of each well was read at 570 nm.

**Assay for NO synthesis.** Synthesis of NO was determined by assay of culture supernatants for nitrite. Briefly, 300  $\mu$ l of culture supernatant was allowed to react with 100  $\mu$ l of 10% Griess reagent and 2.6 ml deionized water, and incubated at room temperature for 30 min. The optical density of the samples was measured spectrophotometrically at 548 nm. Fresh culture medium served as the blank in all experiments.

**CREB and ATF-2 transcription activities** were determined by BD Mercury Transfactor Kit (Clontech) according to the manufacturer's protocol.

## RESULTS AND DISCUSSION

Using MTT-tests, we have found that addition of MBP to the culture medium stimulates proliferation of *Jurkat* cells. This stimulation diminished in the presence of Cr, suggesting that normalization of high-energy phosphate metabolism cause reduction of proliferation (Fig. 1A). The MBP, on the contrary, decreased the production of NO by *Jurkat* cells, while combined addition of Cr and MBP restored the rate of synthesis of nitric oxide (Fig. 1B).




**A** **B**  
 Fig. 1. Effect of creatine and MBP on formazan dehydrogenase (succinate dehydrogenase) activity (A) and nitrite production (B) by *Jurkat* cells.

The transcription factor cAMP response element-binding protein (CREB) is a potential target of ROS, and controls Bcl-2 levels and respectively viability of lymphoid cells [7]. The ROS inactivation of CREB occurs in activated T cells and is responsible for the decrease in Bcl-2, that may play a role in the downregulation of Bcl-2 and in subsequent sensitivity of T cells to apoptosis [2]. We found that MBP increase the activity of CREB and creatine does not change the DNA-binding activity of this transcription factors. These results suggest that enhancement of mobilization of ATP by creatine / creatine kinase systems increase CREB activity accompanying with viability of *Jurkat* cells.

The ATF proteins (ATF-2, ATF-3/LRF1, ATFa, and B-ATF-2) are members of the AP-1 family of leucine zipper transcription factors and can form DNA-binding homodimers or heterodimers with other family members such as JunD, c-Fos, and c-Jun. AP-1 mediates gene regulation in response to many extracellular stimuli and thereby regulates various cellular responses, such as proliferation, differentiation, cell survival, and apoptosis [3]. We found that sensitization of *Jurkat* cell by MBP does not change the activity of ATF-2, but the binding ATF-2 to DNA increase in the presence of Cr (Fig 2B). The obtained results suggest that ATF-2 does not participate in the MBP-induced increase of viability of cells.

The signaling networks that mediate activation, proliferation, or programmed cell death of T lymphocytes are dependent on complex redox and metabolic pathways. The IP3 formed after activation of T lymphocytes binds to its receptors in the endoplasmic reticulum, opening Ca<sup>2+</sup> channels that release Ca<sup>2+</sup> to the cytosol. Sustained increase of intracellular Ca<sup>2+</sup> levels mediates coupling of ATP production to metabolic need during T cell activation and activate various enzymes, including NOS. The formed NO further

reacts with cytochrome oxidase, increases the mitochondrial production of superoxide anion ( $O_2^-$ ), and depending on mitochondrial Mn-superoxide dismutase levels, the varying amounts of hydrogen peroxide ( $H_2O_2$ ). These changes accompanied by mitochondrial hyperpolarization, which has emerged as a critical, early, and reversible checkpoint associated with both T cell activation and apoptosis [5].



A B  
Fig. 2. Effect of creatine and MBP on CREB (A) and ATF-2 (B) transcription activities.

The MBP has a common determinant with CD3 and like anti-CD3 can induce proliferation of T-Cell [8]. We found that MBP increase the survival of *Jurkat* cells (data not shown) and this activation accompanied by reduction in synthesis of NO. Using MTT test (formazan dehydrogenase based indicator of mitochondrial succinate dehydrogenase activity), we demonstrate that MBP enhance mitochondrial succinate dehydrogenase activity, which apparently reflect yearly hyperpolarization of mitochondrial membranes. The CREB activity also increases under action of MBP, whereas the activity of another transcription factor – ATF-2 does not change. Besides, our studies shown that creatine decrease the activity of succinate dehydrogenase (MTT test) suggesting that in this case mitochondrial oxidative metabolism is normalized. These alterations are accompanied by increase the synthesis of NO to the constitutional levels implying that creatine restored redox balance of *Jurkat* cells.

## REFERENCES

1. Gold R., Hartung H.P., Toyka K.V. Mol. Med. Today, 2000, 6, 88-9.
2. Hildeman D.A., Mitchell M., Kappler J., Marrack P. J. Clin. Invest., 2003, 111, 575-581.
3. Jochum W., Passegue E., Wagner E.F. Oncogene, 2001, 20, 2401-2412.
4. Kerlero de Rosbo N., Bernard C.C., Simmons R.D., Carnegie P.R. J. Neuroimmunol., 1985, 9, 349-361.

5. Nagy G., Koncz A., Perl A. The Journal of Immunology, 2003, 171, 5188-5197.
6. Saks V.A., Khuchua Z.A., Vasilyeva E.V., Belikova O.Y., Kuznetsov A.V. Mol. Cell. Biochem., 1994, 133/134, 155-192.
7. Wilson B.E., Mochon E., Boxer L.M. Mol. Cell. Biol., 1996, 16, 5546-5556.
8. Zhang J.W., Weber W.E., Borst J., Vandenbark A.A., Raus J.C. J. Immunol., 1994 142, 3917-3922.

## კრეატინის ნორმალიზაცია მიელინის ფუკე ცილით ინდუცირებულ რედოქს-დარღვევებზე JURKAT უჯრედებში

*ბ. ფიჩხაძე, დ. მიქელაძე*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

### რეზიუმე

T-უჯრედების აქტივაცია, პროლიფერაცია და აპოფტოზი რეგულირდება მიტოქონდრიების ტრანსმემბრანული პოტენციალის და ATP-ის სინთეზის ცვლილებებით. კრეატინი და მისი ფოსფორილებული წარმოებული მონაწილეობენ ენერგეტიკული რესურსების თანაბარ განაწილებაში მიტოქონდრიებსა და ციტოპლაზმას შორის. MTT-ტესტის გამოყენებით ჩვენს მიერ დადგინდა, რომ მიელინის ფუკე ცილა (მშვ) ზრდის სუპრინატდამიოდროგენაზულ აქტივობას და ამცირებს აზოტის ოქსიდის პროდუქციას Jurkat-ის ტიპის ლიმფოციტურ უჯრედებში. მშვ-ის ზემოქმედებით იზრდება აგრეთვე რედოქს-მგრძობიარე ტრანსკრიპციის ფაქტორის – CREB-ის აქტივობა, ხოლო ტრანსკრიპციის ფაქტორი ATF-2 ცვლილებებს არ განიცდის. კრეატინი აქვეითებს სუპრინატდამიოდროგენაზულ აქტივობას და ზრდის აზოტის ოქსიდის სინთეზის კონსტიტუციურ დონემდე. მიღებული მონაცემები მეტყველებს, რომ კრეატინი იწვევს მშვ-ით ინდუცირებული დარღვეული რედოქს-ბალანსის ნორმალიზაციას Jurkat-ის ტიპის ლიმფოციტურ უჯრედებში.

## КРЕАТИН НОРМАЛИЗУЕТ НАРУШЕНИЯ В РЕДОКС СИСТЕМЕ КЛЕТОК JURKAT, ИНДУЦИРОВАННЫЕ ОСНОВНЫМ БЕЛКОМ МИЕЛИНА

*Б. Пичхадзе, Д. Микеладзе*

Институт физиологии им И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Активация, пролиферация и апоптоз Т-лимфоцитов регулируются изменениями митохондриального мембранного потенциала и интенсивностью синтеза АТФ. Креатин и его фосфорилированное производное представляют собой соединения, участвующие в перераспределении энергетических ресурсов между митохондриями и цитоплазмой. С исполь-

званием МТТ-теста нами было показано, что основной белок миелина (ОБМ) усиливает сукцинатдегидрогеназную активность и снижает продукцию оксида азота в клетках линии Jurkat. Под действием ОБМ повышается также активность транскрипционного фактора CREB, тогда как активность фактора транскрипции ATF-2 не меняется. Креатин снижает сукцинатдегидрогеназную активность и усиливает синтез оксида азота до конституционного уровня. Полученные данные свидетельствуют о том, что креатин нормализует ОБМ-индуцированные нарушения редокс системы клеток линии Jurkat.




Рис. 1. Влияние креатина на активность сукцинатдегидрогеназы и синтез оксида азота в клетках линии Jurkat. Данные представлены в виде среднего значения ± стандартное отклонение.

1. Gao Z, Pevsner NP, Teitel F. *Mol Biol* 2002; 6: 22-4.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 5.  
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2004, т. 30, № 5.  
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 5.

## **პერფორირებული ნაერთების გამოყენება მინისებრი სხეულის ღრუში ლუქსირებული ბროლის ქირურგიულ მკურნალობაში**

*ნ. ქარქაშიძე, ვ. თევზაძე, ი. ბერაძე*

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 7.07.2004

ბროლის ლუქსაცია მინისებრი სხეულის ღრუში და მისი თანამდგვე გართულებები თანამედროვე ოფთალმოქირურგიის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

აღნიშნული პათოლოგიით დაავადებულ 32 პაციენტს ჩატარდა ქირურგიული მკურნალობა: მათ შორის 19 შემთხვევაში აღინიშნებოდა ბროლის ლუქსაცია, ხოლო 13-ში – გართულებული იყო ბადურის ჩამოცლით.

ჩვენს მიერ დამუშავებული ქირურგიული მკურნალობის მეთოდი ნაკლებტრავმატულია, ეფექტურია და პოსტოპერაციულ პერიოდში საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მაღალი ვიზუალური შედეგი.

**საკვანძო სიტყვები:** თვალი, მინისებრი სხეული, ბროლი, ქირურგია, პერფორირებული ნაერთები

მინისებრი სხეულის ღრუში ლუქსირებული ბროლის ექსტრაქცია თანამედროვე ოფთალმოქირურგიის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. არსებობს მკურნალობის რამოდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული ქირურგიული მეთოდი, რომელთაც, სამწუხაროდ, თან ახლავს ოპერაციული და პოსტოპერაციული გართულებების მრავალფეროვანი სპექტრი. დენსვიტრექტომიის მეთოდის შემოღება, რა თქმა უნდა, დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია აღნიშნული პათოლოგიის სამკურნალოდ, თუმცა არც ეს მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვნად და მასაც გააჩნია ნაკლოვანება, კერძოდ, ბროლის ფიქსაცია ვიტრეოტომით მისი მინისებრი სხეულის ღრუდან ევაკუაციის დროს.

ჩვენი სამუშაოს მიზანია შევიმუშავოთ მინისებრი სხეულის ღრუში ლუქსირებული ბროლის ექსტრაქციის ისეთი ქირურგიული მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე შევამციროთ ოპერაციული და პოსტოპერაციული გართულებათა რიცხვი.

## მასალა და მეთოდები

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით ქირურგიული მკურნალობა ჩატარდა 32 პაციენტს (18-დან 72 წლამდე ასაკის, 14 მამაკაცი და 18 ქალი). 14 შემთხვევაში ბროლის ლუქსაცია განვითარდა მარფანის სინდრომის ფონზე, 15 შემთხვევაში აღინიშნებოდა თვალის კაკლის ბლავგი ტრავმა. 3 შემთხვევაში ბროლის მინისებრი სხეულის ღრუში ლუქსაცია განვითარდა ბროლის უკანა კაფსულის დაზიანების მიზეზით, ფაკოემულსიფიკაციის დროს. მხედველობის სიმახვილე, ქირურგიული მკურნალობის დაწყებამდე, მერყეობდა 0,1-დან 1,0-მდე, აფაკიური კორექციით და ეს მაჩვენებელი დამოკიდებული იყო ბადურა გარსის და მხედველობის ნერვის მდგომარეობაზე. 23 შემთხვევაში მომატებული იყო ოფთალმოტონუსი – მინისებრი სხეულის წინა საკანში თიაქარის, და მისი ბოჭკოებით წინა საკანის კუთხის ბლოკირების გამო. 13 თვალზე აღინიშნებოდა ბადურა გარსის ჩამოცლა, მათ შორის, 3 შემთხვევაში, ბადურას მოგლეჯა დაკბილული ხაზიდან 180°-ით და მეტით. ამის მიხედვით პაციენტები დაყოფილი იყვნენ 2 კლინიკურ ჯგუფად.

I ჯგუფი – 19 თვალი. აღინიშნებოდა ბროლის სრული ლუქსაცია მინისებრი სხეულის ღრუში. ბროლი მოთავსებული იყო ინტაქტურ ბადურა გარსზე.

II ჯგუფი – 13 თვალი. აგრეთვე აღინიშნებოდა ბროლის სრული ლუქსაცია მინისებრი სხეულის ღრუში, მაგრამ, I ჯგუფის პაციენტებისაგან განსხვავებით, ადგილი ჰქონდა ბადურა გარსის დაზიანებას. კერძოდ, 10 შემთხვევაში ის იყო ჩამოცლილი, ხოლო 3-ში – მოგლეჯილი დაკბილული ხაზიდან.

I ჯგუფის პაციენტებზე ჩატარებული ქირურგიული მკურნალობის ტექნიკა მდგომარეობდა შემდეგში: კონიუნქტივის განაკვეთის შემდეგ კეთდებოდა სკლერის 3 განაკვეთი ცილიარული სხეულის ბრტყელი ნაწილის პროექციაზე, ლიმბიდან 4 მმ-ს დაშორებით.

I განაკვეთში თავსდებოდა ინფუზიურ-საირიგაციო სისტემა, დანარჩენ 2-ში ვიტრეოტომის და ენდოგანათების დაბოლოება და ხორციელდებოდა სუბტოტალური ვიტრექტომია. ვიტრექტომიას განსაკუთრებული გულმოდგინებით ვაკეთებდით ლუქსირებული ბროლის გარშემო, მისი მინისებრი სხეულის ბოჭკოებისგან სრული განთავისუფლების მიზნით. ვიტრექტომიის ბოლოს მინისებრი სხეულის ღრუში ჰიალოიდური მემბრანის ვიზუალიზაციის მიზნით შეგვეყვდა 0,2 “კენალოგი”. ჰიალოიდური მემბრანის სრული აშრეების შემდეგ, მინისებრი სხეულში შეგვეყვდა პერფორის ორგანული ნაერთი (პვონ) – პერფორდეკალინი. პვონ-ის მონაცემები მოტანილია ცხრილში.

ცხრილი 1

ქიმიური ფორმულა	მოლეკულური წონა	კუთრი წონა	რეფრაქციული ინდექსი
$C_{10}F_{18}$	462	1,94	1,31

თავისი სიმძიმის ძალის გამო, პწონ თავსდებოდა თვალის ფსკერზე. ბროლი, თავისი კუთრი წონის გამო, ტივტივებდა პწონ-ის ზედაპირზე და ამ უკანასკნელით, მინისებრი სხეულის ღრუს ავსების შედეგად, ამოდიოდა გუგის მიდამოში. კორნეალური განაკვეთის შემდეგ, ხდებოდა ბროლის ევაკუაცია თვალის კაკლიდან და სრულდებოდა წინა საკნის ხელოვნური ბროლის იმპლანტაცია. კორნეალური განაკვეთის გაკერვის შემდეგ ვახდენდით პწონ-ის ჩანაცვლებას ფიზიოლოგიური ხსნარით. სკლერა იკერებოდა ჰერმეტიულად. კონიუნქტივაზე იდებოდა უწყვეტი ნაკერი.

II კლინიკური ჯგუფის პაციენტებში ჩატარებული ქირურგიული მკურნალობის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ბადურა გარსის ჩამოცლის მიზეზით, ოპერაციის საწყის ეტაპზე, ტრადიციული მეთოდით ვაკეთებდით კრიოპექსიას და ცირკულარულ პლომბირებას. ქირურგიული მკურნალობის დანარჩენი ეტაპი იდენტური იყო I კლინიკური ჯგუფის პაციენტთათვის ჩატარებული მკურნალობისა, ერთი განსხვავებით. მყარი ქორიორეტიული ნაწიბურების წარმოქმნის მიზნით, ოპერაციის ბოლო სტადიაზე ვაკეთებდით ენდოლასერკოაგულაციას.

### შედეგები და მათი განხილვა

პწონ-ის გამოყენების გამო, ოპერაციის მიმდინარეობისას, რაიმე სერიოზული გართულება არ აღინიშნებოდა. თვალის პოსტოპერაციული რეაქცია სუსტად ან ზომიერად იყო გამოხატული და მე-7-ე - მე-10-ე დღისთვის პრაქტიკულად ქრებოდა.

3 შემთხვევაში აღინიშნებოდა ოფთალმოტონუსის მომატება 28-32 mmHg, რისი კუპირებაც შესაძლებელი იყო ბეტა-ბლოკატორების ინსტილაციის საშუალებით. 3 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ბადურა გარსის რეციდივულ ჩამოცლას, რის გამოც აუცილებელი გახდა განმეორებითი ქირურგიული მკურნალობის ჩატარება. მხედველობის სიმახვილე ყველა პაციენტს მოემატა 0,2-0,4 ერთეულით და 2-წლიანი დაკვირვების განმავლობაში იყო სტაბილური.

ჩვენი აზრით, ლუქსირებული ბროლის ევაკუაცია მინისებრი სხეულის ღრუდან უნდა განხორციელდეს მისი დისლოკაციის ადრეულ სტადიაზე. რაც უფრო დიდ ხანს იმყოფება ლუქსირებული ბროლი მინისებრი სხეულის ღრუში, მით მეტია მეორადი გლაუკომის, დუნედ მიმდინარე ანთებითი პროცესის, ბადურა გარსისა და მხედველობის ნერვის დეგენერაციული ცვლილებების ალბათობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი ტექნიკურად ადვილი შესასრულებელია, საშუალებას იძლევა პაციენტს ადვილდინოთ და ხანგრძლივი დროით შეეუნარჩუნოთ მაღალი ფუნქციური შედეგი.
2. პერფორირებადი ნაერთის გამოყენება აღნიშნული პათოლოგიის დროს ნაკლებტრავმულია სხვა ქირურგიულ მეთოდებთან შედარებით და პაციენტთა რეაბილიტაციის მაჩვენებელი მაღალია.

## ПРИМЕНЕНИЕ ПЕРФТОРОРГАНИЧЕСКИХ СОЕДИНЕНИЙ ПРИ ХИРУРГИЧЕСКОМ ЛЕЧЕНИИ ЛЮКСИРОВАННОГО ХРУСТАЛИКА В ПОЛОСТИ СТЕКЛОВИДНОГО ТЕЛА

*Н. Каркашадзе, Г. Тевзадзе, И. Берадзе*

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Люксияция хрусталика в полости стекловидного тела и сопутствующие ему осложнения, являются серьезной проблемой современной офтальмологии.

Исследовано 32 пациента с указанной патологией, которым было проведено хирургическое лечение: из них, в 19 случаях у пациентов обнаружилась люксияция хрусталика, а у остальных 13 – осложнение с отслоением сетчатки.

Метод хирургического лечения, разработанный нами, является менее травматичным, более эффективным и в течение послеоперационного периода дает возможность получить высокий визуальный результат.

## USE OF PERFTORORGANIC COMPOUND IN SURGICAL TREATMENT OF LUXATED LENS IN THE VITREAL BODY CAVITY

*N. Karkashadze G. Tevzadze, I. Beradze*

Georgian State Medical Academy, Tbilisi

### SUMMARY

Luxation of the lens in the cavity of vitreal body and its concomitant complications represent one of the most serious problems of the modern ophthalmology.

Total of 32 patients with above pathology were treated surgically: among these, luxation of the lens was revealed in 19 patients, and in other 13 cases – luxation of the lens was complicated with detachment of the retina.

The surgical treatment method developed by us is a less traumatic, more effective, and in the postoperative period results in a possibility to reach the high visual result.

## სისხლის ლოკალური მიმოქცევა ზირთავების თავის ტვინის გამჭვირვალე ძვიდეში ქცევის ინფორმაციული პათოლოგიის განვითარების საწყის სტადიაზე

ა. ქვანაკიძე, მ. ნებერიძე, ლ. გუმბერიძე,  
ა. ერქომაიშვილი, ნ. ფიფია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 6.07.2004

წყალბადის კლირენსის მეთოდით შესწავლილია სისხლის ლოკალური ნაკადის ცვლილება ვირთავების თავის ტვინის გამჭვირვალე ძვიდეში ქცევის ინფორმაციული პათოლოგიის საწყის სტადიაზე. ამ სტადიის ფორმირება ხდებოდა ხანმოკლე უარყოფითი ემოციური დაძაბულობის საშუალებით, რომელიც ვითარდებოდა დაყოვნებული რეაქციების ხანმოკლე ტენსიონებისას (15-18 დღე, არაპირდაპირი მეთოდი, დაყოვნების დრო 2-3 წმ), სინჯთაშორის დროის დეფიციტისა (30 წმ) და მაღალი კვებითი მოტივაციის პირობებში.

ნაჩვენებია სისხლის ლოკალური ნაკადის მატება პათოლოგიის საწყის სტადიაზე მყოფი ვირთავების თავის ტვინის გამჭვირვალე ძვიდეში, საკონტროლო ცხოველებთან შედარებით, რაც გამოწვეული უნდა იყოს აღნიშნული სტრუქტურის ფუნქციური აქტივობის მომატებით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განპირობებულია ხანმოკლე უარყოფითი ემოციური დაძაბულობით და შეიძლება ჩაითვალოს ტვინის თვითმარეგულირებელი მოქმედების ერთ-ერთ გამოვლენად.

საკვანძო სიტყვები: ქცევის ინფორმაციული პათოლოგია, სისხლის ლოკალური ნაკადი, გამჭვირვალე ძვიდე, უარყოფითი ემოციური დაძაბულობა

ცნობილია, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგია, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ფორმა – ქცევის ინფორმაციული პათოლოგია, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმის სისტემათა ნორმალურ ფუნქციონებაში სხვადასხვა სახის ცვლილებებს იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პათოლოგიის დროს დომინირებულ სინდრომებს მიეკუთვნება ემოციური სფეროს დარღვევები, რომელთა ვეგეტატიურ კომპონენტს სისხლის ლოკალური ნაკადის შესაბამისი ცვლილება წარმოადგენს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიმბური სისტემის

სტრუქტურებში ამ ცვლილების გამოვლენით (რაც წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს), შესაძლებელი გახდება მსჯელობა ამ სტრუქტურების, კერძოდ კი – გამჭირვალე ძვიდის როლის შესახებ მოტივაციურ-ემოციური სფეროს რეგულაციაში [5] აღნიშნული პათოლოგიის დროს.

## მასალა და მეთოდები

ცდები ტარდებოდა ზრდასრული მამრი ვირთაგვების ორ ჯგუფზე: 10 ექსპერიმენტულ ვირთაგვაზე და 7 საკონტროლოზე. ორივე ჯგუფზე გამო-მუშავდებოდა მხედველობითი გამღიზიანებლის სივრცითი დისკრიმინაცია, პირობითი რეფლექსების კვებით-მამოძრავებელი მეთოდით. ცდების პირ-ველი ნაწილი საკონტროლო ჯგუფზე ამით სრულდებოდა. ექსპერიმენტულ ჯგუფზე კი იწყებოდა დაყოვნებული რეაქციების ტესტირება (ხანმოკლე მეხსიერების ფუნქციის ინფორმაციული გადატვირთვის მიზნით). გამო-იყენებოდა ჰანტერის დაყოვნებული რეაქციების არაპირდაპირი ვარიანტი, ბერიტაშვილის მოდიფიკაციით [1]. ცდები ტარდებოდა გალიაში, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგებოდა – სასტარტო (40 × 70 სმ), სადაც იმყო-ვებოდა ცხოველი, და საექსპერიმენტო (90 × 100 სმ). ეს ორი განყოფილება ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო ასაწვეი გამჭვირვალე კარით. საექს-პერიმენტო განყოფილების წინა კედელზე, მარჯვნივ და მარცხნივ იყო 2 სარკმელი (2 × 2 სმ), რომელთა უკან თავსდებოდა საკვებურები. პირობითი სიგნალის წყაროები (ელექტრული ნათურა, 60 ვტ) მაგრდებოდა საკვებ-ურების ზემოთ. უპირობო გამღიზიანებლად გამოიყენებოდა ხორცის პა-ტარა ნაჭრები. თითო ცდა ტარდებოდა დღის ერთსა და იგივე დროს. ვირ-თაგვას ეძლეოდა 10 პირობითი სიგნალი (5 მარჯვნივ, 5 მარცხნივ) გელერ-მანის შემთხვევით რიცხვთა ცხრილით. დაყოვნების დრო შეადგენდა 2-3 წმ, პირობით სიგნალთა შორის ინტერვალი – 30 წმ.

ვირთაგვების ემოციური მდგომარეობა მოწმდებოდა ღია ველის ტესტით, 3 წთ-ს განმავლობაში [11, 12], შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: გადა-კვეთილი კვადრატები, თავის აწევა, ვერტიკალური დგომა, ცენტრში შეს-ვლა, სოროს რეფლექსი. შემდეგ ეტაპზე ხდებოდა ლოკალური სისხლის ნაკადის რეგისტრაცია წყალბადის კლირენსის მეთოდით [9]. ვირთაგვები ნარკოზდებოდნენ ნემბუტალის (40 მგ/კგ) ინტრაპერიტონეულად შეყვანით. ხდებოდა თავის ქალას ტრეპანაცია, ტვინის მაგარი გარსის მოცილება და 200 მკმ დიამეტრის პლატინის გამზომი ელექტროდების ჩანერგვა გამჭვირ-ვალე ძვიდში. ინდიფერენტული ქლორირებული ვერცხლის ელექტროდი მაგრდებოდა ცხოველის თავის კანის ქვეშ. საკონტროლო და ექსპერი-მენტულ ცხოველებზე მიღებული შედეგების სტატისტიკურ სარწმუნოობას გამოწმდებით სტიუდენტის t-ტესტით.

## შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტის მსვლელობისას გამოვლინდა, რომ პირობით გამღიზი-ანებლებზე დაყოვნებული რეაქციების განხორციელება, “ინფორმაციული

ტრიადის" ფაქტორთა (2-3 წმ-იანი დაყოვნება, 30 წმ-იანი სინჯთაშორისი ინტერვალი, მაღალი კვებითი მოტივაცია) არახელსაყრელი შეხამებისას ვირთაგვებისთვის რთულ ამოცანას წარმოადგენს. ეს სირთულე იწვევს უარყოფითი ემოციური დაძაბულობის განვითარებას და, საბოლოოდ, ქცევის ინფორმაციული პათოლოგიის ჩამოყალიბებას, რაც პირობითრეფლექსური მოქმედებისა და ქცევით-ემოციური მახასიათებლების სხვადასხვა ცვლილებებით გამოიხატება. ასე, სწორი პასუხების რაოდენობა, როგორც წესი, არ აღემატებოდა შემთხვევითი გადაწყვეტის დონეს და შეადგენდა 50-60%-ს. ოთხ ცხოველს განუვითარდა პერსევერაცია - ისინი სტერეოტიპულად მირობდნენ ერთ-ერთ საკვებურთან. შეიცვალა ქცევა: 5 ცხოველს თავიდანვე შეენიშნებოდა ემოციური დაძაბულობის ნიშნები, რაც თანდათან ძლიერდებოდა - პირობითი გამლიზიანების ექსპოზიციისა და დაყოვნების დროს ვირთაგვები იწყებდნენ შფოთვის, კარის აწვეამდე ცდილობდნენ სასტარტო განყოფილებიდან ამოხტომას, სინჯთაშორის ინტერვალში აქტიურად გადაადგილდებოდნენ, ზოგჯერ ღრღინდნენ კარს. ერთ-ერთ ვირთაგვას შეეცვალა ემოციური რეაქცია - იგი აგრესიულად ექცეოდა თანამოძმეებსა და ექსპერიმენტატორს. მეორე ვირთაგვას აღენიშნა საექსპერიმენტო გარემოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების საწყისი ნიშნები - სინჯთაშორის ინტერვალში ცდილობდა ამოხტომას, თუმცა, დაყოვნების დროს გასვლისა და კარის აწვევის შემდეგ მიდიოდა საკვებურთან და სწორი რეაქციის შემთხვევაში - ხორცს ჭამდა.

დანარჩენი 5 ვირთაგვა მომატებული ემოციური დაძაბულობის თვალსაჩინო ნიშნებს არ ამჟღავნებდა: არ იყო ამოხტომის მცდელობები, ზოგადი მოძრაობითი აქტივობა, მაგრამ ამასთან ერთად გაძლიერდა გრუმინგი, შეინიშნებოდა გამოტოვებული სინჯები (ცხოველი რეაგირებდა პირობით გამლიზიანებულზე, მაგრამ არ მიდიოდა საკვებურთან), გაიზარდა საკვებურთან მისვლის დროც. ორ ცხოველს შეეცვალა ემოციური რეაქცია, ისინი მშინებები გახდნენ. ლიტერატურის მონაცემების მიხედვით [2, 3, 6, 7] აღწერილი ემოციურ-ქცევითი ცვლილებები, განვითარების დინამიკის მიუხედავად, მიუთითებენ პათოლოგიის საწყისი სტადიის ფორმირებაზე.

ცდები ტარდებოდა 15-18 დღე. მომდევნო დღეებში მოწმდებოდა წინასწარ გამომუშავებული პირობითი რეფლექსები თანადროულ პირობით გამლიზიანებულზე. აღმოჩნდა, რომ სწორი პასუხების რაოდენობა 70-80%-ს შეადგენდა, ე.ი. სარწმუნოდ აღემატებოდა არასწორი პასუხების რაოდენობას. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პათოლოგიის საწყის ეტაპზე ხანგრძლივი მესხიერების ფუნქცია უმნიშვნელოდაა დარღვეული. ღია ველის ტესტში, რომელიც ტარდებოდა 2-3 წამიანი დაყოვნების შემოტანამდე და ცდების ბოლოს, მე-17-მე-20 დღეებში, ნაჩვენები იქნა, როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ძებნითი აქტივობის შემცირება, რაც უარყოფითი ემოციური დაძაბულობის გაძლიერების მაჩვენებელია [11, 12]. ასე: გადაკვეთილი კვადრატების რიცხვი შემცირდა  $20 \pm 1,2$ -დან  $8,1 \pm 0,8$ -მდე ( $p < 0,01$ ), ვერტიკალური დგომები -  $2,8 \pm 0,7$ -დან  $0,8 \pm 0,3$ -მდე ( $p < 0,05$ ), თავის აწვეები -  $7,3 \pm 0,9$ -დან  $2,8 \pm 0,6$ -მდე ( $p < 0,01$ ), სოროს რეფლექსი -  $2,5 \pm 0,7$ -დან  $0,5 \pm 0,2$ -მდე ( $p < 0,05$ ), ველის ცენტრში შესვლა -  $0,7 \pm 0,3$ -დან 0-მდე ( $p < 0,05$ ).

სისხლის ლოკალური ნაკადის რეგისტრაციამ გამოავლინა მისი ინტენსივობის საშუალო დონის მატება ექსპერიმენტული ჯგუფის ვირთაგვების თავის ტვინის გამჭვირვალე ძგიდეში –  $44,7 \pm 1,7$  მლ/100 გ/წთ, საკონტროლო ცხოველებთან შედარებით –  $33,9 \pm 1,9$  მლ/100 გ/წთ;  $p < 0,01$ .

როგორც უკვე აღნიშნეთ, დაყოვნებული რეაქციების შესრულება პირობით გამლიზიანებლებზე, “ინფორმაციული ტრიადის” ფაქტორების (დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაშუშაებისა და ათვისების აუცილებლობა, ამ გონებრივი სამუშაოსათვის განკუთვნილი დროის დეფიციტი და მაღალი მოტივაცია) არახელსაყრელი შეხამებისას, ვირთაგვებისათვის რთულ ამოცანას წარმოადგენს და ხელს უწყობს უარყოფითი ემოციური დაძაბულობის წარმოქმნას, რომელიც, თავისი განვითარების საწყის სტადიაზე, ბიოლოგიურად დადებით როლს თამაშობს, რამდენადაც იწვევს თავის ტვინის კომპენსატორული მექანიზმების აქტივაციას და ორგანიზმის მობილიზაციას ოპტიმალური რეაქციისათვის, რაც თავის ტვინის თვითრეგულაციის გამოხატულებაა [7]. გამჭვირვალე ძგიდე ჩვენ ავირჩიეთ, რამდენადაც ცნობილია, რომ აღნიშნული სტრუქტურა, ლიმბური სისტემის სხვა სტრუქტურებთან და ნეოკორტექსის სხვადასხვა უბნებთან კომპლექსში, მონაწილეობს მეხსიერების რთულ პროცესებში, მოტივაციისა და ემოციების რეგულაციაში და სხვა [5]. ცნობილია, აგრეთვე, რომ თავის ტვინის ლოკომოტორული თვითსტიმულაციის დროს ქვევის ინფორმაციული პათოლოგიის საწყის სტადიაზე ცხოველები, ლიმბური სისტემის სხვა სტრუქტურებთან ერთად, გამჭვირვალე ძგიდის თვითსტიმულაციას ირჩევენ, რაც თავის ტვინის დამცველობით ფუნქციას აძლიერებს და ხელს უშლის პათოლოგიის შემდგომ განვითარებას [8].

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ამ პათოლოგიის საწყის სტადიაზე უარყოფითი ემოციური დაძაბულობა ააქტივებს გამჭვირვალე ძგიდის ფუნქციურ მდგომარეობას, ხოლო ამ აქტივაციას თან უნდა ახლდეს სისხლის ლოკალური ნაკადის მომატება [4, 13], რაც დადასტურდა კიდევაც ჩვენს ცდებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პათოლოგიის საწყის ეტაპზე სისხლის ლოკალური ნაკადის მომატება გამჭვირვალე ძგიდეში თავის ტვინის ერთ-ერთ კომპენსატორულ მექანიზმს წარმოადგენს და, თვითრეგულაციის მოქმედების სხვა გამოვლინებებთან ერთად, მიმართულია თავის ტვინის ადაპტაციისკენ და ამით ხელს უშლის პათოლოგიის შემდგომ განვითარებას.

## ლიტერატურა

1. *Берташвили И.С.* Память позвоничных, ее характеристика и происхождение. Москва, Наука, 1974.
2. *Гогоберидзе М.М.* В кн.: Материалы 10-го Международного симпозиума “Экспериментальные и клинические неврозы”. Берлин: ПК “Интермозг”, 1988.
3. *Доманидзе Т.Р.* Автореф. канд. дисс. биол. наук. Тбилиси, 1991.
4. *Мтагвария Н.П.* Физиол. журн. СССР, 1989, 75, 1473-1478.
5. *Ониани Т.Н.* Интегративная функция лимбической системы Тбилиси, Мецниереба, 1980, 302с.
6. *Орджоникидзе Ц.А., Гогоберидзе М.М.* В кн.: Материалы 10-го Международного симпозиума “Экспериментальные и клинические неврозы”. Берлин: ПК “Интермозг”, 1988.

7. *Хананашвили М.М.* Экспериментальная патология высшей нервной деятельности. Москва, Медицина, 1978.
8. *Хананашвили М.М.* Информационные неврозы. Ленинград, Медицина, 1978.
9. *Aukland K.* Acta Neurol. Scand., 1965, 41, Suppl. 14, 42.
10. *Bures J., Petran M., Zachar J.* Electrophysiological Methods in Biological Research. Prague, 1967.
11. *Hall C.S. J.* Comp. Psychol., 1934, 18, 385-403.
12. *Hall C.S. J.* Compar. Psychol., 1939, 22, 325-352.
13. *Ingvar D.H.* In.: Brain Work (Eds. D.H. Ingvar, N. Lassen), Copenhagen, 1975.

## МЕСТНЫЙ КРОВОТОК В ПРОЗРАЧНОЙ ПЕРЕГОРОДКЕ КРЫС НА НАЧАЛЬНОЙ СТАДИИ РАЗВИТИЯ ИНФОРМАЦИОННОЙ ПАТОЛОГИИ ПОВЕДЕНИЯ

*И. Квачакидзе, М. Небиеридзе, Л. Гумберидзе, И. Еркомаишвили, Н. Пипия*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Методом водородного клиренса исследованы изменения местного кровотока в прозрачной перегородке крыс, на начальной стадии информационной патологии поведения. Формирование этой стадии осуществлялось путем кратковременного эмоционального напряжения, которое развивалось при кратковременном тестировании отсроченных реакций (15-18 дней, непрямого метод, время отсрочки 2-3 с), при дефиците межсигнального интервала (30 с) и высокой пищевой мотивации.

Показано увеличение местного кровотока в прозрачной перегородке крыс на начальной стадии патологии, в отличие от контрольных животных. Предполагается, что начальная стадия развития патологии активизирует лимбические структуры, в том числе прозрачную перегородку, что следует рассматривать, как одним из проявлении саморегуляционной функции мозга.

## THE LOCAL CEREBRAL BLOOD FLOW IN RAT SEPTUM DURING THE INITIAL STAGE OF THE INFORMATIONAL PATHOLOGY OF BEHAVIOR

*I. Kvachakidze, M. Nebieridze, L. Gumberidze, I. Erkomaishvili, N. Pipia*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

### SUMMARY

The changes in local cerebral blood flow (LCBF) in the septum of rats, being under initial stage of informational pathology of behavior (IPB), were studied by means of hydrogen clearance technique. The initial stage of IPB was induced by the negative emotional stress developed during the short period of delayed reactions testing (indirect variant, 2-3 s delay, 15-18 experimental days) under conditions of time shortage between the signals (30 s) and the existence of high level of motivation.

A significant increase of the septal blood flow level was observed in the experimental group but not in the control group of animals. It is supposed that this alteration of the LCBF may be called forth by the strengthening of septal functional activity as a result of short time negative emotional stress, thus being a form of the cerebral self-regulation activity.

## მიდაზოლამის (ჰიანოზელის) გავლენა ვირთაგვების ქცევაზე

თ. ქურციკიძე, მ. ლომინაძე, მ. ფრუიძე, ნ. ჭიბაშვილი,  
ი. კვაჭაძე, ი. კვაჭაძე, ვ. ბექაია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; საქართველოს  
სახელმწიფო სამედიცინო აკადემია

მიღებულია 21.07.2004

სელატიური ნივთიერების, მიდაზოლამის გავლენა შესწავლილ იქნა თეთრი უჯიშო ვირთაგვების მოძრაობით აქტიურობასა და ემოციურ ქცევაზე. პრეპარატი სხვადასხვა დოზით (0,6; 1,2; 2,5; 5,0 მგ/კგ, გახსნილი 0,5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში) ეძლეოდა ცხოველებს per os.

მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა ქცევის მოძრაობით აქტებში, ვირთაგვებს ზოგადად მოძრაობითი აქტიურობა (ფასდებოდა შიმშილს სკალით) შემონახული ჰქონდათ. მიდაზოლამის გავლენა ვირთაგვების ემოციურ ქცევაზე შეისწავლებოდა პასიური განრიდების ტესტით. დაბალი დოზების გამოყენებისას მიდაზოლამმა დროებით დათრგუნა შიშის ემოციური რეაქცია, რომელიც ცხოველებს კვლავ აღუდგათ 24 საათის შემდეგ.

5 მგ/კგ მიდაზოლამის მიღების შემდეგ ცხოველებს საერთოდ არ გამოუმუშავდათ შიშის ემოციური რეაქცია, რაც მიანიშნებს მიდაზოლამის არა მარტო სელატიურ, არამედ ანალგეზიურ მოქმედებაზეც.

საკვანძო სიტყვები: მიდაზოლამი, ემოციური ქცევა, მოძრაობითი აქტიურობა, ვირთაგვები

სტომატოლოგიური ჩარევის მიმართ ორგანიზმის რეაქციის შესწავლამ აჩვენა, რომ გაუტკივარების გარდა, წარმატებული მკურნალობისათვის საჭიროა ფსიქოემოციური და ვეგეტატიური რეაქციების შეკავება. შიშისა და ტკივილის პროცესებში ჩართული სისტემების გააქტიურება, ერთი მხრივ, შეიძლება გახდეს ორგანიზმში სერიოზული დარღვევების მიზეზი, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომელთაც ლაბილური ნერვული სისტემა აქვთ და რომლებსაც თანმხლები დაავადებებიც აქვთ, და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი მკურნალობის სრულფასოვნად ჩატარებას. ამიტომ სავესებით გასაგებია, რომ ანალგეზიის პარალელურად,

სტომატოლოგიურ პრაქტიკაში შემოვიდა სედაციის ჩატარება, რაც შესაძლებლობას იძლევა აცილებული იქნას ფსიქიკური ტრავმა და ამის შედეგად წარმოქმნილი გართულებები [1, 3]

უკანასკნელი თაობის ერთ-ერთ ასეთ სედატიურ საშუალებას წარმოადგენს მიდაზოლამი ბენზოდიაზეპინების ოჯახიდან (სავაჭრო დასახელება – ჰიპნოველი), რომელსაც გარდა სედატიურისა, ანესთეზიის გაღრმავების უნარი გააჩნია. ის გამოიყენება მცირე ოპერაციების დროს და აგრეთვე პრემედიკაციისათვის [4, 6, 7].

კარგად არის ცნობილი, რომ ნებისმიერი სამკურნალო საშუალების მოქმედების მექანიზმის დაზუსტება და მისი მოქმედების ახალი ასპექტების გამოვლენა, როგორც წესი, ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ხდება. წინამდებარე ნაშრომი ასეთი კვლევების რიგს მიეკუთვნება და მიზნად ისახავდა მიდაზოლამის გავლენის შესწავლას ვირთაგვების ემოციურ ქცევაზე და მოძრაობით აქტიურობაზე.

### მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტები ჩატარდა უჯიშო მამრ, თეთრ 250-300 გ მასის ვირთაგვებზე ორ სერიად. ცხოველების რაოდენობა თითოეული სერიაში მითითებულია ქვემოთ.

მოძრაობითი აქტიურობის და მასზე სედატიური ეფექტის მოქმედების შეფასება ხდებოდა შიმშიამას და სხვ. [5] მიერ მოწოდებული სკალის მიხედვით (იხ. ცხრილი).

ცხრილი

შიმშიამას სკალა [5]

ქულა	ქცევა
0	ნორმალური
1	დარღვეულია უკანა კიდურების ბალანსი (სუსტი ატაქსია)
2	ატაქსია
3	პოსტურალური რეფლექსის გაქრობა
4	იმობილიზაცია (გააჩნია ტკივილზე რეაქცია)
5	ტკივილზე რეაქციის უქონლობა (ანესთეზია)

ცხოველთა ემოციური ქცევა შეისწავლებოდა პასიური განრიდების მეთოდით [2], რომელიც დამყარებულია მღრღნელების ეკოლოგიურ თვისებაზე გაერიდონ განათებულ გარემოს. საექსპერიმენტო კამერა შედგებოდა ორი განყოფილებისაგან: ნათელი (დიდი) და ბნელი (პატარა), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო 5 × 6 სმ-ის ხვრელით. ნათელ განყოფილებაში მოთავსებული ვირთაგვა სწრაფად (3-8 ს) შედიოდა ხვრელით ბნელ საკანში, სადაც 5 სექუნდის განმავლობაში მეტალის იატა-

კიდან წყვეტილად დებულობდა ელექტროგადიზიანებას (60 ვ). ამ გზით ფორმირდებოდა შიშის ემოციური რეაქცია. ვირთაგვა სწრაფად გამობოდა ნათელ განყოფილებაში და აღარ ბრუნდებოდა ბნელში. შიშის რეაქციის შემონახვა (ანუ პასიური განრიდების პირობითი რეაქციის გამო-მუშავება) მოწმდებოდა 20 წუთის, 2, 4 და 24 საათის შემდეგ, და საჭიროებისამებრ მე-2, მე-4 და შემდგომ დღეებში. თუ ნათელ განყოფილებაში ჩასმული ვირთაგვა არ გადარბოდა ბნელში, ითვლებოდა, რომ შიშის ემოციური რეაქცია შემონახულია. პასიური განრიდების რეაქციის განხორციელებისას აღირიცხებოდა დეფეკაციისა და ურინაციის, გრუმინგისა და ვერტიკალურად წამოდგომის რაოდენობები დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამით განრიდების მეთოდისაში შეგვექონდა “ღია ველის” ტესტირების ელემენტები, რაც ექსპერიმენტს უფრო ინფორმაციულს ხდიდა.

### შედეგები და მათი განხილვა

ცდების პირველ სერიაში 24 ცხოველი დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად (6-6 თითოეულში). ვირთაგვებს per os ეძლეოდნენ სხვადასხვა დოზით 0,6; 1,2; 2,5; 5 მგ/კგ მიდაზოლამი (0,5 მლ ფიზიოლოგიურ ხსნარში გახსნილი და დაწვეთებული მყარი, გრანულირებული საკვების ერთ გრანულაზე). წამლის მიღებიდან 15 წუთის შემდეგ ცხოველს ვათავსებდით საექსპერიმენტო კამერაში და 60-120 წუთის განმავლობაში ვაკვირდებოდით მის ქცევას. ამ სერიის ცდებით დადგინდა, რომ მიდაზოლამის უმცირესი დოზა (0,6 მგ/კგ) სედატიურ გავლენას ცხოველებზე არ ახდენს. გაორმაგებულმა დოზამ II ჯგუფის 5 ცხოველში (84,4%), პრეპარატის შეყვანიდან 30-ე წუთზე, გამოიწვია გამოხატული ატაქსია (2 ქულა), ხოლო ერთში (16,6%) სუსტი ატაქსია (1 ქულა). შემდგომი დოზის ზეგავლენით (III ჯგუფი) 5 ცხოველს 30-ე წუთზე გამოეხატა ატაქსია (2 ქულა), ხოლო ერთს, მცირე დროით, დაეკარგა პოსტურალური რეფლექსი (3 ქულა), რის შემდეგაც ჩამოყალიბდა ატაქსია (2 ქულა). 5 მგ/კგ დოზამ ყველა ცხოველში გამოიწვია ძლიერი ატაქსია პოსტურალური რეფლექსის დაკარგვით (3 ქულა), რომელიც პრეპარატის შეყვანიდან 30-ე და მე-60 წუთებზე ფასდებოდა 2-3 ქულით და მხოლოდ 90-ე წუთისათვის ატაქსიის დონე დაქვეითდა 1 ქულამდე.

მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა ქცევით აქტებში, ყველა ვირთაგვას პრაქტიკულად შენარჩუნებული ჰქონდა მოძრაობითი აქტიურობა. ისინი თავისუფლად გადაადგილდებოდნენ კამერაში, თუმცა ერთგვარად შენელებული მოძრაობა აღინიშნებოდა მე-4 ჯგუფის ცხოველებში.

4 ვირთაგვას (საკონტროლო ჯგუფი, ქცევითი აქტიურობა აღირიცხებოდა ფიზიოლოგიური ხსნარის მიცემის შემდეგ) ქცევითი გამოვლინებები შეუცვლელი ჰქონდათ. რამდენადაც დაფრწმუნდით, რომ ჩვენ მიერ ნახმარი მიდაზოლამის დოზები მნიშვნელოვნად არ აფერხებენ ვირთაგვების ლოკომოციურ აქტიურობას, ექსპერიმენტის შემდეგ ეტაპზე შესწავლილი იქნა მიდაზოლამის გავლენა ცხოველთა შიშის ემოციურ რეაქციაზე. ცდები ჩატარდა ცხოველთა 3 ჯგუფზე: ორი საექსპერიმენტო (12-12 თითოეულში) და მესამე - საკონტროლო (6 ცხოველი).

საკონტროლო ცხოველებზე ჩატარებულმა დაკვირვებამ გვანჩენა, რომ შიშის ემოციური რეაქცია, გამომუშავებული პასიური განრიდების მეთოდით, ვირთაგებს შემონახული ჰქონდათ  $24 \pm 5,2$  დღის განმავლობაში (ხანგრძლივი მეხსიერება).

პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველები 2,5 მგ/კგ მიდაზოლამის მიღებიდან 30 წუთის შემდეგ ჩასმულ იქნა ნათელ განყოფილებაში და პასიური განრიდების ტესტის სრული პროცედურა ჩატარდა, ელექტრული გალიზიანების ჩათვლით. 20 წუთის შემდეგ  $7 \pm 3$  სეკუნდის დაყოფებით ისინი შედიოდნენ ბნელ საკანში. ასევე იქცეოდნენ 2 და 4 საათის შემდეგ. მტკივნეული გალიზიანებიდან ოთხი საათის შემდეგ ცხოველები მართალია ნათელ განყოფილებაში ჩასმის შემდეგ (10-12 სეკუნდის განმავლობაში) შედიოდნენ ბნელ განყოფილებაში, მაგრამ მალევე ( $5,5 \pm 2,1$  ს) ბრუნდებოდნენ ნათელ განყოფილებაში და ასე რამოდენიმეჯერ.

პასიური განრიდების ტესტირებიდან 24 საათის შემდეგ 12 ვირთაგვიდან მხოლოდ ერთი შევიდა ბნელ განყოფილებაში. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიდაზოლამის გავლენით თავდაპირველად დაითრგუნა შიშის მარეველირებელი სტრუქტურების აქტიურობა, მაგრამ ემოციური რეაქცია კვალის სახით დარჩა მეხსიერებაში და პრეპარატის სედატიური მოქმედების გავლის შემდეგ (24 საათი) ცნს-ის შიშის ემოციურ რეაქციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების აგზნებადობა დაუბრუნდა პირვანდელ დონეს, ამოქმედდა ხანგრძლივი მეხსიერების მექანიზმი და ცხოველი არ შევიდა “სახიფათო” გარემოში. მიდაზოლამმა მხოლოდ დროებით დათრგუნა შიშის ემოციური რეაქცია.

მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის ცხოველები 5 მგ/კგ დოზით მიდაზოლამის მიღებიდან 20 წუთის შემდეგ ჩასმული იქნენ ნათელ განყოფილებაში. ბნელ განყოფილებაში გადასვლის შემდეგ მათაც მიეცათ მტკივნეული ელექტრული გალიზიანება, რომლის შედეგად 12-დან მხოლოდ 3 (25%) დაბრუნდა ნათელ განყოფილებაში, თუმცა 2 მათგანი - მცირე დაყოფების შემდეგ ( $2,5 \pm 0,9$  სეკუნდი), კვლავ შევიდა ბნელ საკანში. საინტერესოა, რომ შემდგომი დაკვირვებისას ეს ვირთაგები (11) 20 წუთის, 2 და 4 საათის და აგრეთვე 24 საათის შემდეგ, ნათელ განყოფილებაში მოთავსებისას, სწრაფად გადარბოდნენ ბნელ საკანში (განმეორებითი მტკივნეული გალიზიანება მათ არ ეძლეოდათ).

ცდების ეს სერია მიანიშნებს, რომ მიდაზოლამის მოქმედების შედეგად შიშის პირობითი ემოციური რეაქცია არ გამომუშავდა, რამდენადაც პრეპარატის მოქმედებით დაითრგუნა არა მარტო შიში (სედატიური მოქმედება), არამედ, ანალგეზიური მოქმედებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ტკივილის რეცეპტორების ან საერთოდ, ნოციცეპტური სისტემის, აგზნებადობა და მიყენებული მტკივნეული გალიზიანება აღმოჩნდა ქვეზღურბლოვანი.

შესაძლოა მიდაზოლამის სედატიური მოქმედება ცნს-ის, კერძოდ, ჰიპოთალამური ცენტრების დათრგუნვით ხორციელდება, ხოლო ანალგეზიური - ნოციცეპტური სისტემის აგზნებადობის დაქვეითებით და/ან ანტინოციცეპტური სისტემის ამოქმედებით.

## ლიტერატურა

1. ქურციკიძე თ., ჭიბაშვილი ნ. სტომატოლოგთა მეორე საერთაშორისო კონგრესის მასალები. თბილისი, 2000.
2. Essman W.B., Alpern H.R. J. Psychol., 1964, 4, 731-740.
3. Kurtsikidze T., Surendra S., Chipashvili N., Mamaladze M. Georgian Medical News, 2001, 5, 74-76.
4. Myers G., Maestrello C.L., Mourino A., Best A. Pediatr. Dent., 2004, 26, 37-43.
5. Shimoyama M., Shimoyama N., Inturrisi C., Elliot K. Life Sci., 1966, 60, PL9-PL14.
6. Weber F., Wulf H., el Saeidi G. Can. J. Anesth., 2003, 50, 470-475.
7. Wilder-Smith O., Ravussin P.A., Decosterd L., Despland P., Bissonnette B. Can. J. Anest., 2001, 48, 439-445.

## ВЛИЯНИЕ МИДАЗОЛАМА (ГИПНОВЕЛ) НА ПОВЕДЕНИЕ КРЫС

*Т. Курцикидзе, М. Ломинадзе, М. Пруидзе, М. Чипашвили,  
 И. Квачадзе, Г. Бека*

Тбилисский государственный медицинский университет; Государственная медицинская академия Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

На белых беспородных крысах-самцах изучен эффект производного бензодиазепинов, мидазолама (Гипновел) на общую двигательную активность и эмоциональное поведение. Указанный препарат, разведенный в 0,5мл физиологического раствора давался животным per os, в различных дозах (0,6; 1,2; 2,5; 5,0 мг/кг) и через 15 минут по шкале Шимояма и др. [5] проводили оценку их двигательной активности. Несмотря на некоторые сдвиги, имеющие место при реализации поведенческих актов, в целом, поведенческая активность животных была сохранена.

В следующей серии опытов методом пассивного избегания изучали эмоциональное поведение: крыса посаженная в светлую половину поведенческой камеры, быстро перемещается в темную, где получает сильное электрическое раздражение, которое вынуждает ее вернуться в светлый отсек. Контрольные животные в течение  $24 \pm 5,2$  дней после электро-раздражения при посадке в светлое отделение не перебежали в темный отсек, что свидетельствовало о сохранении эмоциональной реакции страха (долгосрочная память). Животные, получившие 2,5 мг/кг мидазолама, несмотря на электрическое раздражение, полученное в темном отсеке, уже через два часа перемещались в темный отсек, но через 24 часа – они оставались в светлом отделении. Надо думать, что мидазолам временно подавил реакцию страха, хотя памятный след был сохранен.

Под действием повышенной дозы (5мг/кг) мидазолама, эмоциональная реакция страха вообще не выработалась. Последнее указывает на то, что препарат проявляет не только седативное, но и анальгетическое действие. В этих условиях мидазолам, видимо, как седативное средство, тормозит гипоталамические центры страха, а как анальгетик – снижает возбудимость ноцицептивной системы и/или запускает антиноцицептивную систему ЦНС.

## INFLUENCE OF MIDAZOLAM (HYPNOVEL) ON BEHAVIOR OF THE RATS

*T. Kurtsikidze, M. Lominadze, M. Pruidze, N. Chipashvili,  
I. Kvachadze, G. Bekaya*

Tbilisi State Medical University; Georgian State Medical Academy, Tbilisi

### SUMMARY

Influence of sedative drug – midazolam, on motor activity and emotional behavior has been studied in adult outbred albino rats. Midazolam at different doses (0.6, 1.2, 2.5, 5.0 mg/kg) dissolved in 0.5 ml saline, was administered to animals orally.

Notwithstanding some alterations in the behavioral acts, motor activity was well preserved in the animals following the drug administration. Motor activity was judged according to the Shimoyama et al. scale [5]. Impact of midazolam on the emotional behavior was assessed in the step-through passive avoidance test. Low doses of midazolam briefly attenuated the fear reactions, which were fully restored after 24 hours.

Midazolam at a dose of 5.0 mg/kg completely abolished emotional reactions of the animals – no passive avoidance was elaborated. It is suggested that midazolam has both sedative and analgesic properties.

## **СТРУКТУРНЫЕ ОСОБЕННОСТИ ФОРМЕННЫХ ЭЛЕМЕНТОВ КРОВИ У ЗДОРОВЫХ ДЕТЕЙ- СПОРТСМЕНОВ (ЮНИОРОВ) ДО И ПОСЛЕ ПРИМЕНЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ПИЩЕВОЙ ДОБАВКИ “АПИВИТ”**

*Г. Чахунашвили, Х. Ласарейшвили*

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

Принята 21.07.2004

Изучена кровь детей-спортсменов (юниоров), которым давалась пищевая добавка Апивит. Взяты три группы спортсменов: классическая борьба, дзю-до и вольная борьба. Исследованы форменные элементы крови до- и через месяц после приема Апивита в период их тренировок. Показано положительное влияние грузинской пищевой добавки на форменные элементы крови. Найдено различие в действии добавки на кровь в зависимости от вида спорта.

**Ключевые слова:** форменные элементы крови, Апивит, физическая тренировка, дети-спортсмены, морфология

Проблема питания спортсменов (юниоров) находит свое отражение во многих монографиях и руководствах. Сюда могут быть отнесены работы ряда авторов [1-4].

Целью исследования явилось изучение общей формулы крови детей – юных спортсменов (юниоров) до и после принятия грузинской пищевой добавки Апивит. Апивит принимался юниорами в течение одного месяца. Периферическая кровь исследовалась как до принятия Апивита, так и после окончания его принятия, т.е. через один месяц после приема Апивита.

### **МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ**

Исследованы три группы спортсменов (классическая борьба, дзю-до, вольная борьба). Всего обследовано 60 человек. В каждом конкретном случае кровь бралась из пальца, делали мазок на предметном стекле и после фиксации и соответствующей окраски, форменные элементы крови подсчитывались с помощью светового микроскопа. Были исследованы следующие показатели: гемоглобин, цветной индекс, общее количество эритроцитов, общее количество лейкоцитов, число сегментно-ядерных нейтрофилов, число палочко-ядерных нейтрофилов, число

эозинофилов, число базофилов, число лимфоцитов, число моноцитов, РОЭ. Цифровые показатели были обработаны на компьютере, по Стьюденту.

## РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Как показали наблюдения, наиболее высокие показатели гемоглобина для юниоров, занимающихся классической борьбой, до принятия Апивита составили 167 УЕ, а наиболее низкие – 134 УЕ. Аналогичные высокие показатели были получены для юниоров, занимающихся дзю-до (167 УЕ), наиболее низкие – 134 УЕ. У юниоров, занимающихся вольной борьбой, наиболее высокие показатели составили 160 УЕ, а наиболее низкие – 128 УЕ. Прием грузинской пищевой добавки Апивит привел к росту показателей гемоглобина у юниоров. Для юных спортсменов, занимающихся классической борьбой, показатели гемоглобина составили – 140-172 УЕ, для юниоров, занимающихся дзю-до показатели гемоглобина также составили 140-170 УЕ, а для юниоров, занимающихся вольной борьбой, показатели гемоглобина составили 129-162 УЕ.

Аналогичные данные в отношении видов спорта были получены и со стороны общего количества эритроцитов. Общее количество эритроцитов у юниоров, занимающихся классической борьбой, до приема Апивита составило 4,39-5,03%, тогда как после его принятия эти показатели были 4,45-5,63%. Дети, занимающиеся дзю-до, до приема Апивита имели следующие показатели в отношении количества эритроцитов – 4,27-4,83%; после принятия Апивита – 4,89-4,99%. Что касается юниоров, занимающихся вольной борьбой, до принятия Апивита показатели общего количества эритроцитов составили – 4,26-4,97%, а после принятия отмеченной пищевой добавки – 4,27-5,06%.

Полученные нами данные говорят не только об определенной значимости грузинской пищевой добавки, но и о значимости самого вида спорта при ее приеме. Наблюдения показывают, что классическая борьба и дзю-до сильнее отвечают на прием препарата Апивита, чем вольная борьба, что должно быть, связано с энергетическими затратами, которые требуются от спортсменов при их тренировке.

Что касается лейкоцитов, то здесь, длительный (месячный) прием Апивита различно проявляет свое действие. Так, при классической борьбе, до начала приема модулятора, число лейкоцитов составило 4,5-8,8 тысяч, при дзю-до оно составило 4,5-9,5 тысяч, а при вольной борьбе – 4,6-7,7 тысяч. Прием модулятора приводит к росту числа лейкоцитов, особенно интенсивно при дзю-до и при классической борьбе (при дзю-до – 7,5-10,8 тыс., при классической борьбе – 5,7-10,4 тыс.). Применение Апивита в случае вольной борьбы приводит лишь к незначительному росту числа лейкоцитов – 6,0-9,0 тыс. Неоднородный рост числа лейкоцитов указывает на то, что защитные проявления с помощью Апивита усиливаются неоднородно. Они хорошо представлены при дзю-до, слабее – при классической борьбе, а затем уже – при вольной. Аналогичные данные были получены и со стороны нейтрофилов, число которых значительно возросло после приема Апивита в течение месяца. Так, дети, занимающиеся классической борьбой, имели при подсчете 34-70% нейтрофилов, а после принятия препарата – 53,5-76% единиц нейтрофилов. Дети, занимающиеся дзю-до, имели 47,5-69% нейтрофилов, а после

приема Апивита в течение месяца число нейтрофилов составило 55-71%. Показатели при занятиях вольной борьбой до начала приема препарата составили – 37,5-67, а после приема препарата – 56-73%.

Четкие изменения, имеющие место со стороны гранулоцитов, со стороны агранулоцитов также интенсивны. Так, в случаях классической борьбы, лимфоциты составили 28-40,5% до начала приема Апивита, а после приема – 30-48%. Дети, занимающиеся дзю-до, до приема Апивита имели 24-40%, а после его приема – 29-49%. Вольная борьба дала следующие показатели – 21-42% до приема, а после – 22-48%.

Число моноцитов составило до приема Апивита (классическая борьба) – 7-11%, а после приема Апивита – 8-15%. Для дзю-до эти показатели составили 4-8% до, и 4-11% – после приема Апивита. Для вольной борьбы, до приема Апивита число моноцитов составило 2-10%, а после приема – 3-12%.

Что касается РОЭ, то для классической борьбы, до приема Апивита составило 2-10%, а после приема – 5-19%. Для дзю-до были получены следующие показатели: до приема препарата – 2-18%, а после приема – 3-9%. Для вольной борьбы до приема Апивита – 2-10%, а после приема – 3-10%.

Анализ нашего материала показал, что изучение форменных элементов крови рутинным методом, с учетом вида спорта выявил, что классическая борьба и дзю-до вызывают наибольшие изменения со стороны морфологических показателей форменных элементов крови. При вольной борьбе изменения касаются материала, полученного как до, так и после приема Апивита. Небезынтересно отметить, что при классической борьбе и дзю-до особенно сильные изменения выявились со стороны гемоглобина, эритроцитов и нейтрофилов. Изменения со стороны лимфоцитов и моноцитов были менее значимыми. Неоднородная заинтересованность в структурном отношении, очевидно, связана также с видом спорта.

## ЛИТЕРАТУРА

1. *Воронцов И.М., Мазурина А.В.* Справочник по детской диететике. Ленинград, 1998.
2. *Воронцов И.М.* Питание детей старшего возраста. Москва, 2000.
3. *Ayotte C., Levesque J.F., Cleroux M., Lajeunesse A., Goudreau D., Fakirian A.* Canadian Journal of Applied Physiology, 2001, 26 Suppl., S120-129.
4. *Ballas S., Clark M.* Blood, 1994, N 5, 1040-1050.

**სისხლის ფორმიანი ელემენტების  
სტრუქტურული თავისებურებანი ჯანმრთელ სპორტსმენ  
ბავშვებში (იუნორებში) ქართული კვებითი დანამატის  
აპივიტის მიღებად და მისი მიღების უკვდავ**

*გ. ჩახუნაშვილი, ხ. ლასარეიშვილი*

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

**რეზიუმე**

შესწავლილია იმ სპორტსმენ ბავშვთა (იუნორთა) სისხლი, რომლებიც იღებდნენ კვებით დანამატს - აპივიტს. გამოსაკვლევად აღებულია სპორტსმენთა სამი ჯგუფი: კლასიკური ჭიდაობა, ძიუ-დო და თავისუფალი ჭიდაობა. შესწავლილია სისხლის ფორმიანი ელემენტები აპივიტის მიღებამდე და ერთი თვის შემდეგ მისი მიღებიდან, ფიზიკური წვრთნის პერიოდში. ნაჩვენებია ქართული კვებითი დანამატის დადებითი გავლენა სისხლის ფორმიან ელემენტებზე. ნანახია დანამატის განსხვავებული მოქმედება სისხლზე სპორტის სახეობის მიხედვით.

**STRUCTURAL PECULIARITIES OF BLOOD CELLS  
IN HEALTHY SPORTSMEN-CHILDREN (JUNIORS) BEFORE AND AFTER  
THE APPLICATION OF GEORGIAN NUTRITIONAL ADDITION "APIVIT"**

*G. Chakhunashvili, Kh. Lasareishvili*

Georgian State Medical Academy, Tbilisi

**SUMMARY**

The blood of sportsmen-children taking nutritional addition Apivit has been studied. Three groups of sportsmen were examined: classical wrestling, ju-do and free-style wrestling. Blood cells were studied before and one month after administration of Apivit within the period of their physical training. A positive effect of Georgian nutritional addition Apivit on blood cells has been shown. A difference of the preparation action on the blood was found out in dependence of sport type.

## **გამჭვირვალე კვირის დაზიანების გავლენა სხვადასხვა თანდაყოლილი აქტიურობის მქონე ვირთავების ქცევაზე ამაღლებულ ჯვარედინ ლაბირინთზე**

*მ. ჩხეტიანი, ა. ქორელი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის  
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 9.08.2004

ნაშრომში გაანალიზებულია უხაზო ვირთავების სხვადასხვა თანდაყოლილი ემოციური სტატუსის გავლენა ცხოველის ქცევაზე ამაღლებულ ჯვარედინ ლაბირინთზე, ინტაქტურ ცხოველებში და გამჭვირვალე ძვიდის ელექტროლიზური დაზიანების შემდეგ. პორსოლტის ტესტის (იძულებითი ცურვა) საშუალებით ხდებოდა ცხოველთა პირობითი დახარისხება "აქტიურებად" და "პასიურებად". უკანასკნელები მიჩნეული იყო თანდაყოლილი (ენდოგენური) დეპრესიის მქონედ. ცდების შემდგომ ეტაპზე აქტიური და პასიური ცხოველები შემოწმდა ამაღლებულ ჯვარედინ ლაბირინთზე, რომელიც ითვლება შფოთვის ემოციური მდგომარეობის დასადგენ ადეკვატურ ტესტად. საბოლოოდ, ცხოველებს ელექტროლიზურად დაზიანდა გამჭვირვალე ძვიდის მედიალური ბირთვი და პოსტოპერაციული გამოჯანმრთელების შემდეგ მათი ქცევა კვლავ შემოწმდა ამაღლებულ ჯვარედინ ლაბირინთზე.

ცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ პირდაპირი კორელაცია ბუნებრივად დეპრესიული ცხოველების შფოთიანობასა ან ბუნებრივად აქტიური ცხოველების შფოთიანობას შორის, არ არსებობს, რაც მიუთითებს, რომ დეპრესიისა და შფოთვის მექანიზმები ერთი და იგივე არ არის. გამჭვირვალე ძვიდის დაზიანება პრაქტიკულად ერთნაირად აქვეითებდა შფოთვის მდგომარეობას როგორც პასიურ, ისე აქტიურ ცხოველებში. მიღებული შედეგები ადასტურებს გავრცელებულ შეხედულებას შფოთვისა და დეპრესიის განსხვავებული საფუძვლების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ენდოგენური დეპრესია, შფოთვა, დეპრესიის მოდელი, შფოთვის მოდელი, გამჭვირვალე ძვიდე, ვირთავვა

ფსიქიკურ დაავადებათა მოდელირება ცხოველებში საკამათო საკითხია, რადგან არაეინ იცის, რას განიცდიან ლაბორატორიული ცხოველები იმ შემთხვევებში, როდესაც დამკვირვებელი თვლის, რომ ცხოველი შფოთავს ან დეპრესიაში იმყოფება. მეორე მხრივ, ემოციურ დარღვევათა მოდელირება სრულიად აუსცილებელია, თუ გვსურს მკურნალობის ადეკვატური

მეთოდები დავამუშავეთ. დღეისთვის დამუშავებულია სპეციფიკური ტესტ-მოდელები როგორც შფოთვის [6], ისე დეპრესიის შესასწავლად [8]

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორიტეტული ავტორის აზრით [3, 4] გახანგრძლივებული შფოთვა შეიძლება გადაიზარდოს დეპრესიაში, რასაც შემდეგ საკუთარი განვითარება მოჰყვება, თანამედროვე შეხედულებებით ემოციათა ამ ორი ტიპის პათოლოგიის სტრუქტურული და ნეიროქიმიური საფუძვლები არსებითად განსხვავებულია [9]. ამ საკითხში გარკვეულობის შეტანის მიზნით, ჩვენ შევისწავლეთ შფოთვისა და დეპრესიის მოდელებში ვირთაგვების ქცევა, როგორც ცხოველთა ინტაქტურ მდგომარეობაში, ისე სეპტო-პიოკამპური სისტემის საკვანძო სტრუქტურის – გამჭვირვალე ძვიდის მედიალური ბირთვის, დაზიანების შემდეგ. ამ გამოკვლევით გადამოწმდა ის მოსაზრებები, რომლებიც გამოთქმული იყო ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში [1, 2].

## მასალა და მეთოდები

ცდები ჩატარებულია ზრდასრულ, ორივე სქესის, ვისტარის ჯიშის ვირთაგვებზე, რომელთა სხეულის მასა იყო 200-300 გ. ცდების დაწყებამდე და ცდებს შორის ინტერვალებში ცხოველები იმყოფებოდნენ სტანდარტულ პლასტიკურ გალიებში, სადაც საკვები და წყალი ეძლეოდათ შეუზღუდავად.

ძირითადი ცდების ჩატარებამდე ყველა ცხოველი შემოწმდა მათი ქცევის პასიურობა-აქტიურობის თვალსაზრისით. ამ მიზნით ცხოველი 10 წუთი თავსდებოდა ოთახის ტემპერატურის მქონე წყლით სავსე დიდი ზომის ჭურჭელში. ცხოველის ქცევა – ცურვითი მოძრაობები – მეტყველებდა ცხოველის ენერგიასა და აქტიურობაზე, ხოლო უძრაობა და პასიური ტივტივი – დეპრესიულობაზე. ამგვარი ტესტი ითვლება თანდაყოლილი (ენდოგენური) დეპრესიის კარგ ცხოველურ მოდელად [7]. ჩვენ ცდებში ვირთაგვების აქტიურობა წყალში პირობითად ფასდებოდა, როგორც დაბალი, საშუალო და მაღალი. დაბალ აქტიურობა ითვლებოდა ცხოველის ცურვა 1 წუთზე ნაკლები დროის განმავლობაში, 1-დან 2 წუთამდე ცურვა მეტყველებდა საშუალო აქტიურობაზე, ხოლო 2 წუთზე მეტი – მაღალზე. ჩვენს მიერ შესწავლილ ცხოველებში მაღალი აქტიურობის ინდივიდები არ იყო. ამიტომ დაბალ აქტიურობს ვუპირისპირებთ საშუალო აქტიურობის მქონე ცხოველებს.

ზემოხსენებული ტესტით შემოწმებული ცხოველები მოწმდებოდა შფოთვის სპეციალურ ტესტში – ამალელებულ ჯვარედინ ლაბირინთზე [6]. ამასთან, შფოთვის შემოწმება ხდებოდა ცალ-ცალკე – ინტაქტურ ცხოველებში (პასიურებში და აქტიურებში) და ცხოველებში, რომელთაც დაზიანებული ჰქონდათ გამჭვირვალე ძვიდის მედიალური ბირთვი. გამჭვირვალე ძვიდის დაზიანება ხდებოდა, ქლორალჰიდრატით დანარკოზებულ ცხოველებში, სტერეოტაქსური კოორდინატების მიხედვით [5].

## შედეგები და მათი განხილვა

იძულებითი ცურვის ტესტით შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ე.წ. პირველი ჯგუფის რვა ცხოველიდან აქტიური აღმოჩნდა სამი ცხოველი,

მათ შორის ერთი მამრი და ორი მდედრი. დარჩენილი ხუთი ცხოველი მიდრეკილი იყო დეპრესიისკენ. ყველა პასიური ცხოველი მდედრი იყო. აქედან გამჭვირვალე ძვიდის დაზიანების შედეგად ერთი ცხოველი (№ 4) დაიღუპა და ის ანალიზში გათვალისწინებული არ იყო. ცდების ამ სერიაში ყველა ცხოველი ამადლებულ ჯვარედინ ლაბირინთზე შემოწმდა როგორც გამჭვირვალე ძვიდის დაზიანებამდე, ისე დაზიანების შემდეგ. ლაბირინთის ღია და დახურულ მკლავებზე გატარებული დროის შედარება შეიძლება ცხრილი 1-ის დახმარებით.

ცხრილი 1

აქტიური (3, 7, 8) და პასიური (1, 2, 5, 6) ცხოველების მიერ ჯვარედინი ლაბირინთის მკლავებზე გატარებული დრო გამჭვირვალე ძვიდის დაზიანებამდე და დაზიანების შემდეგ

№№	ცხოველის ქცევა ოპერაციამდე, წუთები / წამები		ოპერაციის შემდეგ, წუთები / წამები	
	ღია მკლავზე	დახურულ მკლავზე	ღია მკლავზე	დახურულ მკლავზე
1	5 / 25	4 / 35	9 / 40	0 / 40
2	0 / 55	9 / 5	0 / 57	9 / 3
3	4 / 35	5 / 25	1 / 50	8 / 110
4*	1 / 15	8 / 45	-	-
5	6 / 50	3 / 10	1 / 20	8 / 40
6	7 / 55	2 / 5	4 / 0	6 / 0
7	5 / 10	4 / 50	0 / 37	9 / 23
8	2 / 30	7 / 30	1 / 45	8 / 15

ვირთაგვა № 4 დაიღუპა ოპერაციის შედეგად.

ცხრილში მოტანილი შედეგებიდან შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს გამჭვირვალე ძვიდის დაზიანება ათამამებს პასიურ ცხოველებს, მაგრამ ზრდის ღია მკლავის შიშს აქტიურ ცხოველებში. ეს შთაბეჭდილება სტატისტიკური ანალიზის შედეგად არ მართლდება. სინამდვილეში, შფოთვისა და დეპრესიულობის მაჩვენებლები ერთმანეთთან არ კორელირებს. ამის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ შფოთვისა და დეპრესიის მექანიზმები რეგულირდება სხვადასხვა მექანიზმებით, რაც სხვა ავტორების [10] აზრსაც განამტკიცებს.

**ლიტერატურა**

1. შალამბერიძე ა., ჩხეტიანი მ., ქორელი ა. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, 30, 413-420.
2. Koreli A.G. Гиппокамп и эмоции. Тбилиси, Мещниереба, 1989.
3. Beck A.T. Cognitive Therapy and the Emotional Disorders. New York, Meridian, 1976.
4. Gray J.A. The Neuropsychology of Anxiety: an Enquiry Into the Functions of the Septo-Hippocampal System. New York, Oxford University Press, 1982.

5. Paxinos G, Watson C. The Rat Brain in Stereotaxic Coordinates. Sidney, Academic Press, 1982.
6. Pellow S., Chopin P., File S.E., Briley J. J. Neurosci. Methods, 1985, 14, 149-167.
7. Porsolt R.D. Rev. Neurosci., 2000, 11, 53-58.
8. Redei E.E., Ahmadiyeh N., Baum A.E., Sasso D.A., Slone J.L., Solberg L.C., Will C.C., Volenec A. Semin. Clin. Neuropsychiatry, 2001, 6, 43-67.
9. Squire L.R., Bloom F.E., McConnel S.K., Roberts J.L., Spitzer N.S., Zigmond M.J. Fundamental Neuroscience, 2<sup>nd</sup> Ed. San Diego, Academic Press, 2003.
10. Willner P., Mitchell P.J. Behav. Pharmacol., 2002, 13, 169-188.

## ВЛИЯНИЕ ПОВРЕЖДЕНИЯ ПРОЗРАЧНОЙ ПЕРЕГОРОДКИ НА ПОВЕДЕНИЕ КРЫС С РАЗЛИЧНОЙ ВРОЖДЕННОЙ АКТИВНОСТЬЮ, НА ПРИПОДНЯТОМ КРЕСТООБРАЗНОМ ЛАБИРИНТЕ

М. Чхетиани, А. Корели

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

В работе проанализировано влияние различных врожденных типов активности на поведение животных на приподнятом крестообразном лабиринте, как у интактных крыс, так и у тех, которым повреждали медиальное ядро прозрачной перегородки. С помощью теста Порсолта (принудительное плавание) животных распределяли в подгруппы “активных” и “пассивных”. Последние были причислены к животным с врожденной (эндогенной) депрессией. Далее животные проверялись на приподнятом крестообразном лабиринте, который считается вполне адекватным тест-прибором для определения тревожности. В конце опытов, у части животных электролитически повреждали медиальное ядро прозрачной перегородки и, после полного постоперационного выздоровления, их поведение вновь проверялось на крестообразном лабиринте.

Опытами показано, что прямой корреляции между врожденной пассивностью и тревожностью, либо между активностью и тревожностью, нет, что указывает на наличие различных механизмов депрессии и тревожности. Повреждение прозрачной перегородки в равной степени уменьшало тревожность у обоих типов животных. Полученные данные подтверждают распространенный взгляд на различие механизмов, лежащих в основе депрессии и тревожности.

# **INFLUENCE OF THE SEPTAL LESION ON BEHAVIOR OF THE RATS WITH DIFFERENT INHERENT ACTIVITY ON THE ELEVATED PLUS-MAZE**

*M. Chkhetiani, A. Koreli*

I. Beriatashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

## **SUMMARY**

The work deals with influences of various inherent emotional states on behavior of the outbred Wistar rats on the elevated plus-maze. These behaviors are analyzed in both intact animals and in those with electrolytically damaged *septum pellucidum*. With an aid of Porsolt's test (forced swimming) the animals were conditionally divided into "active" and "passive" subgroups. The latter were considered as having inherent (endogenous) depressive traits. At the further stage of experiments the active and passive animals were assessed on the elevated plus-maze, which is believed to be a valid test-apparatus for anxiety evaluation. Finally, the medial nucleus of *septum pellucidum* was destroyed in part of the animals and after complete post-surgery recovery their behavior was reevaluated on the elevated plus-maze.

Experiments have shown that there is no direct correlation between high inborn activity and anxiety or low inborn activity and anxiety. This points that the mechanisms of anxiety and depression are different. Destruction of the *septum* decreased anxiety in both types of the animals. The results obtained hence confirm the popular notion that anxiety and depression are basically different events.

## მანგანუმის როლი ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის პათოგენეზში. მიმოხილვა

თ. ცინცაძე, ა. შუკაკიძე\*, ი. ლაზრიშვილი\*\*

საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი; \* თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; \*\* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 13.07.2004

მიმოხილვაში განხილულია მანგანუმის როლი იმ ნევროლოგიური და ფსიქიკური დარღვევების პათოგენეზში, რომელიც აღინიშნება ღვიძლის მიმე დაზიანების შემთხვევებში და რომელიც ცნობილია როგორც ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია. მაგნიტურ-რეზონანსული იმიჯინგის მეთოდების გამოყენებით დადგენილია, რომ იმ პაციენტების თავის ტვინში, კერძოდ კი ბაზალურ განგლიებში, რომლებიც დაავადებულნი არიან ციროზით ან ჰეპატიტით, აგრეთვე პორტულსისტემური ანასტომოზების შემთხვევებში, აღინიშნება მანგანუმის მკვეთრად გაზრდილი დონე. ამასთანავე, ბაზალურ განგლიებში მანგანუმის აკუმულაცია კორელაციაშია იმ დარღვევებთან, რომლებიც დამახასიათებელია ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიისათვის. მანგანუმის დონე გაზრდილია იმ ცხოველების თავის ტვინშიც, რომლებიც გამოყენებული იყვნენ ღვიძლის ქრონიკული დაზიანების, პორტულ-სისტემური შუნტირების და ნალღლის სადინარის ობსტრუქციის ექსპერიმენტულ მოდელებში. განხილულია, აგრეთვე, თანამედროვე მოსაზრებები მანგანუმის ნეიროტოქსიკური ეფექტის ნატიფი მექანიზმების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მანგანუმი, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, ბაზალური განგლიები

ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია წარმოადგენს ნევროლოგიური და ფსიქიკური დარღვევების კომპლექსს, რომელიც აღინიშნებათ ღვიძლის მწვავე და ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებს და, ამასთანავე, გამორიცხულია ტვინის სხვა ცნობილი დაავადებები.

ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის ნომენკლატურა, რომელიც შემოთავაზებულია გასტროენტეროლოგთა XI მსოფლიო კონგრესის მიერ, დამყარებულია როგორც ღვიძლის დარღვევების თავისებურებებზე, ასევე ამ დარღვევათა ხანგრძლივობასა და ღვიძლის დაავადებათა ნევროლოგიურ მანი-

ფესტაციოზე [19]. გამოარჩევენ ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის სამ ძირითად ტიპს:

ტიპი A: ღვიძლის მწვავე უკმარისობასთან ასოცირებული ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია;

ტიპი B: ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, რომელიც ასოცირებულია პორტულ-სისტემურ ანასტომოზთან და არ არის დაკავშირებული ჰეპატოცელულურ დაავადებებთან;

ტიპი C: ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, რომელიც ასოცირებულია ციროზთან და პორტულ ჰიპერტენზიასთან, ან პორტულ-სისტემურ შუნტთან.

C ტიპის ქვეკატეგორიები:

- ეპიზოდური ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, რომელიც თავის მხრივ იყოფა პრეციპიტირებულ, სპონტანურ და განმეორებად ფორმებად;
- პერსისტენტული ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, რომელიც შეიძლება იყოს ზომიერი, მიმე და მკურნალობას დაქვემდებარებადი;
- მინიმალური ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია.

როგორც ამ ნომენკლატურიდან ჩანს, ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა ე.წ. პორტულ-სისტემური ენცეფალოპათია, რომელსაც რიგ შემთხვევებში თან ახლავს ჰეპატოცელულური დაავადებებიც. მისი მიზეზია ვენური სისხლის პორტულ-სისტემური შუნტირება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ან სპონტანურად, ან ქირურგიული ჩარევის შედეგად. ამ დროს თავის ტვინის ცალკეულ უბნებში ასტროციტების ცვლილებები უფრო ნათლად არის გამოხატული, ვიდრე ნეირონებისა. კერძოდ, კომის შედეგად გარდაცვლილი ციროზიანი პაციენტების თავის ტვინის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ ასტროციტების დიდი ნაწილი გაჯირჯეებულია, გაზრდილია ბირთვის მოცულობა, ბირთვაკი მკვეთრად არის გამოხატული, ქრომატინი ლოკალიზებულია ბირთვის გარსის გასწვრივ [8, 10, 50]. ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ ასტროციტებში გაზრდილია გლიის ფიბრილური მუკავე ცილისა და რიგი ფერმენტების ექსპრესია და მიტოქონდრიული ბენზოდიამინური რეცეპტორების სიმკვრივე [30, 31, 57].

ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის დროს მენტალური სტატუსის რანჟირებისათვის საყოველთაოდ აღიარებულია ვესტჰავენის კრიტერიუმები. განარჩევენ ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის ოთხ სტადიას.

I სტადიისათვის დამახასიათებელია: ეიფორია ან დეპრესია, ცნობიერების მინიმალური დეგრადაცია, მონოტონური მეტყველება და/ან ძილის დარღვევები; შესაძლოა ასტერიქსისის ("მოფარფატე" ტრემორის) არსებობაც.

II სტადიას ახასიათებს: ლეთარგია და/ან ცნობიერების მნიშვნელოვანი დეგრადაცია, ყურადღების დაქვეითება, შეკრების არითმეტიკული ოპერაციის შესრულების გაუარესება, ინდივიდუალობის ძნელად შესამჩნევი

ცვლილებები, შეუსაბამო ქცევა, პირამიდული და ექსტრაპირამიდული დარღვევები, ასტერიქსისი, ტრიფაზური ტალღები ელექტროენცეფალოგრამაში.

III სტადიისათვის დამახასიათებელია: ცნობიერების და მეტყველების მძიმე დარღვევები, გამოკლების არითმეტიკული ოპერაციის შესრულების გაუარესება, ნახევრადსტუპორში გარდამავალი მძინარობა, მაგრამ ვერბალურ სტიმულებზე რეაქციის არსებობა, პირამიდული და ექსტრაპირამიდული დარღვევები, ასტერიქსისი, ტრიფაზური ტალღები ელექტროენცეფალოგრამაში.

IV სტადიისათვის დამახასიათებელია: ასტერიქსისი, დელტა აქტივობა ელექტროენცეფალოგრამაში, კომა (თუმცა დასაწყისში აღინიშნება რეაქცია მტკივნეულ სტიმულზე, შემდგომ კი მტკივნეულ და ვერბალურ სტიმულებზე რეაქციის არარსებობა).

ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის პათოგენეზის გასარკვევად დღეისათვის მრავალი ჰიპოთეზაა შემოთავაზებული.

ამონიაკი მიჩნეულია ერთ-ერთ ძირითად ნეიროტოქსინად, რომელიც ჩართულია ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის პათოგენეზში [7, 10, 13 და სხვ.]. ვარაუდობენ, აგრეთვე, რომ ღვიძლის უკმარისობის დროს ენდოგენური ბენზოდიაზეპინები აკუმულირდება თავის ტვინში და იწვევს ღვიძლისმიერ ენცეფალოპათიას [15, 26, 48].

აღწერილია, რომ ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის დროს ადგილი აქვს სხვადასხვა ნეიროტრანსმიტერული სისტემის (გლუტამატერგული, დოფამინერგული, პისტამინერგული, სეროტონერგული და სხვ.) დარღვევა [4, 5, 38, 41, 67, 77 და სხვ.].

არსებობს, აგრეთვე, მონაცემები იმის შესახებ, რომ ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის პათოგენეზში გარკვეულ როლს თამაშობს ენდოგენური ოპიოიდები - მეტ-ენკეფალინები, ლეი-ენკეფალინები და β-ენდორფინები [70, 76, 78].

პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფიის მეთოდით ნაჩვენებია, რომ ციროზიან პაციენტებში, რომლებსაც დადგენილი ჰქონდათ ღვიძლისმიერი ენცეფალოპათია, ტვინის ცალკეულ უბნებში (თალამუსში, კუდიან ბირთვსა და ნათხემში) გაძლიერებულია გლუკოზის უტილიზაცია, ხოლო დიდი ნახევარსფეროების ქერქში (მათ შორის, სარტყლის ხვეულში) - დაქვეითებულია. ვარაუდობენ, რომ ადრეული ნეიროფსიქიური დარღვევები (ცნობიერების დეგრადაცია, დროსა და სივრცეში დეზორიენტაცია, მესხიერების დეფიციტი) გამოწვეულია გლუკოზის მეტაბოლიზმის ცვლილებებით [3, 37, 51].

აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობა ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის პათოგენეზში უფრო დაწვრილებით განხილულია ბოლო წლებში გამოქვეყნებულ, ამ პრობლემისადმი მიძღვნილ, მიმოხილვით სტატიებში [19, 24, 36, 53].

ღვთისათვის ინტენსიურად შეისწავლება მანგანუმის როლი ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის პათოგენეზში. ცნობილია, რომ ორგანიზმი ითვისებს საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრილი მანგანუმის მხოლოდ 2-4%-ს [14, 42, 43 და სხვ.], ზოგი მკვლევარის მონაცემების მიხედვით კი -

3-8%-ს [60]. მანგანუმის დანარჩენი ნაწილი ორგანიზმიდან, უპირატესად, განავალთან ერთად გამოიყოფა, სადაც ის ჰეპატობილიარული გზით ხედება [54]. სისხლში მანგანუმის კონცენტრაცია იზრდება მწვავე ჰეპატიტის აქტიურ ფაზაში, ასევე პოსტჰეპატიტური ციროზის დროს. ჰეპატიტითა და ციროზით დაავადებულ პაციენტებში დადგენილია სარწმუნო კორელაცია სისხლში მანგანუმის კონცენტრაციასა და ღვიძლის ფერმენტების აქტივობას შორის [22, 64, 71].

ღვიძლის უკმარისობისა და პორტულ-სისტემური ანასტომოზის შემთხვევებში, მანგანუმის კონცენტრაცია მკვეთრად იზრდება თავის ტვინის ქსოვილშიც, განსაკუთრებით კი, ბაზალურ განგლიებში.

მაგნიტურ-რეზონანსული იმიჯინგის (MRI) მეთოდით ნაჩვენებია, რომ ციროზით დაავადებული პაციენტების უმეტესობას ბაზალურ განგლიებში აღენიშნება T1-წონადობის გამოსახულების სიგნალის (T1-weighted images signal) ჰიპერინტენსიურობა [9, 11, 28, 29, 44, 56, 64, 74]. ეს სიგნალი შეიძლება გამოწვეული იყოს ლიპიდების დეპონირებით, კალციფიცირებით, მელანინით, მეტემოგლობინით, ან მანგანუმით. მანგანუმის სასარგებლოდ მონაცემთა მთელი რიგი მიუთითებს:

1. ციროზიანი პაციენტების აუტოფსიური მასალის შესწავლით დადგენილია, რომ მანგანუმის კონცენტრაცია მნიშვნელოვნადაა გაზრდილი თავის ტვინში, განსაკუთრებით კი, პალიდუმში [27, 32, 40, 59].
2. იმ პაციენტების თავის ტვინის ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევით, რომლებსაც აღენიშნებოდათ T1-წონადობის MRI გამოსახულების ჰიპერინტენსიურობა, ნანახია ასტროციტების ისეთივე ცვლილებები, როგორიც დამახასიათებელია ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიისათვის [29, 74]. ამასთან, ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით ნაჩვენებია, რომ ქრონიკულად per os მიწოდებული მანგანუმით განპირობებული ინტოქსიკაცია ბაზალურ განგლიებში იწვევს ნეიროგლიის კარგად გამოხატულ ცვლილებებს. კერძოდ, აღინიშნება ასტროციტების ისეთივე ხასიათის ცვლილებები (უჯრედის გაჯირჯევა, მიტოქონდრიების დაზიანება, გლიოფობრილების კონების ჰიპერტროფია, გლიოკოენის მარცვლების აკუმულაცია და ა.შ.), როგორიც დამახასიათებელია ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიისათვის [18, 52, 62, 63, 79]. ასტროციტების ცვლილებები აღწერილია მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაციის შედეგად გარდაცვლილი პაციენტის პალიდუმშიც [75].
3. პალიდუმში T1-წონადობის MRI გამოსახულებების ჰიპერინტენსიურობა აღენიშნებათ ტოტალურ პარენტერულ კვებაზე გადაყვანილ პაციენტებს, ხოლო ასეთი გზით საკვების მიწოდების შეწყვეტის შემდეგ ეს სიგნალი ქრება [39, 45, 46]. ცნობილია, რომ პარენტერული კვების დროს ორგანიზმში, კერძოდ კი თავის ტვინში, მკვეთრად იზრდება მანგანუმის კონცენტრაცია.
4. ბაზალურ განგლიებში MRI T1-წონადობის გამოსახულებების სიგნალის ჰიპერინტენსიურობა აღენიშნებათ იმ პაციენტებს, რომლებსაც დადგენილი აქვთ ალაგილის სინდრომი (Alagill's syndrome). ეს სინდრომი

გამოწვეულია აუტოსომური დომინანტური დარღვევით და ხასიათდება ქოლესტაზით, ნაღვლის ინტრაჰეპატური სადინარის უკმარისობით და სისხლში მანგანუმის გაზრდილი დონით [16].

5. T1-წონადობის MRI გამოსახულების ჰიპერინტენსიურობა ნანახია იმ მადაროვლების ბაზალურ განგლიებში, რომლებიც, შრომითი პირობებიდან გამომდინარე, ხანგრძლივად განიცდიდნენ მანგანუმის შემცველი მტკრის ზემოქმედებას და დადგენილი ჰქონდათ ისეთივე ენცეფალოპათია და ექსტრაპირამიდული გამოვლინებები, როგორც დამახასიათებელია ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიისათვის [12, 49].

მანგანუმის დონე გაზრდილია იმ ცხოველების სტრიატუმში, რომლებიც გამოყენებული იყვნენ ღვიძლის ქრონიკული დაზიანების, პორტულ-სისტემური შუნტირების და ნაღვლის სადინარის ობსტრუქციის ექსპერიმენტულ მოდელებში [47, 58, 59]. ასე, მაგალითად, ციროზიან და პორტულ-კავალურ შუნტიანი ვირთაგვების პალიდუმში მანგანუმის კონცენტრაცია გაზრდილია, შესაბამისად, 27 და 57%-ით, ხოლო კუდიან ბირთვში – 57 და 67%-ით [59].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მკვლევართა შორის არ არსებობს განსხვავებული აზრი მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტების, ციროზის, პორტულ-სისტემური ანასტომოზების და ღვიძლის სხვა დარღვევითა და მათი თანმდევი ენცეფალოპათიის შემთხვევებში თავის ტვინის ცალკეულ უბნებში მანგანუმის ჭარბი რაოდენობით დაგროვების შესახებ. მიუხედავად ამისა, ხშირად მკვლევართა მონაცემები თავის ტვინში MRI მეთოდით დადგენილ მანგანუმის დონესა და ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის, ანუ ნევროლოგიურ სიმპტომების გამოვლინების ხარისხს შორის, კორელაციის შესახებ, ურთიერთსაწინააღმდეგოა [29, 59, 64, 65, 74]. ლეი-რარგუსისა და თანავეტორების [33] აზრით, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემების მიზეზია ის გარემოება, რომ MRI მეთოდი მანგანუმის მხოლოდ მიახლოებითი კონცენტრაციის დადგენის საშუალებას იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ MRI ახალი სწრაფი მეთოდის – ე.წ. T1 კარტირება ნაწილობრივი ინვერსიული აღდგენით (T1 mapping with partial inversion recovery – TAPIR) – გამოყენებით შესწავლილია ღვიძლის ენცეფალოპათიით დაავადებული 11 პაციენტი და 15 საკონტროლო პირი. ეს მეთოდი, MRI-ს სხვა მეთოდებთან შედარებით, საშუალებას იძლევა ტვინის სხვადასხვა უბნებში უფრო ზუსტად განისაზღვროს მანგანუმის დონე. ყურადღება გამახვილებული იყო თავის ტვინის შემდეგ უბნებზე: მკრთალი სფერო (Globus pallidus), კუდიანი ბირთვი (n. caudatus), შიგა კავსულის (Capsula interna) წინა და უკანა სეგმენტები, ჩენჩო (Putamen), თალამუსი, დიდი პემისფეროების შუბლისა და კეფის წილების ქერქი და ქერქქვეშა თეთრი ნივთიერება. სარწმუნო კორელაცია T1-ის ცვლილებასა და ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის სიმძიმეს შორის დადგინდა მხოლოდ მკრთალ სფეროში, კუდიან ბირთვსა და შიდა კავსულის უკანა სეგმენტში [61].

ტვინის დამაგნიტებით კონტრასტირებული იმიჯინგის (Cerebral magnetization contrast imaging) და პროტონული მაგნიტურ-რეზონანსული სპექტროსკოპიის (Proton Magnetic Resonance Spectroscopy – MRS) მეთოდებით დადგე-

ნილია, რომ პირველადი ბილიარული ციროზის დროს გამოვლენილ ნეუროლოგიურ დარღვევებს საფუძვლად უდევს ქოლესტაზი და არა ციროზი, per se [20]. ავტორების აზრით, ღვიძლის ფუნქციის გაუარესება ციროზისა და ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის განვითარებამდე ბევრად უფრო ადრე ახდენს არახელსაყრელ ზემოქმედებას თავის ტვინზე.

მანგანუმის ნეიროტოქსიკური ეფექტის ნატიფი მექანიზმების შესახებ მრავალი და, უმეტეს შემთხვევაში, სპეკულაციური მოსაზრება არსებობს.

ითვლება, რომ მანგანუმი გავლენას ახდენს დოფამინურულ გადაცემაზე. მანგანუმის ქრონიკული ინჰალაციის შემთხვევაში, პრიმატების პალიდუმში 60-80%-ით იზრდება მანგანუმის კონცენტრაცია და ადგილი აქვს დოფამინის შემცველობის თანმხლებ შემცირებას [6]. მანგანუმი ასტიმულირებს ნერვული დაბოლოებებიდან დოფამინის გამოთავისუფლებას [17] და დოფამინის გამოფიტვას მისი დეპონირების ადგილებიდან [35].

მანგანუმით ზემოქმედება აქვეითებს ასტროციტების მიერ გლუტამატის მიტაცებას [23]; გავლენას ახდენს გლუტამინ-სინთეზაზას აქტივობაზე [1]. პორტულ-სისტემური ანასტომოზისა და ღვიძლის დისფუნქციის მქონე პაციენტების MRI და MRS მეთოდებით ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადგილი აქვს მიოინოზიტოლისა და ქოლინის კონცენტრაციის დაქვეითებას, ხოლო გლუტამინის კონცენტრაციის – ზრდას. მიოინოზიტოლის განღვევა წარმოადგენს ღვიძლისმიერი ენცეფალოპათიის ყველაზე მგრძობიარე და სპეციფიკურ სპექტროსკოპიულ მარკერს. მისი ნაკლებობა, შესაძლოა, წარმოადგენს გლუტამინის აკუმულაციის კომპენსატორულ მექანიზმს [21].

მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაცია იწვევს თავის ტვინში მონოამინოქსიდაზის აქტივობის ზრდას [34, 68]; მისი ორივე იზოფორმის (MAO<sub>A</sub> და MAO<sub>B</sub>) აქტივობა გაზრდილია ღვიძლის ენცეფალოპათიის მქონე და კომის შედეგად გარდაცვლილი ციროზიანი პაციენტების თავის ტვინში [57].

მანგანუმი იწვევს გლიკოლიზური ფერმენტის – გლიცერალდეჰიდ-3-ფოსფატ დეჰიდროგენაზის – ექსპრესიის ზრდას [24, 25], ანუ მანგანუმის სიჭარბე გავლენას ახდენს ტვინის მეტაბოლიზმზეც.

ზოგი მკვლევარის მონაცემებით, ასტროციტებს აქვს მანგანუმის აკუმულაციის უნარი. საერთოდ, უჯრედში აკუმულირებული მანგანუმის 70%-ზე მეტი მიტოქონდრიებშია ლოკალიზებული [2, 55, 66, 72, 73]. მანგანუმის ზემოქმედების შედეგად დოზადამოკიდებულად იზრდება ასტროციტებიდან აზოტის ჟანგის გამოთავისუფლება [66]. მკვლევარების აზრით, მანგანუმის ნეიროტოქსიკური ეფექტი განპირობებულია არა მარტო მიტოქონდრიების ფუნქციის დათრგუნვით, არამედ ტვინის ქსოვილში ნეიროტოქსიკური აზოტის ჟანგის კონცენტრაციის მატებითაც.

ამრიგად, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობისა და პორტულ-სისტემური ანასტომოზის შემთხვევებში, რომელთა შედეგად ვითარდება ღვიძლის-მიერი ენცეფალოპათია, ადგილი აქვს თავის ტვინში, განსაკუთრებით კი ბაზალურ განვლებში, მანგანუმის აკუმულაციას. თუმცა მანგანუმის რეგონდამოკიდებული აკუმულაციის პათოფიზიოლოგიური მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული, ღვიძლის ქრონიკული დაავადე-

ბების დროს ორგანიზმიდან ჭარბი მანგანუმის ხელაღვია შესაძლოა განხდეს დაავადების თანმდევი ნევროლოგიური დარღვევების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალება.

## ლიტერატურა

1. *Aschner M., Aschner J. L. Neurosci. Behav. Rev.*, 1991, 15, 333-340.
2. *Aschner M., Gannon M., Kimelberg H. K. J. Neurochem.*, 1992, 58, 730-735.
3. *Audet R., Butterworth R.F. Metabolic Brain Disease*, 1998, 13, 69-78.
4. *Bergeron M., Layrargues G.P., Butterworth R.E. Metabolic Brain Disease*, 1989, 4, 169-176.
5. *Bergeron M., Swain M. S., Reader T. A., Butterworth R. E. Neurochem. Res.*, 1995, 20, 79-86.
6. *Bird E.D., Anton A.H., Bullock B. Neuro. Toxicol.*, 1984, 5, 59-66.
7. *Blei A.T., Olafsson S., Therrien G., Butterworth R. E. Hepatology*, 1994, 19, 1437-1444.
8. *Butterworth R.F. J. Hepatol.*, 2000, 32, 171-180.
9. *Butterworth R.F. Indian J. Gastroenterol.*, 2003, 22, Suppl. 2, S11-S16.
10. *Butterworth R.E., Giguere J.F., Michaud J., Lavoie J., Layrargues G. P. Neurochem. Pathol.*, 1987, 6, 1-12.
11. *Butterworth R.F., Spahr L., Fontaine S., Layrargues G.P. Metab. Brain Dis.*, 1995, 10, 259-267.
12. *Chetri K., Choudhuri G. Indian J. Gastroenterol.*, 2003, 22, Suppl. 2, S28-S30.
13. *Clemmensen J.O., Larsen F.S., Kondrup J., Hansen B.A., Off P. Hepatology*, 1999, 29, 648-653.
14. *Cotzias G.C., Horiuchi K., Fuenzalida S., Mena I. Neurology*, 1968, 18, 376-382.
15. *Dasarathy S., Mullen K. D. Gut*, 1998, 42, 764-765.
16. *Devenyi A.G., Barron T.F., Mamourian A.C. Gastroenterol.*, 1994, 106, 1068-1071.
17. *Drapeau P., Nachshev D.A. J. Physiol.*, 1984, 348, 493-510.
18. *Dydyk L., Mossakowski M.J. Neuropathol. Pol.*, 1984, 22, 265-280.
19. *Ferenci P., Lockwood A., Mullen K., Tarter R., Weissenborn K., Blei A. Hepatology*, 2002, 35, 716-721.
20. *Forton D.M., Patel N., Prince M., Outrige A., Hamilton G., Goldblatt J., Allsop J.M., Hajnal J.V., Thomas H.C., Bassendine M., Jones D.E., Taylor-Robinson S. D. Gut*, 2004, 53, 587-592.
21. *Gupta R.K., Dhiman R. K. Indian J. Gastroenterol.*, 2003, 22, Suppl. 2, S45-S49.
22. *Hauser R.A., Zesiewicz T.A., Martinez C., Rosemurgy A.S., Olanov C.W. Can. J. Neurol. Sci.*, 1996, 28, 95-98.
23. *Hazell A.S., Norenberg M.D. Neurochem. Res.*, 1997, 22, 1443-1447.
24. *Hazell A.S., Butterworth R. F. Proc. Soc. for Biology and Medicine*, 1999, 222, 99-112.
25. *Hazell A.S., Desjardins P., Butterworth R.F. Neurochem. Int.*, 1999, 35, 11-17.
26. *Hernandez-Aliva C.A., Shoemaker W.J., Ortega-Soto H.A. J. Psych. Neurosci.*, 1998, 23, 217-222.
27. *Krieger D., Krieger S., Jansen D., Gass P., Thielmann L., Lichtnecker H. Lancet*, 1995, 346, 270-274.
28. *Krieger D., Jaub M., Jansen O., Theilman L., Geibler M., Krieger S. Gastroenterol.*, 1996, 111, 147-155.
29. *Kulisevsky J., Pujol J., Balauzo J., Junque C., Deus J., Capdevilla A., Villanueva C. Hepatology*, 1992, 16, 1382-1388.
30. *Lavoie J., Layrargues G.P., Butterworth R.F. Hepatology*, 1990, 11, 874-878.
31. *Lavoie J., Giguere J.F., Layrargues G.P., Butterworth R.F. Metab. Brain Disease*, 1987, 2, 283-290.
32. *Layrargues G.P., Spahr L., Butterworth R. F. Lancet*, 1995, 345, 375.
33. *Layrargues G.H., Rose C., Spahr L., Zayed J., Normandin L., Butterworth R.F. Metab. Brain Disease*, 1998, 13, 311-317.
34. *Leung T.K., Lai J. C. K., Lin L. J. Neurochem.*, 1986, 36, 2037-2043.
35. *Lista A., Abarca J., Ramos C., Daniels A. J. Life Sci.*, 1986, 38, 2121-2127.
36. *Lizardi-Cervera J., Almeda P., Guevara L., Uribe M. Ann. Hepatol.*, 2003, 2, 122-130.

37. Lockwood A.H., Yap E.W., Rhoades H.M., Wong W.H. J. Cereb. Blood Flow Metab., 1991, 11, 331-336.
38. Lozeva V., MacDonald E., Belcheva A., Hippelainen M., Kosunen H., Tuomisto L. J. Neurochem., 1998, 71, 1450-1456.
39. Lucchini R., Albini E., Placidi D., Casparotti R., Pigozzi, Montani G., Alessio L. Neurotoxicol., 2000, 21, 769-775.
40. Maeda H., Sato M., Yoshikawa A., Kimura M., Sonomura T., Terada M. Neuroradiology, 1997, 39, 546-550.
41. Maddison J.E., Mickelthwaite C., Watson W.E., Johnston G.A. Neurochem. Int., 1996, 28, 89-93.
42. Mena I. Ann. Clin. Lab. Sci., 1974, 4, 487-491.
43. Mena I., Marin O., Fuenzalida S., Cotzias G.C. Neurology, 1967, 17, 128-136.
44. Miranda M., Caballero L. Rev. Med. Chil., 2001, 129, 1051-1055.
45. Mirowitz J.A., Westrich T.S. Radiology, 1992, 185, 535-536.
46. Mirowitz J.A., Westrich T.S., Hirsh J.D. Radiology, 1991, 181, 117-120.
47. Montes S., Alcaraz-Zubeldia M., Muriel P., Rios C. Brain Res., 2001, 891, 123-129.
48. Mullen K.D., Jones E.A. Sem. Liver Dis., 1996, 16, 255-264.
49. Nelson K., Golnick J., Korn T., Angle C. Br. J. Ind. Med., 1993, 50, 510-513.
50. Norenberg M. D. Adv. Cell Neurobiol., 1981, 2, 303-352.
51. O'Carroll R.E., Hayes P.C., Ebmeier K.P., Dougall N., Murray C., Best J.J., Bouchier I.A., Goodwin G.M. Lancet, 1991, 337, 1250-1253.
52. Olanov C.W., Good P.F., Shinotoh H., Hewitt K.A., Vingerhoets F., Snow B.J., Beal M.F., Calne D.B., Perl D.P. Neurology, 1996, 46, 492-498.
53. Ong G.P., Mullen K.D. Eur. J. Gastroenterol. Hepatol., 2001, 13, 325-334.
54. Papavasiliu P. S., Miller S. T., Cotzias G. C. Am. J. Physiol., 1966, 211, 211-216.
55. Pinteaux E., Perraut M., Tholey G. Glia, 1998, 22, 408-414.
56. Pujol A., Pujol J., Graus F., Rimola A., Peri J., Mercader J.M., Garcia Pagan J.C., Bosch J., Rodes J., Tolosa E. Neurology, 1993, 43, 65-69.
57. Rao V.L., Giguere J.F., Layrargues G.P., Butterworth R.F. Brain Res., 1993, 621, 349-352.
58. Rose C., Butterworth R.F., Zayed J., Spahr L., Huet P.M., Gareau L., Layrargues G.P. Hepatology, 1997, 26, 182A.
59. Rose C., Butterworth R.F., Zayed J., Normandin L., Todd K., Michalak A., Spahr L., Huet P.M., Layrargues G. P. Gastroenterol., 1999, 117, 640-644.
60. Sandstrom B., Davidsson L., Cederblad A., Eriksson R., Lonnerdal B. Acta Pharmacol. Toxicol. (Copenh.), 1986, 59, Suppl. 7, 60-62.
61. Shah N.J., Neeb H., Zaitsev M., Steinhoff S., Kircheis G., Amants K., Haussinger D., Zilles K. Hepatology, 2003, 38, 1219-1226.
62. Shukakidze A., Khetsuriani R., Bikashvili T. Proc. Georgian Acad.of Sci.(Biol. ser.), 1998, 24, 365-373.
63. Shukakidze A.A., Lazriev I.L., Bikashvili T.Z. J. Neurosci. and Behav. Physiol., 2002, 32, 561-566.
64. Spahr L., Butterworth R.F., Fontaine S., Bui L., Therrien G., Millette P., Lebrun L-H., Zayed J., Leblanc A., Layrargues G.P. Hepatology, 1996, 24, 1116-1120.
65. Spahr L., VingerHoetes F., Lazeyras F., Dalavelle J., Du Pasquier R., Giostra E. Hepatology, 1998, 28, 457A.
66. Spranger M., Schwab S., Desiderato S., Bonmann E., Krieger D., Fandrey J. Exp. Neurol., 1998, 149, 277-283.
67. Suarez I., Bodega G., Fernandez B. Brain Res., 1997, 778, 346-353.
68. Subhash M., Padmashree T.S. Food and Chem. Toxicol., 1991, 29, 579-582.
69. Taylor-Robinson S.D., Oatridge A., Hajnal J.V., Burroughs A.K., McIntyre N., Desouza N. M. Metab. Brain Dis., 1995, 10, 175-188.

70. *Thornton J.R., Losowsky M.S.* Gut, 1991, 32, 306-308.
71. *Versieck J., Barbier F., Speecke A., Hoste J.* Clin. Chem., 1974, 20, 1141-1145.
72. *Wedler F.C., Ley B.W.* Neurochem. Res., 1990, 15, 1221-11228.
73. *Wedler F.C., Ley B.W., Grippo A.A.* Neurochem. Res., 1989, 14, 1129-1135.
74. *Weissenborn K., Ehrenheim C., Hori A., Kubicka S., Manns M. P.* Metab. Brain Dis., 1995, 10, 219-231.
75. *Yamada M., Ohno S., Okayasu I., Okeda R., Hatakeyama S., Watanabe H., Ushio K., Tsukagoshi H.* Acta Neuropathol (Berl), 1986, 70, 273-278.
76. *Yurdaydin C., Li Y., Ha J.H., Jones E.A., Rothman R., Basile A.S.* J. Pharmacol. Exp. Therap., 1995, 273, 185-192.
77. *Yurdaydin C., Herneth A.M., Puspok A., Steindl P., Singer E., Ferenci P.* Eur. J. Gastroenterol. Hepatol., 1996, 8, 667-871.
78. *Yurdaydin C., Kanavelioglu D., Onaran O., Celik T., Yasa M.H., Urunalimoglu O. J.* Hepatol., 1998, 29, 796-801.
79. *Бикашвили Т., Шукакидзе А., Кикнадзе Г.* Морфология, 2000, 117, 14- 18.

## РОЛЬ МАРГАНЦА В ПАТОГЕНЕЗЕ ПЕЧЕНОЧНОЙ ЭНЦЕФАЛОПАТИИ. ОБЗОР

*Т. Цинцадзе, А. Шукакидзе\*, И. Лазришвили\*\**

Грузинский государственный технический университет, Тбилиси; \* Тбилисский государственный медицинский университет; \*\* Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

В обзоре рассмотрена роль марганца в патогенезе комплекса тех неврологических и психических расстройств, которые отмечаются у больных с тяжелыми повреждениями печени и которые известны как печеночная энцефалопатия. Методами ядерно-магнитного резонанса установлено, что в головном мозге, в частности в базальных ганглиях, у больных циррозом и гепатитом, а также в случаях порто-системного анастомоза, имеет место резкое повышение концентрации марганца. При этом, уровень марганца в базальных ганглиях коррелирует с расстройствами, характерными для печеночной энцефалопатии. Уровень марганца, также повышен в мозге животных, использованных в экспериментальных моделях хронического поражения печени, порто-системного шунтирования и обструкции желчного протока. Рассмотрены, также, современные взгляды о тонких механизмах нейротоксического эффекта марганца.

## ROLE OF THE MANGANESE IN PATHOGENESIS OF HEPATIC ENCEPHALOPATHY. A REVIEW

*T. Tsintsadze, A. Shukakidze\*, I. Lazrshvili\*\**

Georgian State Technical University, Tbilisi; \* Tbilisi State Medical university; \*\* I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

### SUMMARY

The role of manganese in pathogenesis of those neurological and psychic disorders is reviewed, which are noted in the cases of grave damage to the liver and which are known as hepatic encephalopathy. With an aid of MRI it was determined that in the brains of the patients, particularly in the basal ganglia, which are afflicted with cirrhosis or hepatitis, as well as in the cases of portal-systemic anastomoses, dramatically increased level of the manganese has been revealed. Accumulation of the manganese in the basal ganglia correlates with those disorders, which are characteristic of hepatic encephalopathy. Volume of the manganese in increased also in the brains of those animals, which are used for modeling of chronic hepatic damage – portal-systemic shunting and obstruction of biliary ducts. Current views on the fine mechanisms of the manganese neurotoxicity are reviewed as well.

1. Gurev G.P., Gurev P.G., Gurev G.P., Gurev K.V., Gurev G.P., Gurev E.V., Gurev M.P., Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
2. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
3. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
4. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
5. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
6. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
7. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
8. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
9. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
10. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
11. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
12. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
13. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
14. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
15. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
16. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
17. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
18. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
19. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
20. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
21. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
22. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
23. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
24. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
25. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
26. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
27. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
28. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
29. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
30. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
31. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
32. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
33. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
34. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
35. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
36. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
37. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
38. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
39. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
40. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
41. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
42. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
43. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
44. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
45. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
46. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
47. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
48. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
49. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
50. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
51. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
52. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
53. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
54. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
55. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
56. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
57. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
58. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
59. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
60. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
61. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
62. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
63. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
64. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
65. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
66. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
67. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
68. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
69. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
70. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
71. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
72. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
73. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
74. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
75. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
76. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
77. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
78. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
79. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
80. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
81. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
82. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
83. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
84. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
85. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
86. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
87. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
88. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
89. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
90. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
91. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
92. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
93. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
94. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
95. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
96. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
97. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
98. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
99. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.
100. Gurev G.P., Gurev G.P. *Neurolog.*, 1996, 46, 491-498.

## Ca<sup>2+</sup>-АТФაზის გაშვების ფიზიოლოგიური საკითხი

ლ. წაქაძე, ნ. არუთინოვა, ე. ნოზაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 28.06.2004

ვითარდება თავის ტვინის სინაფსური მემბრანების Mg<sup>2+</sup>-არადამოკიდებულ Ca<sup>2+</sup>-ATPაზასა და Ca<sup>2+</sup>-ATPაზას შორის არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი. თავისუფალი Mg<sup>2+</sup> Ca<sup>2+</sup>-ATPაზის სრულ ინიზიტორს წარმოადგენს, დაკავშირების ერთი უბნით (M<sub>Mg</sub> = 1). ასევე, თავისუფალი Ca<sup>2+</sup> ინიზიტორებს Ca<sup>2+</sup>-ATPაზას (M<sub>Ca</sub> = 1). Ca<sup>2+</sup>-ATPაზა კალიუმის და ნატრიუმის იონებისადმი არამგრძობიარეა.

საკვანძო სიტყვები: Ca<sup>2+</sup>-ATPაზა, სინაფსური მემბრანები, ვითარება

ძუძუმწოვართა თავის ტვინის სინაფსურ მემბრანებში ლოკალიზებულია Ca<sup>2+</sup>-აქტივირებული ATPაზების ორი სისტემა: Ca<sup>2+</sup>, Ca<sup>2+</sup>-ATPაზა (Mg<sup>2+</sup>-დამოკიდებული) და Ca<sup>2+</sup>-ATPაზა (Mg<sup>2+</sup>-არადამოკიდებული). პირველი წარმოადგენს კლასიკურ “Ca-ტუმბოს”, ხოლო მეორეს ფუნქციური დანიშნულება სადღეისოდ გარკვეული არ არის. ამ უკანასკნელის სუბსტრატია [Ca<sup>2+</sup>-ATP] კომპლექსი და აქტივდება Ca<sup>2+</sup>-ის დაბალი კონცენტრაციებით [1]. ექვეყნებუ დგას Ca<sup>2+</sup>-ATPაზის მონაწილეობა Ca<sup>2+</sup>-სა და წყალბად იონთა ტრანსპორტში [1]. Ca<sup>2+</sup>-ATPაზა ნაკლებად შესწავლილი სისტემაა, ამდენად ბევრი საკითხი მისი ფუნქციონისა და სხვა მემბრანულ ფერმენტულ სისტემებთან ურთიერთკავშირის შესახებ შესასწავლ საგანს წარმოადგენს.

### მასალა და მეთოდები


კვლევის ობიექტს წარმოადგენს ვითარებას თავის ტვინიდან დიფერენციალური ცენტრიფუგირებით, 1,2-0,8 საქაროზას გრადიენტში მიღებული, სინაფსური მემბრანების ფრაქცია [6]. Ca<sup>2+</sup>-ATPაზურ აქტივობაზე ვმსჯელობდით სხვაობით tris-HCl (pH 7,5) 40 mM, ვგტა – 0,1 mM, ოუბაინი – 0,1 mM, Ca-ისა და ATP-ის 2 mM კონცენტრაციის შემადგენლობის მქონე არესა და უკალციუმო არეს შორის. Ca<sup>2+</sup>-ATPაზურ აქტივობას ვიკვებდით

იგივე შემადგენლობის არეში, მხოლოდ  $\text{Ca}^{2+}$ -ის ნაცვლად შეგვექონდა  $\text{Mg}^{2+}$ -ATP-ის აქტივობას ვიგებდით ფერმენტის მიერ ATP-ის დაშლით გამოყოფილი არაორგანული ფოსფორის (Pin) რაოდენობით მგ ცილაზე საათში. არაორგანულ ფოსფორს ესაზღვრავდით კოლორიმეტრიულად [2]. ცილის კონცენტრაციას ესაზღვრავდით ლოურის მეთოდით. ექსპერიმენტული მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკურად.

## შედეგები და მათი განხილვა

ორი ფერმენტული სისტემის ურთიერთზეგავლენის შესწავლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თითოეულისათვის ცილის კონცენტრაციიდან რეაქციის სიჩქარის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების გავლენა, რაც საშუალებას იძლევა საძიებელი სისტემებისათვის შერჩეულ იქნას ცილის ოპტიმალური კონცენტრაციები და შემდგომ სარეაქციო არეში მათი ჯამური კონცენტრაციის შეტანა.



სურ. 1-ზე მოყვანილია  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის,  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის და მათი ჯამური (ექსპერიმენტულად მიღებული) აქტივობა, რაც შეადგენს  $6,11 \pm 0,51$  (1),  $9,05 \pm 0,88$  (2) და  $6,5 \pm 0,8$  (3)  $\mu\text{M}$  Pin/საათი მგ ცილა, შესაბამისად. ჯამური (თეორიულად გამოთვლილი) აქტივობა –  $15,16 \pm 1,02$  (4)  $\mu\text{M}$  Pin/საათი მგ ცილა. სურათიდან ნათლად ჩანს, რომ თეორიულ და ექსპერიმენტულ ხვედრით აქტივობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საძიებელი სიდიდეები ურთიერთზემოქმედებენ. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გვენახა  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის დამოკიდებულება  $\text{Mg}^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე და  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის დამოკიდებულება  $\text{Ca}^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე.



სურ. 1.  $\text{Ca}^{2+}$ - და  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის ურთიერთქმედება.  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის (1),  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის (2),  $\text{Ca}^{2+}$ - და  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის (ექსპერიმენტული ჯამი) (3),  $\text{Ca}^{2+}$ - და  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის (თეორიული ჯამი) (4).  $\text{Ca}^{2+} = 2 \text{ mM}$ ,  $\text{Mg}^{2+} = 2 \text{ mM}$ ,  $\text{ATP} = 2 \text{ mM}$ , ცილა (1 და 2) =  $0,025 \text{ მგ/მლ}$ , ცილა (3 და 4) =  $0,05 \text{ მგ/მლ}$ .

სურ. 2-ზე ნაჩვენებია  $\text{Ca}^{2+}$ -ATP-ის აქტივობაზე  $\text{Mg}^{2+}$ -ის იონების ზეგავლენა. აბცისათა ღერძზე გადაზომილია თავისუფალი  $\text{Mg}^{2+}$ -ის კონცენტრაციები, გამოთვლილი ჯამური ( $\Sigma$ )  $\text{Mg}^{2+}$ -ის ვარიანტული კონცენტრაციების (0,1 mM-დან 10,0 mM-მდე) მიხედვით (იხ. ცხრილი, მარცხენა მხარე).

$\Sigma Mg^{2+} = 2 \text{ mM}; \Sigma ATP = 2 \text{ mM}; K_{Mg} = 0.085 \text{ mM}^{-1}$						$\Sigma Ca^{2+} = 2 \text{ mM}; \Sigma ATP = 2 \text{ mM}; K_{Ca} = 0.117 \text{ mM}^{-1}$					
$\Sigma Ca^{2+}$ mM	$ATP_r$ mM	$Mg^{2+}$ mM	$MgATP$ mM	$Ca^{2+}$ mM	$CaATP$ mM	$\Sigma Mg^{2+}$ mM	$ATP_r$ mM	$Ca^{2+}$ mM	$CaATP$ mM	$Mg^{2+}$ mM	$MgATP$ mM
0,00	0,37	0,372	1,63	0,000	0,00	0,00	0,43	0,429	1,57	0,000	0,00
0,01	0,37	0,375	1,62	0,002	0,01	0,10	0,38	0,457	1,53	0,018	0,02
0,10	0,33	0,407	1,59	0,026	0,026	0,50	0,25	0,630	1,37	0,125	0,37
0,20	0,30	0,443	1,56	0,066	0,14	0,75	0,20	0,827	1,17	0,254	0,50
1,00	0,15	0,717	1,28	0,435	0,57	1,00	0,17	0,993	1,01	0,417	0,58
2,00	0,09	0,966	1,03	1,125	0,88	2,00	0,091	1,230	0,77	1,075	0,93
3,50	0,06	1,200	0,80	2,368	1,14	3,50	0,05	1,528	0,47	2,457	1,04
5,00	0,04	1,356	0,65	3,700	1,31	7,50	0,02	1,737	0,26	6,207	1,29
10,0	0,02	1,592	0,41	6,429	1,57	10,0	0,02	2,000	0,00	10,00	1,72



სურ. 2.  $Ca^{2+}$ -ATP-ის აქტივობაზე თავისუფალი  $Mg^{2+}$ -ის მოქმედება.  $Ca^{2+} = 2 \text{ mM}$ ,  $ATP = 2 \text{ mM}$ , ცილა -  $0,025 \text{ მგ/მლ}$ .

სურ. 3.  $Ca^{2+}$ -ATP-ის აქტივობაზე თავისუფალი  $Ca^{2+}$ -ის მოქმედება.  $Mg^{2+} = 2 \text{ mM}$ ,  $ATP = 2 \text{ mM}$ , ცილა -  $0,025 \text{ მგ/მლ}$ .

კინეტიკური მრუდის ფორმის ანალიზის მეთოდით [7] დადგინდა, რომ ფუნქციის გააჩნია ასიმპტოტა (ე.ი. მიისწრაფვის სწორი ხაზისაკენ) ( $1/V = 0,1234 \pm 0,0018$ ), რაც იმის მაჩვენებელია, რომ თავისუფალი  $Mg^{2+}$ -ის იონები  $Ca^{2+}$ -ATP-ის რეაქციის სრულ ინჰიბიტორს წარმოადგენს და მისი, როგორც სრული ინჰიბიტორისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი, უტოლდება ერთს (მრუდი სწორდება შებრუნებული სიდიდის პირველ ხარისხში).

იგივე ხასიათის დამოკიდებულება მივიღეთ  $Ca^{2+}$ -ATP-ის აქტივობაზე თავისუფალი  $Mg^{2+}$ -ის იონების ზეგავლენით (სურ. 3). თავისუფალი  $Mg^{2+}$ -ის კონცენტრაციები მოყვანილია ცხრილის მარჯვენა მხარეს. ექსპერიმენტული

მრუდის ხასიათიდან გამომდინარე, აქაც გვაქვს ასიმპტოტა ( $1/V = 0,0909 \pm 0,011$ ), ე.ი. თავისუფალი  $Ca^{2+}$ -ის იონები  $Ca^{2+}$ -ATP-ის აქტივობის ინჰიბიტორს წარმოადგენს, ხოლო  $Ca^{2+}$ -ATP-ის გააჩნია  $Ca^{2+}$ -ის დამაკავშირებელი ერთი უბანი ( $m=1$ ). ორივე სისტემისათვის ( $Ca^{2+}$ -ATP-ისა და  $Ca^{2+}$ -ATP-ის) თავისუფალი  $Mg^{2+}$  და თავისუფალი  $Ca^{2+}$ -ის კონცენტრაციების ცვლილება (სურ. 2 და 3) მიმდინარეობს თავისუფალი ლიგანდების (თავისუფალი ATP,  $Ca^{2+}$ -ATP კომპლექსი,  $Ca^{2+}$ , ან  $Mg^{2+}$ ) შესაბამისი ცვლილების ფონზე. ცხრილში მოყვანილია  $Ca^{2+}$ -ATP-ისა და  $Ca^{2+}$ -ATP-ისათვის გამოთვლილი თავისუფალი ლიგანდების კონცენტრაციები. წონასწორობის კონსტანტები  $[Ca^{2+}\text{-ATP}]$  და  $[Ca^{2+}\text{-ATP}]$ -ის კომპლექსისათვის ტოლია:  $K_{Mg} = 0,085 \text{ mM}^{-1}$  [5]  $K_{Ca} = 0,117 \text{ mM}^{-1}$  [8].

ცნობილია, რომ  $Ca^{2+}$ -ისა და  $Mg^{2+}$ -ის იონები არეგულირებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ნერვული უჯრედის ფუნქციობას. ამავე დროს,  $Ca^{2+}$ -ისა და  $Mg^{2+}$ -ის მოქმედება მეტაბოლიზმზე ავლენს გარკვეულ ანტაგონიზმს. კარგად ცნობილია  $Mg^{2+}$ -ის როლი სუბსტრატული კომპლექსის შექმნაში ადენოზინტრიფოსფატური რეაქციებისათვის. ასევე დადგენილია  $[Ca^{2+}\text{-ATP}]$  სუბსტრატული კომპლექსის არსებობა  $Ca^{2+}$ -ATP-ის რეაქციისათვის [3]. მრავალ შემთხვევაში  $Ca^{2+}$ -სა და  $Mg^{2+}$ -ს შორის ანტაგონიზმს არ გააჩნია გარკვეული ფიზიოლოგიური ახსნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორი იონის ერთობლივი მოქმედების პირობებში, მათი კონკურენტულობა გამოწვეული უნდა იყოს ATP-ის მოლეკულასთან სუბსტრატული კომპლექსის შექმნით, ან ფერმენტის კატალიზური ცენტრის ფორმირებაში მონაწილეობით (ცნობილია  $Mg^{2+}$ -ის მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში).

იმისათვის, რომ  $Ca^{2+}$ -ით განპირობებული ყველა პროცესი ნორმალურად წარიმართოს, უჯრედში  $Ca^{2+}$ -ის კონცენტრაცია ძალიან ვიწრო ფარგლებში უნდა იცვლებოდეს. პლაზმური მემბრანისა და ენდოპლაზმური რეტიკულუმის “Ca-ტუმბოს” საშუალებით იონიზებული  $Ca^{2+}$ -ის დონე ციტოპლაზმაში ძალიან მცირეა ( $\sim 10^{-7}$  M) მეტაბოლური მოსვენების პირობებში. კალციუმის დონის ზრდა იწვევს მეტაბოლური პროცესების ინჰიბირებას, რომლის აცილება შესაძლებელია ხდებოდეს  $Ca^{2+}$ -ATP-ის მონაწილეობით. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, აქტივდება  $Ca^{2+}$ -ის იმ კონცენტრაციებით ( $5 \cdot 10^{-4} - 2 \cdot 10^{-3}$  M), რომლებიც “Ca-ტუმბოს” მაინჰიბირებელია.

$Ca^{2+}$ -ის იონების აღნიშნული კონცენტრაციები ითვლება  $Na^+, K^+$ -ATP-ის ძლიერ ინჰიბიტორადაც, ვინაიდან ამუხრუჭებენ  $Na^+, K^+$ -ATP-ის  $Na^+$ -დამოკიდებულ საფეხურს (ფერმენტის ფოსფორილება) [9].

თავის მხრივ,  $Na^+, K^+$ -ATP-ის გამააქტივებელი იონები –  $Na^+$ ,  $K^+$  და  $Mg^{2+}$  გარკვეულ როლს თამაშობენ კალციუმის დინებაზე მემბრანის გასწვრივ. სწორედ  $Na^+$ -ის კონცენტრაციული გრადიენტი განსაზღვრავს მემბრანის სხვადასხვა მხარეს ელექტროგენური  $Na^+/Ca^+$ -ცვლის აქტივობას, ხოლო  $Na^+$  და  $K^+$  იონები მნიშვნელოვნად ააქტივებენ “Ca-ტუმბოს”.

დაისვა კითხვა, რა ზეგავლენას მოახდენს  $Na^+$  და  $K^+$  იონები  $Ca^{2+}$ -ATP-ის რეაქციაზე. შემდგომ ექსპერიმენტებში,  $Ca^{2+}$ -ATP-ისაზე კალიუმისა და ნატრიუ-

მის იონების მოქმედების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული იონები  $10^{-3}$  -  $10^{-1}$  M ფარგლებში სარწმუნო ეფექტს არ ავლენენ. უფრო მაღალი კონცენტრაციების პირობებში ( $K^+ > 100$  mM,  $Na^+ > 100$  mM) აღინიშნა აქტივობის მცირე დაწვევა, რაც არასპეციფიკურია და გამოწვეული უნდა იყოს იონური ძალის გაზრდით. აღნიშნული შედეგების და ადრე მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების [4] შეჯერების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ  $Ca^{2+}$ -ATPაზასა და  $Na^+, K^+$ -ATPაზას, ასევე  $Ca^{2+}$ -ATPაზას და  $Na^+, Ca^{2+}$ -ATPაზას ძალიან მცირე რამ აქვთ საერთო.  $Ca^{2+}$ -ATPაზას ფუნქციური კავშირი სხვა ATPაზურ სისტემებთან შემდგომ კვლევას საჭიროებს.

### ლიტერატურა

1. არუთინოვა ნ., წაქაძე ლ. საქ. მეცნ. აკად. მაგნე, სერ. ბიოლ. – A, 2003, 29, 529-534.
2. Kazanov A.M., Maslova T.H. Ж. эвол. биохим. физиол., 1980, 16, 81-87.
3. Arutinova N.V., Tsakadze L.G., Kometiani Z.P. Georgian J. Neurosc., 2002, 1, 23-33.
4. Arutinova N.V., Tsakadze L.G. Bull. Georgian Acad. Sci., 2003, 167, 526-529.
5. Bardsley W.G., Childs R.E. Biochem. J., 1975, 149, 313-328.
6. Kometiani Z.P., Tsakadze L.G., Jariashvili T.Ya. J. Neurochem., 1984, 42, 1246-1250.
7. Kometiani Z.P., Chkadua G. J. Biol. Phys. Chem., 2003, 3, 78-81.
8. Palayoor S.T., Seyfried T.N., Bernard D.L. J. Neurochemistry, 1986, 46, 1370-1375.
9. Robinson J.O., Flashner M.S. Biochem. Biophys. Acta, 1979, 549, 145-176.

### НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИЗУЧЕНИЯ $Ca^{2+}$ -АТФ-АЗЫ

Л. Цакадзе, Н. Арутюнова, Э. Нозадзе

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

#### РЕЗЮМЕ

Между  $Mg^{2+}$ -независимой  $Ca^{2+}$ -АТФазой и  $Mg^{2+}$ -АТФазой синаптических мембран головного мозга крыс существует определенная взаимосвязь. Свободный  $Mg^{2+}$  является полным ингибитором  $Ca^{2+}$ -АТФазы, с одним центром связывания ( $M_{Mg} = 1$ ). Так же свободный  $Ca^{2+}$  ингибирует  $Mg^{2+}$ -АТФазу ( $M_{Ca} = 1$ ).  $Ca^{2+}$ -АТФаза нечувствительна к ионам калия и натрия.

### SOME QUESTIONS IN $Ca^{2+}$ -ATP-ASE STUDIES

L. Tsakadze, N. Arutinova, E. Nozadze

I. Beritshvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

#### SUMMARY

There is a definite relationship between  $Mg$ -independent  $Ca^{2+}$ -ATPase and  $Mg^{2+}$ -ATPase of synaptic membranes of the rat brain. Free  $Mg^{2+}$  appears to be a complete inhibitor of  $Ca$ -ATPase with one binding center ( $M_{Mg} = 1$ ). The free  $Ca^{2+}$  inhibits  $Mg^{2+}$ -ATPase ( $M_{Ca} = 1$ ), as well. The  $Ca^{2+}$ -ATPase is insensitive to potassium and sodium ions.

## ინსტრუქცია ავტორთათვის

ქურნალი "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია - A" ბეჭდავს ბიომედიცინის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო წერილებს, რომლებიც მანამდე არსად არ იყო დაბეჭდილი და რომელთა პუბლიკაცია სხვა გამოცემებში დაგეგმილი არაა. წერილი უნდა შეიცავდეს ახალ, აქტუალურ მასალას, რომლის თემატიკა, მეთოდოლოგია და განსჯა შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს. წერილი არ უნდა შეიცავდეს მოძველებულ მონაცემებს და დაუსაბუთებულ დასკვნებს. წერილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაერთოს რეზიუმე სამივე აღნიშნულ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას, მაგრამ არ უნდა იყოს 1000 ნაბეჭდ ნიშანზე ნაკლები. რეზიუმე უნდა შეიცავდეს წერილის სრული ტექსტის ამსახველ მოკლე, მაგრამ ადეკვატურ ინფორმაციას - კვლევის მიზანს, მეთოდებს, მიღებულ შედეგებს და გამომდინარე დასკვნებს.

საკუთრივ სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმეების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვითი ხასიათის ან უფრო დიდი მოცულობის წერილები ქურნალში იბეჭდება მხოლოდ რედაქციის დაკვეთით ან სარედაქციო კოლეგიის თანხმობით.

ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს მკაცრად სტანდარტული რუბრიკაციით - შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, (დამოწმებული) ლიტერატურა. უკანასკნელი მკაცრად ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და, ბოლოს, ლათინურანბანოვანი). ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს საკვანძო სიტყვების (key words) სია - არა ნაკლებ ოთხისა და არა უმეტეს ათისა. ლიტერატურის სიაში საჭიროა მოტანილ იყოს ყველა ავტორის გვარი, ინიციალებით, გამოცემის (ქურნალის) სახელწოდება, წელი, ტომი, გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში, აუცილებელია სათაურიც და გამოცემის ქალაქი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და ინიციალები.

წარმოდგენილი წერილი რედაქციაში უნდა შემოვიდეს 2 ცალად ამობეჭდილი ქაღალდის სტანდარტულ ფურცლებზე (A4), რომელსაც უნდა დაერთოს ზუსტად იგივე ტექსტის ელექტრონული ვერსია კომპიუტერულ დისკეტზე (3,5"). ტექსტი უნდა აიკრიფოს კომპიუტერზე, 12 ფონტით, 1,5 ინტერვალით. გვერდებზე, ოთხივე მხრიდან დაცული უნდა იყოს ველები არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა. ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს AcadNusx და AcadMavr ფონტებით, ხოლო რუსული და ინგლისური - Times New Roman-ით. ცხრილებში დაიშვება უფრო მცირე ზომის ფონტები. წერილის ტექსტი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და სურათები - Excel-ში. თუ სურათები Excel-ში არაა დამზადებული, მკაფიო გრაფიკები და ფოტოსურათები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. სურათების სკანირება და მათი წარმოდგენა გრაფიკული ფაილების სახით (.jpg, .bmp და სხვ) დაუშვებელია. ვერადი სურათები ქურნალში არ იბეჭდება. დისკეტზე ჩაწერილი ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის სახელით უნდა იყოს აღნიშნული. კომპიუტერული დისკეტი უნდა იყოს მანამდე უხმარი, ვირუსებისგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა, ქურნალისთვის უსარგებლო მასალას. დისკეტა ავტორს არ უბრუნდება.

სურათების დაწვრილებითი წარწერები უნდა დაიბეჭდოს წერილის ტექსტის ბოლოს, იმავე ფაილში.

ჟურნალში წერილის ბეჭდვა ავტორის (ავტორების) ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის დასაფარავი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს რეცენზენტის დადებითი დასკვნის მიღებისთანავე. წერილის დაწუნების შემთხვევაში ავტორს (ავტორებს) უნბრუნდება წერილის ერთი პირი და წერილობითი რეცენზია. დისკეტი ავტორებს არ უბრუნდება და ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის კრიტიკა. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი განმეორებით გადაეცემა სარეცენზიოდ სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) რომელიმე წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წერილს ხელს უნდა აწერდეს ყველა თანაავტორი. მითითებული უნდა იყოს იმ ავტორთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთობას რედაქციასთან.

**წერილს უნდა დაერთოს იმ დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა (ნებართვა), რომელშიც შესრულებულია შრომა.**

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ლ.გოთუას ქ., № 14, იბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 312, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი – ალექსანდრე ქორელი.

ტელეფონი: 37-04-79, ელექტრონული ფოსტა: akoreli@hotmail.com

hp 147/5 2-